# სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურის 2021 წლის საქმიანობის ანგარიში

თბილისი

2021 წელი

## წინასიტყვაობა

დაცული შრომის უფლებები, ღირსეული, უსაფრთხო და დისკრიმინაციისგან თავისუფალი სამუშაო პირობები, ეს არის ფუნდამენტი, რაზეც შრომის ინსპექციის სამსახური დგას. ეს ის პრინციპებია, რომლითაც ვხელმძღვანელობ მე, როგორც მთავარი შრომის ინსპექტორი და შრომის ინსპექციის გუნდის თითოეული წევრი. ეს ის მიზნებია, რომელთა მისაღწევადაც 2015 წელს ჩამოყალიბდა შრომის ინსპექციის სამსახური და შედგა საზოგადოებრივი და პოლიტიკური ნების ერთიანობა, ქვეყანაში ღირსეული შრომის იდეის ირგვლივ. შრომის ინსპექციის სამსახურის ფუნქციონირების დასაწყისიდან დღემდე, შრომის ინსპექტორთა გუნდი ყოველდღიურად იბრძვის, რათა ჩვენ ქვეყანაში დამკვიდრდეს ღირსეული შრომის კულტურა.

ამ დიდი გზის დასაწყისი იყო ამბიციურიც და ბუნდოვანიც, სირთულეებთან და გამოწვევებთან მუდმივი ჭიდილის პირობებში, შრომის ინსპექციის სამსახურში დასაქმებულთა შრომის უფლებისთვის და მათი შრომის უსაფრთხოებისთვის ბრძოლა არასდროს შეწყვეტილა. მთავრობისა და ჩვენი საერთაშორისო პარტნიორების, ისევე როგორც სოციალური პარტნიორების სრული მხარდაჭერით, შემიძლია სიამაყით ვთქვა, რომ ღირსეული დასაქმება აღარ არის მარტოოდენ ილუზიური იდეა, არამედ დღეს უკვე თითოეულ დასაქმებულს შრომის ინსპექციასთან ერთად მისი უფლებების რეალიზების ქმედითი ბერკეტი გააჩნია.

რა თქმა უნდა გამოწვევები კვლავაც არსებობს, მაგრამ ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ სწორი მიმართულებით ვვითარდებით და ერთად შევძლებთ თითოეული დასაქმებულის ყოველდღიურ შრომით რუტინამდე მივიტანოთ ყველა ის სიკეთე, რაც საერთაშორისოდ აღიარებული შრომითი პრინციპების განუყოფელი ნაწილია. ჩვენ ვაგრძელებთ დაუღალავ სვლას საერთო მიზნისკენ, შენი შრომის უფლებისთვის, შენი უსაფრთხოებისთვის!

მთავარი შრომის ინსპექტორი

ბექა ფერაძე

## სარჩევი


წინასიტყვაობა ..... 2

სარჩევი ..... 3

დიაგრამები და ცხრილები ..... 4

აბრევიატურები ..... 6

1. შრომის ინსპექციის ინსტიტუციური გაძლიერება ..... 7

2. სამსახურის სტრუქტურული მიმოხილვა და ადამიანური რესურსები ..... 11

3. მთავარ შრომის ინსპექტორთან არსებული საკონსულტაციო ორგანოს მრჩეველთა საბჭოს საქმიანობის შესახებ ..... 15

4. ინსპექტირებას დაქვემდებარებული სამუშაო ადგილების შესახებ ინფორმაცია ..... 17

5. მანდატის ფარგლებში განხორციელებული აქტივობების შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია ..... 20

5.1 ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად განხორციელებული ინსპექტირებები ..... 21

5.1.1 სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევები ..... 26

5.2 საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს შრომის კოდექსი''-ს შესაბამისად განხორციელებული ინსპექტირებები ..... 33

5.2.1 შრომის კოდექსზე ზედამხედველობის მიგნებები/შედეგები ..... 41

5.3 საქართველოს მთავრობის №112 დადგენილების შესაბამისად განხორციელებული ინსპექტირებები ..... 42

5.4 სამუშაო ადგილებზე COVID-19-ის გავრცელების პრევენციის მიზნით განხორციელებული აქტივობები ..... 45

6. შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აკრედიტებული პროგრამის განვითარება ..... 53

7. შრომის ინსპექციის უშუალო ჩართულობით შემუშავებული სახელმძღვანელო დოკუმენტები ..... 56

8. სამსახურის მიერ ან/და უშუალო ჩართულობით შემუშავებული ნორმატიული აქტის პროექტები 56

9. თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან ..... 58

10. თანამშრომლობა ადგილობრივ უწყებებთან ..... 63

11. პროექტი „შრომის უსაფრთხოების დესპანი“ ..... 64

12. შრომის ინსპექციის მიერ განხორციელებული ტრენინგები ..... 67

13. შრომის ინსპექტორთა პროფესიული გადამზადება ..... 68

14. სასწავლო ვიზიტი ესტონეთის რესპუბლიკაში ..... 69

15. ცნობიერების ამაღლების მიმართულებით განხორციელებული აქტივობები ..... 71

16. სამომავლო გეგმები ..... 75

დ ა ნ ა რ თ ი ..... 76

## დიაგრამები და ცხრილები


| № | დიაგრამები | გვერდი |
|---|---|---|
| 1. | 2021 წლის საანგარიშო პერიოდში სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ მანდატის ფარგლებში განხორციელებული აქტივობებისა და შემოწმებული ობიექტების რაოდენობა | 10 |
| 2. | შრომის ინსპექციის მიერ შემოწმებული სამუშაო ადგილების რაოდენობა 2015-2021 წლებში | 10 |
| 3. | 2021 წლის საანგარიშო პერიოდში სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურის თანამშრომელთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში | 13 |
| 4. | შრომის ინსპექტორთა რაოდენობა 2015-2021 წლებში | 14 |
| 5. | „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად შემოწმებული ობიექტების რაოდენობა ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით, საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის სეკ-2016 შესაბამისად | 21 |
| 6. | „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად შემოწმებული ობიექტების ფარდობითი სიხშირეები თბილისსა და რეგიონებში | 22 |
| 7. | „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად შემოწმებისას გამოვლენილი დარღვევების ფარდობითი სიხშირეების პროცენტული მაჩვენებლები | 24 |
| 8. | 2021 წელს სამუშაო ადგილებზე მომხდარი უბედური შემთხვევის შედეგად გარდაცვლილთა და დაშავებულთა რაოდენობა | 27 |
| 9. | სამუშაო ადგილებზე მომხდარი უბედური შემთხვევის შედეგად გარდაცვლილთა და დაშავებულთა თანაფარდობა გენდერულ ჭრილში | 27 |
| 10. | სამუშაო ადგილებზე მომხდარი უბედური შემთხვევის შედეგად 2021 წელს გარდაცვლილთა და დაშავებულთა რაოდენობა ეკონომიკურ საქმიანობის სახეების სეკ-2016-ის მიხედვით | 28 |
| 11. | 2021 წელს სამუშაო ადგილზე მომხდარი უბედური შემთხვევის შედეგად გარდაცვლილთა და დაშავებულთა რაოდებობა რეგიონების მიხედვით რეგიონების მიხედვით | 29 |
| 12. | კლასიფიცირებული საწარმოო უბედური შემთხვევები | 30 |
| 13. | დაზიანებათა ტიპების ფარდობითი სიხშირეები | 30 |
| 14. | საწარმოო ინციდენტები ასაკობრივ ჭრილში | 31 |
| 15. | სამუშაო ადგილებზე მომხადარი უბედური შემთხვევების მოკვლევების საფუძველზე შემთხვევების რაოდენობა დასაქმებულთა სამუშაო გამოცდილების მიხედვით | 31 |
| 16. | სამუშაო ადგილზე მომხდარი უბედური შემთხვევის შედეგად გარდაცვლილთა რაოდენობა 2018-2021 წლებში | 32 |
| 17. | საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსი”-ს შესაბამისად შემოწმებული ობიექტების ფარდობითი სიხშირეები თბილისსა და რეგიონებში | 34 |
| 18. | საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსი”-ს შესაბამისად შემოწმებული ობიექტების რაოდენობა ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის სეკ-2016 შესაბამისად. | 35 |
| 19. | საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსი”-ს ფარგლებში განხორციელებული ინსპექტირებებისას გამოვლენილი დარღვევების ფარდობითი სიხშირეები | 37 |
| 20. | საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსი”-ს შესაბამისად გაცემული წერილობითი კონსულტაციების თემატური ჩაშლა ფარდობითი სიხშირეებით | 40 |
| 21. | საქართველოს მთავრობის №112 დადგენილების შესაბამისად შემოწმებული 139 კომპანია სექტორულ და რეგიონულ ჭრილში, საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის სეკ-2016 შესაბამისად | 44 |
| 22. | 2021 წელს საქართველოს მთავრობის N322-ე დადგენილებით აკრძალული საქმიანობის განხორციელებისა და რეკომენდაციების დარღვევის საფუძვლით დაჯარიმებული სუბიექტები N01-227/ო ბრძანებით განსაზღვრული საქმიანობის სფეროს მიხედვით რეგიონულ ჭრილში. | 49 |
| 23. | საქართველოს მთავრობის N322 დადგენილებთ აკრძალული სოციალური და მასობრივი გასართობი ღონისძიების გამართვისა და მასთან ერთად რეკომენდაციებთან კრიტიკული შეუსაბამობის | 51 |

| | | |
|---|---|---|
| | გამოვლენის გამო სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ დალუქული ობიექტების რაოდენობა რეგიონულ და სუბიექტის სამართლებრივი ფორმის ჭრილში | |
| **24.** | 2021 წელს „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის №322 დადგენილებით განსაზღვრული ნებადართული ეკონომიკური საქმიანობებისთვის სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურის დადებითი დასკვნის საფუძველზე 616 ობიექტის განაწილება საქმიანობის სფეროსა და რეგიონულ ჭრილში | 52 |

| № | ცხრილები | გვერდი |
|---|---|---|
| **1** | შრომის ინსპექციის ინსტიტუციური გაძლიერების მოკლე მიმოხილვა | 8 |
| **2** | სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურის ზედამხედველობის მიმართულებები | 9 |
| **3** | შრომის ინსპექციის მიერ 2015-2021 წლებში ინსპექტირებების/ცნობიერების ამაღლების მიზნით განხორციელებული ვიზიტების რაოდენობა | 11 |
| **4** | სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურის სტრუქტურული დანაწილება | 12 |
| **5** | მთავარ შრომის ინსპექტორთან არსებული მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობა | 15 |
| **6** | ეკონომიკური საქმიანობის პრიორიტეტული დარგების განსაზღვრის მეთოდებისა და რისკის შეფასების წესის შესაბამისად სხვადასხვა სექტორში რეგისტრირებულ ობიექტებზე დაყრდნობით შესამოწმებელ საწარმოთა მინიმალური ოდენობა | 17 |
| **7** | პრიორიტეტული დარგების კატეგორიზაცია რისკის სექტორებისა და შემოწმების პერიოდულობის გათვალისწინებით | 18 |
| **8** | შრომის უსაფრთხოების დესპანთა მიერ 2021 წლის საანგარიშო პერიოდში განხორციელებული აქტივობების შედეგად იმ ობიექტებისა და მასში დასაქმებულ პირთა რაოდენობრივი ინფორმაცია ეკონომიკური საქმიანობის ჭრილში | 48 |
| **9** | 2020-2021 წლებში საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 42 მე-10 პრიმა მუხლის საფუძველზე დაჯარიმებული სუბიექტები თვეების მიხედვით | 50 |
| **10** | სამუშაო ადგილებზე ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით რეკომენდაციების დამტკიცების თაობაზე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №01-227/ო ბრძანებით განსაზღვრული რეკომენდაციების ნუსხა | 77 |
| **11** | „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად განსაზღვრული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები | 78 |
| **12** | სამუშაო ადგილზე შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებით საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულების XXX დანართით განსაზღვრული დირექტივები | 81 |
| **13** | 2015-2021 წლებში გაფორმებული ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმები/ხელშეკრულებები | 90 |

## აბრევიატურები

OSH- შრომის უსაფრთხოება და ჯანმრთელობა

ILO - შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია

LIMS - შრომის ინსპექციის მართვის სისტემა

OSH TESTING-აკრედიტებული პროგრამის მართვის სისტემა

MoIDPLHSA - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

IOM -მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია

GIZ - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება

PSD TVET SC - „კერძო სექტორის განვითარება და პროფესიული განათლება სამხრეთ კავკასიაში“

UN Women - გაეროს ქალთა ორგანიზაცია

USAID - აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო

PROLoG -პროგრამა - კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში

EWMI აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი

CIPE - კერძო მეწარმეობის საერთაშორისო ცენტრი

IALI - შრომის ინსპექციის საერთაშორისო ასოციაცია

EU-OSHA - შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის ევროპული სააგენტო

## 1. შრომის ინსპექციის ინსტიტუციური გაძლიერება

საქართველოში შრომის ინსპექციის ჩამოყალიბების პროცესი 2015 წლიდან დაიწყო, როდესაც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შეიქმნა შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტი. მას შემდეგ ქვეყანაში შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებით მრავალი წარმატებული ნაბიჯი გადაიდგა. დაიხვეწა და ჩამოყალიბდა სამუშაო ადგილებზე შრომის პირობების მონიტორინგისა და ინსპექტირების სისტემა. თანმიმდევრული ნაბიჯები გადაიდგა დამსაქმებლებისა და დასაქმებულების ცნობიერების ამაღლების კუთხით, რამაც საბოლოოდ დაამკვიდრა სამუშაო ადგილებზე შრომითი ნორმების დაცვის სისტემა.

აღნიშნული პროცესი სარეკომენდაციო ხასიათის მონიტორინგით დაიწყო, ხოლო 2018 წლიდან მოექცა „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის რეგულირების ჩარჩოში. „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონი, პირველ ეტაპზე მომეტებული საფრთხის შემცველ ობიექტებზე ინსპექტირების განხორციელების სავალდებულო მანდატს აწესებდა, ხოლო 2019 წელს მიღებული ცვლილებების შედეგად, შრომის უსაფრთხოების კანონს უკვე ორგანული კანონის სტატუსი მიენიჭა, რაც იმას ნიშნავს, რომ 2019 წლის 1 სექტემბრიდან შრომის უსაფრთხოების სტანდარტები კიდევ უფრო მეტად დაუახლოვდა ევროკავშირის ქვეყნებში დადგენილ სტანდარტს, გაფართოვდა შრომის ინსპექციის მანდატი და გავრცელდა ეკონომიკური საქმიანობის ყველა დარგზე, შრომის ინსპექციის დეპარტამენტი უფლებამოსილი გახდა დღე-ღამის ნებისმიერ დროს, წინასწარი შეტყობინების გარეშე, განეხორციელებინა სამუშაო სივრცის ინსპექტირება, მოკვლევა და შემოწმება, შრომის უსაფრთხოების ნორმების ეფექტიანი აღსრულების უზრუნველსაყოფად.

სამსახურის ინსტიტუციური გაძლიერებისა და საკანონმდებლო ბაზის სრულყოფის მიზნით, უმნიშვნელოვანესი ნაბიჯები გადაიდგა 2020 წელს, შრომის კანონმდებლობის რეფორმის ფარგლებში, მიღებულ იქნა საქართველოს კანონი „შრომის ინსპექციის შესახებ“, რამაც საფუძველი ჩაუყარა საჯარო სამართლის იურიდიული პირის შრომის ინსპექციის სამსახურის შექმნას. 2021 წლის პირველი იანვრიდან სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახურს მიენიჭა სრული მანდატი შრომით ნორმებზე ზედამხედველობის კუთხით. უწყება უფლებამოსილი გახდა განეხორციელებინა კონტროლი, როგორც შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვაზე, ასევე დასაქმებულთათვის შრომითი უფლებების უზრუნველყოფაზე რაც, შრომის კოდექსში განხორციელებული უმნიშვნელოვანესი ცვლილებების შედეგია.

ზემოაღნიშნული რეფორმის შედეგად, სამსახური ჩამოყალიბდა უწყებად, რომელსაც აქვს უფლებამოსილება დღე-ღამის ნებისმიერ მონაკვეთში ჩაატაროს ინსპექტირება შრომითი ნორმების შესრულებაზე, როგორც პრევენციული, ასევე მაკონტროლებელი მექანიზმების გამოყენებით ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის, საქართველოს შრომის კოდექსისა და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ შრომითი უფლებების დარღვევის შემთხვევებზე. გაზრდილი მანდატის ფარგლებში შრომის ინსპექციის სამსახურს მიეცა სრული მანდატი ზედამხედველობა განახორციელოს ისეთ სენსიტიურ საკითხებზე, როგორიცაა პირდაპირი და არაპირდაპირი დისკრიმინაცია, სექსუალური შევიწროვება, იძულებითი შრომა და შრომითი

ექსპლუატაცია, შრომითი მედიაციით მიღწეული შეთანხმებები და სხვა კანონმდებლობით გარანტირებული ის ფუნდამენტური შრომითი უფლებები, რომელთა განუხრელად დაცვა უზრუნველყოფს დასაქმებულთათვის ჯანსაღ და უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნას. ამასთანავე, შრომის ინსპექტორთა საქმიანობის სამართლიანად, კანონიერად, მიუკერძოებლად, გამჭვირვალედ, ობიექტურად, კვალიფიციურად, ეფექტურად, კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვით, დემოკრატიული პრინციპების, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების პატივისცემით წარმართვის მიზნით 2021 წლის 31 იანვარის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №01-10/ნ ბრძანებით დამტკიცდა შრომის ინსპექტორთა ქცევის კოდექსი.

*ცხრილი №1*

*შრომის ინსპექციის ინსტიტუციური გაძლიერების მოკლე მიმოხილვა*

| | |
|---|---|
| 2015 წლიდან | • **2015 წელს** ჯანდაცვის სამინისტროში შეიქმნა შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტი, რომელიც (სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში) დაკომპლექტდა 25 ინსპექტორით, რომელიც სარეკომენდაციო ხასიათის ზედამხედველობას მოიცავდა შრომის უფლებებსა და შრომის უსაფრთხოებაზე |
| 2018 წლიდან | • **2018 წლის აგვისტოდან-2019 წლის 1 სექტემბრამდე** შრომის ინსპექციის მანდატი შრომის უსაფრთხოების მიმართულებით მხოლოდ მომეტებული რისკის მქონე საქმიანობებზე ვრცელდებოდა. ინსპექტორთა რაოდენობა კი 40-მდე გაიზარდა |
| 2019 წლიდან | • **2019 წლის 1 სექტემბრიდან** შრომის ინსპექციის მანდატი შრომის უსაფრთხოების მიმართულებით ეკონომიკური საქმიანობის ყველა დარგზე გავრცელდა |
| 2020 წლიდან | • **2020 წლის მარტიდან** – შრომის ინსპექციის მანდატი ვრცელდება სამუშაო ადგილზე COVID-19 გავრცელების პრევენციის მიზნით დამტკიცებული რეკომენდაციების აღსრულებაზე<br>• შრომის ინსპექტორთა რაოდენობა კი 100-მდე გაიზარდა |
| 2021 წლიდან | • **2021 წლის 1 იანვრიდან:**<br>• დეპარტამენტი გარდაიქმნა საჯარო სამართლის იურიდიულ პირად - შრომის ინსპექციის სამსახურის სახით, რომელიც 167 საშტატო ერთეულით გამნისაზღვრა.<br>• შრომის ინსპექციის სამსახურის მანდატი გავრცელდა შრომით უფლებებზე<br>• შრომის ინსპექტორთა სტატუსი და სოციალური დაცვის გარანტიები გაიზარდა (საჯარო მოხელის სტატუსი და სავალდებულო დაზღვევა)<br>• გაიზარდა შრომის ინსპექტორთა რაოდენობა -109, თუმცა ინსპექტირებაზე პასუხისმგებელი პირების რაოდენობა 119 ერთეულს შეადგენს<br>• შეიქმნა და დაკომპლექტდა იმერეთისა და აჭარის ტერიტორიული რეგიონული სამმართველოები<br>• შეიქმნა მთავარ შრომის ინსპექტორთან არსებული მრჩეველთა საბჭო |

2021 წლის პირველი იანვრიდან სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურის ზედამხედველობის მიმართულებები ასახულია N2 ცხრილში.

*ცხრილი №2*

*სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურის ზედამხედველობის მიმართულებები*

ზემოხსნებული მანდატის ფარგლებში 2021 წლის საანგარიშო პერიოდში სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ მანდატის ფარგლებში განხორციელებული აქტივობების, მათ შორის, პირველადი და

განმეორებითი ისნპექტირების, ასევე ცნობიერების ამაღლების აქტივობებისა და შემოწმებული ობიექტების შესახებ ინფორმაცია ასახულია N 1 დიაგრამაზე

*დიაგრამა №1*




შრომის ინსპექციის მიერ 2015-2021 წლების საანგარიშო პერიოდში შემოწმებული სამუშაო ადგილების რაოდენობა სახულია N2 დიაგრამაზე:

*დიაგრამა №2*

*წყარო: სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახური*

შრომის ინსპექციის მიერ 2015-2021 წლების საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ინსპექტირებების/ცნობიერების ასამაღლებელი ვიზიტების რაოდენობა ასახულია N3 ცხრილში.

*ცხრილი №3*

| შრომის ინსპექციის მიერ 2015-2021 წლებში ინსპექტირებების/ცნობიერების ამაღლების მიზნით განხორცილებული ვიზიტების რაოდენობა | | |
|---|---|---|
| ორგანული კანონი ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ“ | **2649** | პირველადი და განმეორებითი ინსპექტირება |
| ორგანული კანონი ,,საქართველოს შრომის კოდექსი“ | **327** | პირველადი და განმეორებითი ინსპექტირება |
| შრომის ინსპექტირების სახელმწიფო პროგრამა | **973** | ობიექტზე ინსპექტირება |
| იძულებითი შრომა და შრომითი ექსპლუატაცია | **755** | ობიექტზე ინსპექტირება |
| სამუშაო ადგილზე COVID-19-ის გავრცელების პრევენცია | **146 021** | ინსპექტირება და ცნ. ამაღლების აქტივობა |

*წყარო: სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახური*

***შენიშვნა:*** *2020 წელს ქვეყანაში გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა, შრომის ინსპექცია განისაზღვრა სამუშაო ადგილებზე COVID-19-ის გავრცელების პრევენციაზე ზედამხედველ და მაკოორდინირებელ უწყებად.*

## 2. სამსახურის სტრუქტურული მიმოხილვა და ადამიანური რესურსები

2021 წლის პირველი იანვრიდან ,,შრომის ინსპექციის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, შეიქმნა სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახური, რომლის უფლებამოსილება განსაზღვრულია ამავე წელს მიღებული სხვადასხვა კანონქვემდებარე ნორმატიული თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტების საფუძველზე, მათ შორის „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შრომის ინსპექციის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №01-119/ნ ბრძანება, რომლის შესაბამისად სამსახური მთავარი შრომის ინსპექტორის ხელმძღვანელობით ფუნციონირებას შეუდგა 167 საშტატო ერთეულით. სტრუქტურაში კანონმდებლობის შესაბამისად განისაზღვრა მთავარი შრომის ინსპექტორის მოადგილეების რაოდენობაც- არანაკლებ 2 მოადგილე. მათ შორის, პირველი მოადგილე და მოადგილე. აღსანიშნავია, რომ პირველი მოადგილის საკურატორო სფეროში შედის შრომითი ნორმების ეფექტიანი გამოყენების უზრუნველყოფა, გარდა შრომის უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული შრომითი ნორმებისა, რომელთა ეფექტიანი გამოყენების უზრუნველყოფა მთავარი შრომის ინსპექტორის სხვა მოადგილის/მოადგილეების საკურატორო სფეროში შედის. (მუხლი 7(3)).

შრომის ინსპექციის საქმიანობის სპეციფიკისა და დამოუკიდებელი სტრუქტურის ფუნქციონირების საჭიროებებიდან გამომდინარე  სამსახური შედგება ცენტრალური აპარატისა და ტერიტორიული ორგანოებისგან, რომელიც ქმნის სამსახურის ერთიან ცენტრალიზებულ სისტემას.

დებულებით ასევე განისაზღვრა სტრუქტურული ქვედანაყოფები, რომელიც ასახული N4 ცხრილში:

*ცხრილი №4*

| სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურის სტრუქტურული დანაწილება | | |
|---|---|---|
| **6 დეპარამენტი** | 14 სამმართველო | 5 განყოფილება |
| **1. შრომითი უფლებების ზედამხედველობის დეპარტამენტი** | 1.1 შრომით უფლებებზე ზედამხედველობის სამმართველო | 1.1.1 სამუშაო ადგილებზე დისკრიმინაციის, სექსუალური შევიწროების აკრძალვისა და გენდერული თანასწორობის საკითხებზე ზედამხედველობის განყოფილება |
| | | 1.1.2 იძულებითი შრომის და შრომითი ექსპლუატაციის (ტრეფიკინგის) ზედამხედველობის განყოფილება |
| **2. შრომის უსაფრთხოებაზე ზედამხედველობის დეპარტამენტი** | 2.1 სამშენებლო სექტორზე ზედამხედველობის სამმართველო | |
| | 2.2 სამთომოპოვებით და მძიმე მრეწველობაზე ზედამხედველობის სამმართველო | 2.2.1 მძიმე მრეწველობაზე ზედამხედველობის განყოფილება |
| | 2.3 მსუბუქ  მრეწველობასა და მომსახურების სექტორზე ზედამხედველობის სამმართველო | 2.3.1 მომსახურების სექტორზე ზედამხედველობის განყოფილება |
| **3. მონიტორინგისა და ზედამხედველობის დეპარტამენტი** | 3.1 ოპერატიული ინფორმაციის მოძიების, მონიტორინგისა და დისციპლინარული პასუხისმგებლობის სამმართველო | |
| | 3.2 შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აკრედიტებულ პროგრამაზე ზედამხედველობის ცენტრი | |
| **4. ადმინისტრაციული დეპარტამენტი** | 4.1 ადამიანური რესურსების მართვის სამმართველო | |
| | 4.2 საქმისწარმოების სამმართველო | |
| | 4.3 საერთაშორისო და საზოგადოებასთან ურთიერთობის, სტატისტიკისა და  ანალიტიკის სამმართველო | |
| **5. იურიდიული დეპარტამენტი** | 5.1 სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველო | |
| | 5.2ადმინისტრაციული საჩივრებისა და სასამართლოებთან ურთიერთობის სამმართველო; | 5.2.1 საჩივრების განხილვის განყოფილება |
| **6. საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტი** | 6.1 სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო | |
| | 6.2 ფინანსური რესურსების მართვისა და აღრიცხვის სამმართველო | |
| | 6.3მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველო | |
| | | |
| **2 ტერიტორიული ორგანო** | იმერეთის რეგიონული სამმართველო | |
| | აჭარის  რეგიონული სამმართველო | |

*წყარო: სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახური*

რაც შეეხება ადამიანურ რესურსს, აღსანიშნავია, რომ სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახური 2021 წლისთვის განისაზღვრა 167 საშტატო ერთეულით, რომლის ფაქტობრივი რაოდენობა ვაკანტური პოზიციების შევსების მიზნით კონკურსის წესით გამოცხადებული ვაკანსიების შესაბამისად ეტაპობრივად იზრდებოდა. სამსახურში საშტატო თანამდებობის მიხედვით კანდიდატები შეირჩევიან „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესის შესაბამისად, რომლის გამოცხადებისას ინფორმაცია თავსდება საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.hr.gov.ge). აქვე აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში შეიქმნა და დაკომპლექტდა აჭარისა და იმერეთის რეგიონული სამმართველოები.

*N3 დიაგრამაზე კვარტლურ ჭრილში ასახულია შტატით დასაქმებულ თანამშრომელთა მონაცემები გენდერულ ჭრილში.*

*დიაგრამა №3*




*წყარო: სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახური*

ინსტიტუციური გაძლიერების მიმართულებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 2015-2020 წლებში შრომის ინსპექტორები წარმოადგენდნენ სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირებს, რომელთა რაოდენობა საქართველოს მთავრობის დადგენილების შესაბამისად მანდატის ზრდასთან ერთად ეტაპობრივად იზრდებოდა, თუმცა 2020 წელს შრომის კანონმდებლობის რეფორმის შედეგად, შრომის ინსპექტორთა სამართლებრივი სტატუსი შეიცვალა, ისინი საჯარო მოხელეები გახდნენ და გაიზარდა მათი სამართლებრივი ასევე სოციალური დაცვის გარანტიები. სამსახურის მიერ შრომის ინსპექტორები „შრომის ინსპექციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად უზერუნველყოფილნი არიან ჯანმრთელობის დაზღვევით (მუხლი 11 (3)).

შრომის ინსპექტორთა რაოდენობრივი ზრდა 2015-2021 წლებში ასახულია N4 დიაგრამაზე:

*დიაგრამა №4*

*შრომის ინსპექტორთა რაოდენობრივი ზრდა 2015-2021 წლებში*




*წყარო: სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახური*

შრომის ინსპექციის ინსტიტუციური გაძლიერებისა და ეფექტური ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად სამსახურის აღჭურვა მატერიალურ-ტექნიკური საჭიროებებით ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტს წარმოადგენს, რომელიც განსაზღვრულია „შრომის ინსპექციის შესახებ“ საქართველოს კანონითა და „შრომის ინსპექციის შესახებ“ 81-ე კონვენციით.

2021 წლის საანგარიშო პერიოდში განხორციელდა რიგი აქტივობები: სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურის ცენტრალური ოფისი გამოეყო საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და განთავსდა ახალ ლოკაციაზე, რომლის გამართვისა და სამუშაო პირობების შექმნის მიზნით განხორციელდა სხვადასხვა ტიპის მომსახურებისა თუ ინვენტარის შეძენა, რომელიც აუცილებელი იყო ახალ ოფისში შეუფერხებელი საქმიანობისთვის.

აქვე აღსანიშნავია, რომ სამსახურის მიერ შეძენილ იქნა სატრასპორტო საშუალებები, ხოლო ინსპექტორებისთვის უნიფორმები, სპეციალიზირებული ფეხსაცმელები, სამხრე კამერები. გარდა ამისა, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მხარდაჭერით, სამსახურს უსასყიდლოდ გადაეცა პლანშეტები, რომლებიც ინსპექტირების ელექტრონულ სისტემაზე გადასვლის პარალელურად გადაეცემათ შრომის ინსპექტორებს, საქმიანობის ელექტრონულად წარმოების მიზნებისთვის. აქვე აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის დაძმობილების პროექტის მხარდაჭერით, შეძენილ იქნა სატრენინგო დარბაზის მოწყობისთვის საჭირო ავეჯი და ტექნიკური აღჭურვილობა.

## 3. მთავარ შრომის ინსპექტორთან არსებული საკონსულტაციო ორგანოს მრჩეველთა საბჭოს საქმიანობის შესახებ

„შრომის ინსპექციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის შესაბამისად, 2021 წლის მარტიდან საქმიანობას შეუდგა მთავარ შრომის ინსპექტორთან არსებული საკონსულტაციო ორგანო - **მრჩეველთა საბჭო, რომელიც** შრომის ინსპექციის სამსახურისთვის შეიმუშავებს რეკომენდაციებს შრომის ინსპექციის სამსახურის სტრატეგიის, ფუნქციონირებისა და საქმიანობის შესახებ. საბჭოს შემადგენლობა „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახურის, მთავარ შრომის ინსპექტორთან არსებული მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ“ სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახურის მთავარი შრომის ინსპექტორის 2021 წლის 29 მარტის N 09-51/ო ბრძანების შესაბამისად დაკომპლექტდა შემდეგი შემადგენლობით:

*ცხრილი №5*

| მთავარ შრომის ინსპექტორთან არსებული მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობა | |
|---|---|
| **მხარე** | **წარმომადგენელი** |
| საქართველოს პარლამენტი | ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ზაალ მიქელაძე |
| | ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე სალავან მირზოევი |
| საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი | სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების დაცვის დეპარტამენტის უფროსი ლიკა წიკლაური |
| საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია | ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი ლაშა ლაბაძე |
| საქართველოს ბიზნეს ასოციაცია | ასოციაციის იურიდიული დირექტორის ნიკოლოზ ნანუაშვილი |
| საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება | გაერთიანების თავმჯდომარე ირაკლი პეტრიაშვილი |
| | გაერთიანების თავმჯდომარის მოადგილე რაისა ლიპარტელიანი |

*წყარო: სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახური*

აქვე აღსანიშნავია, რომ საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორის 2021 წლის 21 აპრილის მომართვის საფუძველზე, მიღებულ იქნა სსიპ-შრომის ინსპექციის მთავარი შრომის ინსპექტორის 2021 წლის 21 მაისის N 09-121/ო ბრძანება „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დავნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს. სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახურის მთავარ შრომის ინსპექტორთან არსებული მრჩეველთა საბჭოს

შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ“ სსიპ - შრომის ინსპექციის მთავარი შრომის ინსპექტორის 2021 წლის 29 მარტის N 09-51/ო ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“, რომლის თანახმადაც, მრჩეველთა საბჭოს წევრი ელგუჯა მელაძე ჩანაცვლებულ იქნა საქართველოს ბიზნეს ასოციაციის იურიდიული დირექტორის ნიკოლოზ ნანუაშვილის კანდიდატურით.

2021 წელს მრჩეველთა საბჭოს **სამი შეხვედა** გაიმართა. პირველ სხდომაზე დამტკიცდა მრჩეველთა საბჭოს ფუნქციონირების წესი, ასევე ხმათა უმრავლესობით არჩეულ იქნა მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე და საბჭოს მდივანი. მთავარმა შრომის ინსპექტორმა წარადგინა 2020 წლის საქმიანობის ანგარიში, სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახურის სტრუქტურა და სამომავლო გეგმები. 2021 წელს მრჩეველთა საბჭოს

სხდომაზე განხილულ იქნა შემდეგი საკითხები: მრჩეველთა საბჭოს საქმიანობის წესის დამტკიცება; 2020 წლის საქმიანობის ანგარიში, სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახურის სტრუქტურა და სამომავლო გეგმები; ინსპექტირებას დაქვემდებარებულ ობიექტებზე შესვლა-შემოწმების წესი და კომპანიების შერჩევის კრიტერიუმები; სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახურის გამოწვევები; საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში როგორც მოქმედ, ისე სამომავლოდ დასანიშნ დასაქმებულებთან მიმართებით, შრომითი ურთიერთობის წარმოშობის დოკუმენტაციის (ბრძანება ხელშეკრულების) სავალდებულოობა; სამთო-მოპოვებით სფეროებში ცვლიანობის/ცვლების სპეციალური წესის საჭიროებისა და კრიტერიუმები ე.წ. „ვახტური რეჟიმი“; დისკრიმინაციის წინააღმდეგ კამპანიის წარმოების საკითხები; შრომითი და მომსახურების ხელშეკრულების გამიჯვნის პრაქტიკა (საკურიერო მომსახურების ჭრილში); კერძო სექტორში დასაქმებულთა ვაქცინაციის წამახალისებელი ღონისძიებები; მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან სამუშაოთა ნუსხის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 3 მაისის N 147/ნ ბრძანებისა და „მომეტებული საფრთის შემცველი, მძიმე, მავნე და საშიშპირობებიანი სამუშაოების ჩამონათვალის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 27 ივლისის N 381 დადგენილების, საქართველოს შრომის კოდექსის 31-ე მუხლის მე-3 პუნქტთან (დამატებითი ანაზღაურებადი შვებულება) ურთიერთმიმართება. მრჩეველთა საბჭოს წინაშე ასევე განხორციელდა შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აკრედიტებული პროგრამის პრეზენტაცია, გაზიარებულ იქნა საქართველოს შრომის კანონმდებლობაზე ზედამხედველობის მიზნით კოვიდ კლინიკებში განხორციელებული ინსპექტირების შედეგები. რიგგარეშედ განხილულ იქნა საკითხი შრომითი უფლებების შემოწმების მიზნით ისპექტირების განხორციელების წინასწარ შეტყობინების თაობაზე. ასევე რეინსპექტირების შემჭიდროვებულ ვადებში განხორციელებისა და „პლატფორმული დასაქმების“ ადგილებზე ინსპექტირების განხორციელების შესახებ.

## 4. ინსპექტირებას დაქვემდებარებული სამუშაო ადგილების შესახებ ინფორმაცია

ქვეყანაში შრომით ნორმებზე სახელმწიფო კონტროლის ერთიანი პოლიტიკის განსახორციელებლად, 2020 წლის 6 თებერვალს საქართველოს მთავრობის №80 დადგენილებით ჩამოყალიბდა ეკონომიკური საქმიანობის პრიორიტეტული დარგების განსაზღვრის მეთოდებისა და რისკის შეფასების წესი, რომლის მიზანია რისკის დონის მიხედვით ეკონომიკური საქმიანობის საფრთხის შეფასება, კონტროლის ინტენსივობის დადგენა, იმ მეთოდებისა და წესების შემუშავება, რომელთა საშუალებითაც უნდა მოხდეს სხვადასხვა დარგზე მონიტორინგი, ინფორმაციის შეგროვებისა და დამუშავების მიზნით.

მეთოდოლოგია საერთაშორისო გამოცდილებასა და ქვეყანაში მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შემუშავდა, რომელიც სხვადასხვა ეკონომიკურ საქმიანობას ინდიკატორების საფუძველზე, შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვისა და ინციდენტობის კუთხით აჯგუფებს და ჰყოფს **განსაკუთრებით მაღალ, ძალიან მაღალ, მაღალ, საშუალო და დაბალ რისკის** სექტორებად.

აღსანიშნავია, რომ პრიორიტეტული დარგების განსაზღვრის მიზნით, საქმიანობების ჩამონათვალი დგინდება ეროვნული კლასიფიკატორის (სეკ 2016-ის) შესაბამისად (აღნიშნული შეესაბამება ევროპულ კლასიფიკატორს – NACE Rev. 2 Statistical classification of economic activities in the European Community), რომელიც ცვალებადია.

გარდა ამისა, ზემოხსენებული წესით დადგინდა შესაგროვებელი ინფორმაციის ვადა - **5 წელი.** ასევე განისაზღვრა სხვადასხვა **სექტორში რეგისტრირებულ ობიექტებზე დაყრდნობით შესამოწმებელ საწარმოთა მინიმალური ოდენობა**, რაოდენობრივ ან/და პროცენტულ ჭრილში:

*ცხრილი №6*

*ეკონომიკური საქმიანობის პრიორიტეტული დარგების განსაზღვრის მეთოდებისა და რისკის შეფასების წესის შესაბამისად სხვადასხვა სექტორში რეგისტრირებულ ობიექტებზე დაყრდნობით შესამოწმებელ საწარმოთა მინიმალური ოდენობა*

| სექტორში გაერთიანებული რეგისტრირებული ობიექტების საერთო ოდენობა | 5 წლის განმავლობაში შესამოწმებელი ობიექტების მინიმალური ოდენობა |
|---|---|
| 200 ერთეულზე მეტი | 100 ერთეული |
| 200 ერთეულზე ნაკლები | 50% |
| 30 ერთეულზე ნაკლები ან ტოლი | 90% |

პრიორიტეტული დარგების კატეგორიზაცია რისკის სექტორებისა და შემოწმების პერიოდულობის გათვალისწინებით ასახულია N7 ცხრილში.

*ცხრილი №7*

| პრიორიტეტული დარგების კატეგორიზაცია რისკის სექტორებისა და შემოწმების პერიოდულობის გათვალისწინებით | | |
|---|---|---|
| **რისკის სექტორები** | **სექტორული დასახელება** | **შემოწმების პერიოდულობა** |
| განსაკუთრებით მაღალი რისკის სექტორები | ნახშირისა და ლიგნიტის მოპოვება | 3-ჯერ წლის განმავლობაში |
| | სამთომოპოვებითი მრეწველობა | |
| | მშენებლობა | |
| ძალიან მაღალი რისკის სექტორები | ნედლი ნავთობისა და ბუნებრივი აირის მოპოვება | 2-ჯერ წლის განმავლობაში |
| | ლითონის მადნების მოპოვება | |
| | სხვა ტიპის კარიერების დამუშავება | |
| | სამთომოპოვებითი მრეწველობის დამხმარე მომსახურება | |
| | ქიმიკატებისა და ქიმიური პროდუქტების წარმოება | |
| | კოქსისა და ნავთობპროდუქტების წარმოება | |
| | ფარმაცევტული პროდუქტებისა და ფარმაცევტული პრეპარატების წარმოება | |
| | ელექტროენერგიის, ბუნებრივი აირის წარმოება და მიწოდება | |
| | წყალმომარაგება, კანალიზაცია | |
| | ორთქლისა და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება | |
| მაღალი რისკის სექტორები | სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა | ყოველწლიურად |
| | ტექსტილის, ტყავის, რეზინის, ხისა და კორპის, პლასტმასის, ასევე მათთან დაკავშირებული ნაწარმის წარმოება | |
| | ძირითადი ლითონების წარმოება, ლითონის მზა ნაწარმის წარმოება | |
| | სხვა არალითონური მინერალური პროდუქტების წარმოება; | |
| | კომპიუტერების, ელექტრონული და ოპტიკური პროდუქციის წარმოება | |
| | ელექტრული მოწყობილობების წარმოება | |
| | მანქანებისა და მოწყობილობების წარმოება | |
| | ავტოსატრანსპორტო საშუალებების, მისაბმელებისა და ნახევარმისაბმელების წარმოება | |
| | ნარჩენების შეგროვების, დამუშავების, მოცილების, უტილიზაციისა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები | |
| | ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები | |
| | სახმელეთო, წყლის, საჰაერო ტრანსპორტი; | |
| | ტრანსპორტირება მილსადენებით | |
| | დამხმარე სატრანსპორტო საქმიანობები | |
| | კვების პროდუქტების, სასმელების, თამბაქოს ნაწარმის, ტანსაცმლის, ავეჯის წარმოება, ნაკეთების | |

| | | |
|---|---|---|
| | წარმოება ჩალისა და წნული მასალებისგან, ბეჭდვა და მედიაჩანაწერების აღწარმოება | |
| | ქაღალდისა და ქაღალდის ნაწარმის წარმოება; სხვა მზა ნაკეთობების წარმოება | |
| | დასაწყობება; ავტომობილებისა და მოტოციკლების რემონტი; სხვა სახის მომსახურება | |
| | ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები | |
| საშუალო რისკის სექტორები | საბითუმო და საცალო ვაჭრობა | ყოველ 2 წელიწადში ერთხელ |
| | განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფისა და საკვების მიწოდების საქმიანობები | |
| | ინფორმაცია და კომუნიკაცია | |
| | საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები | |
| | პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები | |
| | საფოსტო და საკურიერო საქმიანობები | |
| დაბალი რისკის სექტორები | სახელმწიფო მმართველობითი საქმიანობები | ყოველ 3 წელიწადში ერთხელ |
| | ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები | |
| | უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები | |
| | განათლება | |
| | ექსტერიტორიული ორგანიზაციებისა და ორგანოების საქმიანობები | |
| | ხელოვნება, გართობა და დასვენება | |
| | შინამეურნეობების, როგორც დამქირავებლის, საქმიანობები | |
| | არადიფერენცირებული საქონლისა და მომსახურების წარმოება შინამეურნეობების მიერ საკუთარი მოხმარებისათვის | |

*წყარო: სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახური*

## 5. მანდატის ფარგლებში განხორციელებული აქტივობების შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია

როგორც აღინიშნა, 2021 წლის საანგარიშო პერიოდში შრომის ინსპექციის სამსახური, როგორც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი, ზედამხედველობას ახორციელებს შრომის უსაფრთხოებაზე, შრომით უფლებებზე, იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის პრევენციის მიმართულებაზე, სამუშაო ადგილებზე ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით შემუშავებული რეკომენდაციების აღსრულებასა და შრომის უსაფრთხოების აკრედიტებული პროგრამის მართვის საკითხებზე. აღსანიშნავია, რომ შრომითი ნორმების ეფექტიანი გამოყენების უზრუნველყოფის მიზნით სამსახური ინსპექტირებებს ახორციელებს შემდეგი მიმართულებებით:

- „საქართველოს შრომის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონი;
- „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი;
- „იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის პრევენციისა და მათზე რეაგირების მიზნით, საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცდა სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელების წესი“ საქართველოს №112 დადგენილება;

ზემოხსენებულის შედეგად, 2021 წლის საანგარიშო პერიოდში:

- ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად 1074 (პირველადი და შემდგომი, დარღვევების აღმოფხვრამდე) ინსპექტირება - **446 ობიექტზე;**
- საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს შრომის კოდექსი''-ს თანახმად, საქართველოს მასშტაბით განხორციელდა 327 ინსპექტირება/რეინსპექტირება **249 ობიექტზე;**
- „იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის პრევენციის და მათზე რეაგირების მიზნით სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 7 მარტის N112 დადგენილების ფარგლებში ახორციელებს ზედამხედველობას, რომლის შედეგად არსებული მდგომარეობით საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 139 ინსპექტირება **139 ობიექტზე,** რომელთაგან 137 იყო გეგმური, ხოლო 2 არაგეგმური.
- ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით შემუშავებული ღონისძიებების აღსრულების კუთხით შრომის ინსპექციის მიერ, შემოსავლების სამსახურის, სურსათის ეროვნული სააგენტოს, მუნიციპალური საზედამხედველო სამსახურებისა და საპატრულო პოლიციის, ასევე კრიმინალური პოლიციის შესაბამისი დეპარტამენტების ჩართულობით განხორციელდა **57 290** აქტივობა **12 778 ობიექტზე**. აქტივობათა უმეტესობა მოიცავდა კონტროლისა და ზედამხედველობის სხვადასხვა სახეების გამოყენებას.

## *5.1 „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად განხორციელებული ინსპექტირებები*

2021 წელს „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად (პირველადი და შემდგომი, დარღვევების სრულ გამოსწორებამდე) 1074 ინსპექტირება განხორციელდა - 446 ობიექტზე.

შემოწმებული ობიექტების რაოდენობა ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით, საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის სეკ-2016 შესაბამისად, ასახულია №5 დიაგრამაზე.

*დიაგრამა №5*

*„შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად შემოწმებული ობიექტების რაოდენობა ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით, საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის სეკ-2016 შესაბამისად*




| *სექცია* | სექციის დასახელება |
|---|---|
| *A* | სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა |
| *B* | სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება |
| *C* | დამამუშავებელი მრეწველობა |
| *F* | მშენებლობა |
| *H* | ტრანსპორტი და დასაწყობება |
| *S* | სხვა სახის მომსახურება |
| *I* | განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები |
| *N* | ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები |
| *D* | ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება |
| *E* | წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისგან გასუფთავების საქმიანობები |
| *G* | საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი |
| *Q* | ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები |
| *J* | ინფორმაცია და კომუნიკაციის საქმიანობები |

*წყარო: სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახური*

შერჩევითი კონტროლის საფუძველზე შემოწმდა: სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობის საქმიანობების A სექციიდან 2 ობიექტი; სამთომოპოვებითი მრეწველობის, ნახშირის და ლიგნიტის მოპოვების, ნედლი ნავთობისა და ბუნებრივი აირის მოპოვების B სექტორიდან - 22 ობიექტი; დამამუშავებელი მრეწველობის (ლითონის, პლასტმასის, ბეტონის, ქაღალდის, ) C სექტორიდან - 81 ობიექტი, სამშენებლო F სექტორიდან 234 ობიექტი, საბითუმო და საცალო ვაჭრობის G სექტორიდან - 35 ობიექტი; ტრანსპორტირება მილსადენით, ასევე დამხმარე სატრანსპორტო საქმიანობების H სექტორიდან - 40

ობიექტი; სხვა სახის მომსახურების S სექციიდან 2 ობიექტი; განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის საქმიანობების I სექციიდან - 19 ობიექტი; ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობების N სექტორიდან - 2 ობიექტი; ბუნებრივი აირის წარმოებისა და მიწოდების D სექტორიდან - 2 ობიექტი; წყალმომარაგება, კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისგან გასუფთავების საქმიანობების E სექციიდან 2 ობიექტი; ჯანდაცვის და სოციალური მომსახურეობის საქმიანობის Q სექციიდან - 4 ობიექტი; ინფორმაცია და კომუნიკაციის საქმიანობების J სექციიდან - 1 ობიექტი;

შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვაზე ზედამხედველობის მიზნით ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად ინსპექტირება განხორციელდა როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში.

თბილისსა და რეგიონებში შემოწმებული ობიექტების ფარდობითი სიხშირეები ასახულია №6 დიაგრამაზე.

*დიაგრამა №6*

*,,შრომის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად შემოწმებული ობიექტების ფარდობითი სიხშირეები თბილისსა და რეგიონებში*




*წყარო: სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახური*

,,შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად თბილისში შემოწმდა 254 ობიექტი, აჭარაში - 24, გურიაში - 4, მცხეთა-მთიანეთში - 14, იმერეთში - 60, კახეთში - 10, სამეგრელო-ზემო სვანეთში -13, სამცხე-ჯავახეთში - 10, ქვემო ქართლში - 39, შიდა ქართლში - 18 ობიექტი.

შემოწმების შედეგად გამოვლინდა შეუსაბამობები საქართველოს ორგანულ კანონთან ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ“ და სხვადასხვა ტექნიკურ რეგლამენტთან, რომლებზეც განხორციელდა შესაბამისი რეაგირება.

შემოწმების შედეგად გამოვლენილი 4538 დარღვევის ფარდობითი სიხშირეები ასახულია №7 დიაგრამაზე.

*დიაგრამა №7*

*,,შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად შემოწმებისას გამოვლენილი დარღვევების ფარდობითი სიხშირეების პროცენტული მაჩვენებლები*




*წყარო: სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახური*

შემოწმების პროცესში გამოვლინდა **4538** დარღვევა. დარღვევათა პროცენტული წილი შემდეგნაირად გადანაწილდა:

- 11% - არ ხდება რისკების შეფასება;
- 9,3% - არ არის დაცული სანიტარულ ჰიგიენური ნორმები და მოუწესრიგებელია ერგონომიკა;
- 7,7 % - დასაქმებულები არ არიან აღჭურვილი ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით;
- 7,6% - არ არის შემოწმებული ტექნიკური აღჭურვილობა;
- 7,4 % - არ არის დაფარული ღიობები;
- 7,1% - არ არის ჩატარებული სწავლება/ინსტრუქტაჟი;
- 5,1% - არ არის შემუშავებული უსაფრთხოების გეგმა;
- 4,8% - The openings are not covered;არ არის ეროვნული სტანდარტის შესაბამისი;
- 4,4% - არ ხორციელდება კონტროლი ალკოჰოლზე და ნარკოტიკულ თრობაზე; არ გამოიყენება უსაფრთხოების ( მაფრთხილებელი) ნიშნები;
- 4,1% - არ ხდება სწავლება სიმაღლეზე მუშაობის დროს გამოყენებადი ტექნიკური აღჭურვილობის შესახებ
- 3,8% - დასაქმებული არ არის უზრუნველყოფილი უბედური შემთხვევის დაზღვევით;
- 3,3% - არ ხდება სიმაღლეზე მუშაობის დროს გამოყენებადი ტექნიკური აღჭურვილობის შემოწმება; კომპანიას არ აქვს აღრიცხული საწარმოო უბედური შემთხვევები;
- 3% - არ წარმოებს საწარმოო გარემო ფაქტორების გაზომვები
- 2-3% - გამოიყენება კუსტარულად დამზადებული ხარაჩო; არ ჰყავს უსაფრთხოების სპეციალისტი;
- 1-2% - არ არის გამოყენებული კოლექტიური დაცვის საშუალებები; გამოიყენება კუსტარულად დამზადებული კიბე; უგულვებელყოფილია პირველადი დახმარებისთვის გასაწევი ზომები; არ არის შემუშავებული თანამიმდევრული პრევენციული ღონისძიებების პოლიტიკა;
- 0-1% - არ გამოიყენება უსაფრთხოების ბადე; არ არის გამოყოფილი საშიში ზონები; სამშენებლო მოედანი არ არის შემოღობილი; დარღვეულია ჟანგბადისა და თხევადი აირის ბალონების დასაწყობების წესი; დარღვეულია ამწის უსაფრთხოება; დაუცველია მბრუნავი მექანიზმები;

გაფრთხილება არსებული დარღვევის სიმძიმიდან გამომდინარე დამსაქმებლისთვის გონივრული ვადის მიცემას გულისხმობს. პირველი გაფრთხილების შემდგომ, გონივრული ვადის გასვლისთანავე განმეორებითი ინსპექტირების შედეგად დაფიქსირდა, რომ 126-მა საწარმომ, რომელიც შემოწმებულ საწარმოთა 28%-ს შეადგენს, სრულად გამოასწორა დარღვევები, ხოლო, ნაწილი შრომის უსაფრთხოების ნორმების დარღვევისთვის დაჯარიმდა 200-დან 14000 ლარის ფარგლებში და განესაზღვრა ვადა შეუსაბამობების გამოსასწორებლად.

2 (ორი) კალენდარული წლის განმავლობაში საწარმოო ობიექტზე დაფიქსირებული კრიტიკული დარღვევისთვის 5 საწარმო დაჯარიმდა 50 000 ლარის, 2 – 30 000 ლარის და 5 – 20 000 ლარის ოდენობით.

კრიტიკული დარღვევისთვის სამუშაო პროცესის შეჩერების გადაწყვეტილების დამტკიცების თაობაზე სასამართლოს მიემართა 86-ჯერ. შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ მიღებული გადაწყვეტილება სამუშაოს შეჩერების თაობაზე სასამართლომ 85-ჯერ დააკმაყოფილა.

ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში მძიმე, მავნე და საშიშპირობებიანი სამუშაოების დაურეგისტრირებლობისთვის 1000 ლარით დაჯარიმდა 23 საწარმო.

სამუშაო პროცესის შეჩერების შესახებ ზედამხედველი ორგანოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობის გამო 12 ობიექტი დაჯარიმდა 2000დან -14 000 ლარის ფარგლებში.

სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახურში გასაჩივრებულ იქნა „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის დარღვევის შესაბამისად შედგენილი - 68 ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი. აქვე აღსანიშნავია, რომ 12 ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი გასაჩივრებულ იქნა საქართველოს საერთო სასამართლოებში.

### 5.1.1 სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევები

,,შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად ზედამხედველი ორგანო აკონტროლებს შრომის უსაფრთხოების ნორმების აღსრულებასა და გამოყენებას, ახორციელებს სამუშაო ადგილზე მომხდარი უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებების მოკვლევას, აღრიცხავს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

,,შრომის უსაფრთხოების“ შესახებ საქართველოს ორგანული კანონი სამუშაო სივრცეში მომხდარ უბედურ შემთხვევას განმარტავს, როგორც სამუშაო პროცესში ან სამუშაო პროცესთან დაკავშირებით მომხდარ შემთხვევას, რომელსაც შედეგად მოჰყვა დასაქმებულის ან სხვა პირის ჯანმრთელობის დაზიანება, შრომისუნარიანობის შეზღუდვა ან დაკარგვა, გარდაცვალება ან მისი უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება.

თავის მხრივ, ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის შესაბამისად, დამსაქმებელი ვალდებულია ზედამხედველ ორგანოს აცნობოს უბედური შემთხვევის შესახებ „სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებების აღრიცხვის წესის და ფორმის, მოკვლევის პროცედურებისა და ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის N01-11/ნ ბრძანების შესაბამისად. ორგანიზაციაში მომხდარი უბედური შემთხვევების მოკვლევასა და აღრიცხვას აწარმოებს სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახური. საანგარიშო პერიოდში კი სამსახურის მიერ მოკვლეულ იქნა **171 შემთხვევა.**

**2021 წლის საანგარიშო პერიოდში სამუშაო ადგილზე გარდაიცვალა 37 და დაშავდა 253 პირი.** გარდაცვლილთა და დაშავებულთა რაოდენობრივი თანაფარდობა ასახულია №8 დიაგრამაზე.

*დიაგრამა №8*

*2021 წელს სამუშაო ადგილებზე მომხდარი უბედური შემთხვევის შედეგად* გარდაცვლილთა და დაშავებულთა *რაოდენობა*




*წყარო: სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახური*

სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევის შედეგად გარდაცვლილია 34 კაცი, ხოლო დაშავებულთაგან 37 ქალი და 216 კაცია. სამუშაო ადგილზე მომხდარი უბედური შემთხვევის შედეგად გარდაცვლილთა და დაშავებულთა თანაფარდობა გენდერულ ჭრილში წარმოდგენილია დიაგრამაზე №9

*დიაგრამა №9*

*სამუშაო ადგილებზე მომხდარი უბედური შემთხვევის შედეგად* გარდაცვლილთა *და* დაშავებულთა *თანაფარდობა გენდერულ ჭრილში*




*წყარო: სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახური*

გარდაცვლილთა და დაშავებულთა რაოდენობა ეკონომიკური საქმიანობის სახეების სეკ-2016-ის მიხედვით ასახულია №10 დიაგრამაზე.

*დიაგრამა №10*

*სამუშაო ადგილებზე მომხდარი უბედური შემთხვევის შედეგად 2021 წელს* გარდაცვლილთა *და* *დაშავებულთა რაოდენობა ეკონომიკურ საქმიანობის სახეების სეკ-2016-ის მიხედვით*




| | A სოფლის მეურნეობა | B სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერის დამუ... | C დამამუშავებელი მრეწველობა | D ელექტროენერგიის, აირის და ორთქლის მიწოდება | E წყალმომარაგება, კანალიზაცია, ნარჩენების მართვა | F1საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა | F2 გზაბის, გვირაბებისა და ხიდების მშენებლობა | F3 სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები | G საბითუმო და საცალო ვაჭრობა | H ტრანსპორტი და დასაწყობება | I განთავსების საშუალებები და კვების მიწოდების საქმია... | K საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები | N ადმინისტაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები | Q ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები | P განათლება |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| გარდაცვლილი | 4 | 3 | 6 | 4 | 0 | 13 | 2 | 3 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| დაშავებული | 0 | 40 | 50 | 9 | 22 | 24 | 9 | 17 | 28 | 30 | 20 | 1 | 1 | 1 | 1 |

*წყარო: სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახური*

სამუშაო ადგილებზე მომხდარი უბედური შემთხვევის შედეგად სოფლის მეურნეობის საქმიანობის A სექციაში გარდაცვლილია 4 დასაქმებული; სამთომოპოვებითი მრეწველობისა და კარიერის დამუშავების B სექციაში გარდაცვლილია 3 და დაშავებულია 40; დამამუშავებელი მრეწველობის C სექციაში გარდაცვლილია 6 და დაშავებულია 50; ელექტროენერგიის, აირის და ორთქლის მიწოდების საქმიანობების D სექციაში გარდაცვლილია 4 და დაშავებულია 9; წყალმომარაგების, ნარჩენების მართვის საქმიანობის E სექციაში დაშავებულია 22 დასაქმებული; საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობის საქმიანობის F1 სექციაში გარდაცვლილია 13 და დაშავებულია 24; სამოქალაქო მშენებლობის საქმიანობის F2 სექციაში გარდაცვლილია 2 და დაშავებული 9; სპეციალიზებული სამშენებლო სამუშაოების F3 სექციაში გარდაცვლილია 3 და დაშავებული 17; საბითუმო და საცალო ვაჭრობის საქმიანობის G სექციაში დაშავებულია 28 დასაქმებული; ტრანსპორტისა და დასაწყობების საქმიანობის H სექციაში გარდაცვლილია 2 და დაშავებულია 30; განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფისა და კვების მიწოდების საქმიანობების I სექციაში დაშავებულია 20; საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობების K სექციაში დაშავებულია 1; ჯანდაცვის საქმიანობების Q სექციაში დაშავებულია 1; ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობების N სექციაში დაშავებულია 1 პირი, განათლების P სექციაში დაშავებულია 1 პირი;

რეგიონების მიხედვით სამუშაო ადგილზე გარდაცვლილთა და დაშავებულთა რაოდენობა განაწილებულია №11 დიაგრამაზე.

*დიაგრამა №11*

*2021 წელს სამუშაო ადგილზე მომხდარი უბედური შემთხვევის შედეგად გარდაცვლილთა და დაშავებულთა რაოდენობა რეგიონების მიხედვით*




*წყარო: სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახური*

,,შრომის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-14 მუხლის შესაბამისად, სამუშაო სივრცეში უბედური შემთხვევა კლასიფიცირდება მისი შედეგების და ერთ ჯერზე დაშავებული ადამიანების რაოდენობის მიხედვით, შემდეგნაირად:

ა) *მსუბუქი უბედური შემთხვევა* – უბედური შემთხვევის გამო მსუბუქი დაზიანება შრომისუნარიანობის დაკარგვის გარეშე ან შრომისუნარიანობის დაკარგვით არაუმეტეს 3 დღისა;

ბ) *საშუალო სიმძიმის უბედური შემთხვევა* – უბედური შემთხვევის გამო დაზიანება შრომისუნარიანობის დაკარგვით 3 დღიდან 40 დღემდე;

გ) *მძიმე უბედური შემთხვევა* – უბედური შემთხვევის გამო მუდმივი შრომისუუნარობის განვითარება ან ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება ან/და დროებითი შრომისუუნარობის განვითარება 40 კალენდარულ დღეზე მეტი ხნით;

დ) *ფატალური უბედური შემთხვევა* – უბედური შემთხვევის გამო ადამიანის (დასაქმებულის ან სხვა პირის) სამუშაო ადგილზე ან უბედური შემთხვევიდან 1 წლის განმავლობაში გარდაცვალება;

ე) *მასობრივი უბედური შემთხვევა* – უბედური შემთხვევის გამო 3 ან მეტი ადამიანის დაშავება, მათ შორის, 1 მძიმე უბედური შემთხვევა ან 1 ფატალური უბედური შემთხვევა.

,,შრომის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის (სამუშაო სივრცეში უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებების შემთხვევების რეგისტრაცია, მოკვლევა და ანგარიშგება) მე-2 პუნქტის ,,გ.გ" ქვეპუნქტის შესაბამისად დამსაქმებელი ვალდებულია, შეატყობინოს ზედამხედველ ორგანოს საშუალო, მძიმე, ფატალური და მასობრივი უბედური შემთხვევების შესახებ.

შესაბამისად, ზედამხედველი ორგანოს მიერ ხდება იმ საწარმოო უბედური შემთხვევების აღრიცხვა, რომლებიც კლასიფიცირდება, როგორც: საშუალო, მძიმე, ფატალური და მასობრივი.

2021 წლის საანგარიშო პერიოდში სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევებიდან დაფიქსირდა 1 მასობრივი უბედური შემთხვევა. დაშავებულთაგან 58 შემთხვევა კლასიფიცირდა როგორც მძიმე უბედური შემთხვევა, 195 კი როგორც საშუალო სიმძიმის უბედური შემთხვევა.

საწარმოო უბედური შემთხვევები კლასიფიკაციის მიხედვით ნაჩვენებია №12 დიაგრამაზე.

*დიაგრამა №12*

*კლასიფიცირებული საწარმოო უბედური შემთხვევები*

*წყარო: სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახური*

საწარმოო უბედური შემთხვევების შედეგად დაშავებულ პირთათვის მიყენებული სხვადასხვა ტიპის დაზიანებათა ფარდობითი სიხშირეები თვალსაჩინოდ ნაჩვენებია №13 დიაგრამაზე.

*დიაგრამა №13*

*დაზიანებათა ტიპების ფარდობითი სიხშირეები*




*წყარო: სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახური*

,,სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებების აღრიცხვის წესის და ფორმის, მოკვლევის პროცედურებისა და ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის N01-11/ნ ბრძანების დანართი 1.2-ის შესაბამისად, დამსაქმებლის მიერ სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურში გამოგზავნილი მოკვლევის ოქმებისა და სამსახურის მიერ განხორციელებული მოკვლევების საფუძველზე საწარმოო ინციდენტები ასაკობრივ ჭრილში ნაჩვენებია №14 დიაგრამაზე.

*დიაგრამა №14*

*საწარმოო ინციდენტები ასაკობრივ ჭრილში*




*წყარო: სსიპ შრომის ინსპექციის სამსახური*

როგორც დიაგრამიდან ჩანს, საწარმოო უბედური შემთხვევა უკავშირდება 20 წლამდე ასაკის 7 დასაქმებულს, 20-დან 40 წლამდე ასაკის -98, 40-დან 60 წლამდე -84, ხოლო, 60 და უფროსი ასაკის - 41 დასაქმებულს.

ასაკის მიხედვით, გარდაცვლილთა მაქსიმალური რაოდენობა განაწილდა 20-40 წლამდე ასაკობრივ დიაპაზონში.

სამუშაო გამოცდილების მიმართულებით სამუშაო ადგილებზე უბედური შემთხვევის შედეგად დაშავებულთა რაოდენობა ასახულია №15 დიაგრამაზე.

*დიაგრამა №15*

სამუშაო ადგილებზე მომხადარი უბედური შემთხვევების მოკვლევების საფუძველზე შემთხვევების *რაოდენობა დასაქმებულთა სამუშაო გამოცდილების მიხედვით*




*წყარო: სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახური*

***უნდა აღინიშნოს, რომ 2021 წელს საწარმოო უბედური შემთხვევების შედეგად გარდაცვლილთა რაოდენობა 2020 წელთან შედარებით შემცირებულია 5%-ით, 2019 წელთან შედარებით შემცირებულია 18%-ით, ხოლო, 2018 წელთან შედარებით შემცირებულია 31%-ით.***

№16 დიაგრამაზე თვალსაჩინოდაა წარმოდგენილი 2018-2021 წლებში სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევის შედეგად გარდაცვლილთა რაოდენობა.

*დიაგრამა №16*

*სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევის შედეგად*
*გარდაცვლილთა რაოდენობა 2018-2021 წლებში*




*წყარო: სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახური*

***<u>შენიშვნა:</u>***

*სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევების შესახებ სტატისტიკური მონაცემები შეგროვებული და დამუშავებულია „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მიზნებისა და მეთოდოლოგიის მიხედვით.*

## *5.2 საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსი"-ს შესაბამისად განხორციელებული ინსპექტირებები*

2021 წლის საანგარიშო პერიოდში შრომითი უფლებების ზედამხედველობის მიმართულებით სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ განხორციელდა 327 ინსპექტირება (პირველადი და შემდგომი, დარღვევების სრულ გამოსწორებამდე) 249 ობიექტზე. მათ შორის, გეგმური ინსპექტირებების ფარგლებში შემოწმებული ობიექტების რაოდენობამ შეადგინა - 73, საჩივრის საფუძველზე - 36 ობიექტი შემოწმდა, ხოლო საკუთარი ინიციატივით - 140.

**ზედამხედველობა 15000-მდე დასაქმებულ პირს შეეხო**

აქვე აღსანიშნავია, რომ შრომითი უფლებების დარღვევის დადგენის მოთხოვნით, როგორც ფიზიკური პირების, ასევე ორგანიზაციების მხრიდან, სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახურში 2021 წლის საანგარიშო პერიოდში შემოსულ იქნა ჯამში 164 საჩივარი.

როგორც აღინიშნა შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ საჩივრის საფუძვლით შემოწმებულ იქნა 36 ორგანიზაცია და გამოვლენილი დარღვევების შესაბამისად შედგენილ იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი.

დაინტერესებულ პირთა მიერ წარმოდგენილ დანარჩენ საჩივრებზე არ იქნა კანონმდებლობით გათვალისწინებული ინფორმაცია/დოკუმენტაცია წარმოდგენილი, რაც საჩივრების განუხილველობის საფუძველი გახდა. ნაწილზე კი ინსპექტირების პროცესი გაგრძელდა და დასრულდა 2022 წლის საანგარიშო პერიოდში.

აქვე აღსანიშნავია, რომ ახალი კორონავირუსული დაავადების COVID 19-ის მართვის პროცესში ჩართული სამედიცინო პერსონალის სახელმწიფოს მხრიდან „2020 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის №674 დადგენილებასა და „2021 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 დეკემბრის №828 დადგენილების N20 დანართით განსაზღვრული დამატებითი ანაზღაურების/დანამატის და მისგან გამომდინარე შრომითი ურთიერთობის კანონიერების შესწავლის მიზნით ინსპექტირება განხორციელდა 110 კლინიკაში, რომლის შედეგად გამოვლენილი დარღვევების აღმოფხვრის მიზნით სამსახურის მიერ შედგენილ იქნა 86 ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი. კლინიკებზე ზედამხედველობა შეეხო 8000-მდე დასაქმებულ პირს.

პირველადი ინსპექტირების ფარგლებში სანქციის სახედ გამოყენებულ იქნა გაფრთხილება, გარდა 3 ობიექტისა, რომელთაც ადმინისტრაციული სახდელის სახედ განესაზღვრათ ჯარიმა. აღნიშნული ობიექტებიდან 78-ზე განხორციელდა რეინსპექტირება (განმეორებითი ინსპექტირება), რომლის საბოლოო შედეგების დადგენის მიზნით საქმისწარმოების პროცესი მიმდინარეობს.

რაც შეეხება, საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს შრომის კოდექსი''-ს შესაბამისად საქართველოს მასშტაბით შემოწმებული ობიექტების გადანაწილების ფარდობითი სიხშირეები ასახულია №17 დიაგრამაზე.

*დიაგრამა №17*

*საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს შრომის კოდექსი''-ს შესაბამისად შემოწმებული ობიექტების ფარდობითი სიხშირეები თბილისსა და რეგიონებში*




*წყარო: სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახური*

საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს შრომის კოდექსი''-ს შესაბამისად: თბილისში შემოწმდა 155 ობიექტი, აჭარაში - 14, გურიაში - 4, მცხეთა-მთიანეთში - 5, იმერეთში - 23, კახეთში - 9, სამეგრელო-ზემო სვანეთში -8, სამცხე-ჯავახეთში -7, ქვემო ქართლში - 15, შიდა ქართლში - 9 ობიექტი.

საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს შრომის კოდექსი''-ს შესაბამისად შემოწმებული ობიექტების რაოდენობა ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის სეკ-2016 შესაბამისად ასახულია №18 დიაგრამაზე.

*დიაგრამა №18*

*საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს შრომის კოდექსი''-ს შესაბამისად შემოწმებული ობიექტების რაოდენობა ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის სეკ-2016 შესაბამისად.*




*წყარო: სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახური*

| *სექცია* | სექციის დასახელება |
|---|---|
| *C* | დამამუშავებელი მრეწველობა |
| *F* | მშენებლობა |
| *H* | ტრანსპორტი და დასაწყობება |
| *I* | განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები |
| *N* | ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები |
| *E* | წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისგან გასუფთავების საქმიანობები |
| *G* | საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი |
| *Q* | ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები |
| *A* | სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა |
| *O* | სახელმწიფო მმართველობითი საქმიანობები |
| *P* | განათლება |
| *R* | ხელოვნება, გართობა და დასვენება |
| *J* | ინფორმაცია და კომუნიკაცია |
| *K* | საფინანსო და სადაზღვეო საქმიანობები |
| *M* | პროფესიული სამეცნიერო და ტექნიკური სამუშაოები |
| *L* | უძრავ ქონებასთან დაკაშირებული საქმიანობები |

შერჩევითი კონტროლის საფუძველზე შემოწმდა:

დამამუშავებელი მრეწველობის (ლითონის, პლასტმასის, ბეტონის, ქაღალდის, ) C სექციიდან - 17 ობიექტი; სამშენებლო F სექციიდან 4 ობიექტი; ტრანსპორტირება მილსადენით, ასევე დამხმარე სატრანსპორტო საქმიანობების H სექციიდან - 2 ობიექტი; განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის საქმიანობების I სექციიდან - 2 ობიექტი; ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობების N სექციიდან - 8 ობიექტი; წყალმომარაგება, კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისგან გასუფთავების საქმიანობების E სექციიდან 2 ობიექტი; საბითუმო და საცალო ვაჭრობის G სექციიდან - 60 ობიექტი; ჯანდაცვის და სოციალური მომსახურეობის საქმიანობის Q სექციიდან - 124 ობიექტი; სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობის საქმიანობების A სექციიდან 1 ობიექტი; სახელმწიფო მმართველობითი საქმიანობების O სექციიდან - 5 ობიექტი; საგანმანათლებლო საქმიანობების P სექციიდან 5 ობიექტი; ხელოვნების,

გართობისა და დასხვენების საქმიანობების R სექციიდან - 5 ობიექტი; ინფორმაცია და კომუნიკაციის საქმიანობების J სექციიდან - 5 ობიექტი; საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობების K სექციიდან - 6 ობიექტი; პროფესიული სამეცნიერო და ტექნიკური სამუშაოების M სექციიდან - 2 ობიექტი; უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობების L სექციიდან - 1 ობიექტი

აღსანიშნავია, რომ ცხრილში წარმოდგენილი ობიექტებიდან, სულ გამოიცა 195 ოქმი. 192 შემოწმებული ობიექტის მიმართ სანქციის სახედ გამოყენებულ იქნა გაფრთხილება, ხოლო, 3 ობიექტი დაჯარიმდა დაფიქსირებული დარღვევების საფუძველით.

სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ ჯამში გაიცა 1766 მითითება, რომლებიც მოიცავს საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს შრომის კოდექსით'' დადგენილ ცალკეულ მუხლებსა და პუნქტებს, ასევე ქვეპუნქტებს, კერძოდ:

მე-12 მუხლი - ხელშეკრულების ფორმის დაუცველობა; მე-14 მუხლი - ხელშეკრულების ვადასა და პირობებთან დაკავშირებული დარღვევები; მე-11 მუხლის პირველი პუნქტი - წინასახელშეკრულებო ურთიერთობისას დასაქმებულის შესახებ ინფორმაციის მოპოვების წესის დარღვევა; მე-11 მუხლის მე-9 პუნქტი - წინასახელშეკრულებო ურთიერთობისას დისკრიმინაციის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ვალდებულებების დარღვევა; 24-ე მუხლის მე-11 პუნქტი სამუშაო დროის აღრიცხვასთან დაკავშირებული წესების დარღვევა; 24-ე მუხლის მე-5 პუნქტი- შესვენების დროის არასწორად განსაზღვრა; 27-ე მუხლი - ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული დებულებების დარღვევა; 35-ე მუხლი - ანაზღაურებადი შვებულების გადატანის წესის დარღვევა; პირველი მუხლის მე-3 პუნქტი - შრომით ხელშეკრულებაში ისეთი პირობების არსებობა, რომელიც აუარესებს დასაქმებულის მდგომარეობას; მე-4 მუხლი შრომით დისკრიმინაციასთან დაკავშირებული დებულებების დარღვევა; მე-16 მუხლის მე-5 პუნქტი დასაქმებულის ერთზე მეტ სრულ ან არასრულ სამუშაო განაკვეთზე დასაქმებასთან დაკავშირებული დებულების დარღვევა; მე-16 მუხლის მე-2 პუნქტი- არასრულ სამუშაო განაკვეთზე დასაქმებული პირის მიმართ განსხვავებული მოპყრობა; მე-17 მუხლი - გამოსაცდელ ვადასთან დაკავშირებული დებულებების დარღვევა; მე-18 მუხლი - სტაჟირებასთან დაკავშირებული დებულებების დარღვევა; მე-20 მუხლი - ხელშეკრულების პირობების შეცვლასთან დაკავშირებული დებულებების დარღვევა; 22-ე მუხლი - პროფესიული განვითარების ხელშეწყობის დებულებების დარღვევა; 23-ე მუხლი - შრომის შინაგანაწესთან დაკავშირებული დებულებების დარღვევა; 25-ე მუხლი - ცვლაში მუშაობასთან დაკავშირებული დებულებების დარღვევა; 28-ე მუხლი - ღამის სამუშაოზე დასაქმების შეზღუდვა; 30-ე მუხლი - უქმე დღეებთან დაკავშირებული დებულებების დარღვევა; 31-ე მუხლი - შვებულებას ხანგრძლივობასთან დაკავშირებული დებულებების დარღვევა; 32-ე მუხლი - შვებულების მიცემის წესთან დაკავშირებული დებულებების დარღვევა; 33-ე მუხლი - ანაზღაურების გარეშე შვებულების აღებისას დამსაქმებლის წინასწარი გაფრთხილების ვალდებულება; 34-ე მუხლი - შვებულების მოთხოვნის უფლების წარმოშობა; 36-ე მუხლი - დასაქმებული საშვებულებო ანაზღაურებასთან დაკავშირებული დებულებების დარღვევა; 41-ე მუხლი - შრომის ანაზღაურების ფორმა, ოდენობა და გაცემის დროსთან დაკავშირებული დებულებების დარღვევა; 43-ე მუხლი - შრომის ანაზღაურებიდან დაქვითვა; 44-ე მუხლი - საბოლოო ანგარიშსწორება შრომითი ურთიერთობის შეწყვეტისას; 46-ე მუხლი - შრომითი ურთიერთობის შეჩერებასთან დაკავშირებული დებულებების დარღვევა; 47-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ი" ქვეპუნქტი - ხელშეკრულების შეწყვეტის პირობის განსაზღვრასთან დაკავშირებული დებულების დარღვევა; 51-ე

მუხლი - მუშაობის დამსაქმებლის მითითებით გაგრძელებასთან დაკავშირებული დებულებების დარღვევა; 59-ე მუხლი - პასუხისმგებლობის შესახებ წერილობითი ხელშეკრულებასთან დაკავშირებული დებულებების დარღვევა; მე-60 მუხლი - შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული შეზღუდვებთან დაკავშირებული დებულებების დარღვევა; მე-2 მუხლი - შრომითი ურთიერთობა; მე-3 მუხლი - შრომითი ურთიერთობის სუბიექტები; მე-13 მუხლი - შრომით ხელშეკრულების ენასთან დაკავშირებული დებულებების დარღვევა; 24-ე მუხლის მე-4 პუნქტი - ცვლებს შორის დასვენების დროსთან დაკავშირებით დებულების დარღვევა; 24-ე მუხლის მე-7 პუნქტი - დასვენების დროსთან დაკავშირებული დებულების დარღვევა; 27-ე მუხლი - ზეგანაკვეთურ სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული დებულებების დარღვევა; 39-ე მუხლი - ორსულობისა და მშობიარობის გამო შვებულების, ბავშვის მოვლის გამო შვებულებისა და ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულების ანაზღაურებასთან დაკავშირებული დებულებების დარღვევა.

შემოწმების შედეგად გამოვლენილი დარღვევების ფარდობითი სიხშირეები ასახულია №19 დიაგრამაზე.

*დიაგრამა №19*

*საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსი"-ს ფარგლებში განხორციელებული ინსპექტირებებისას გამოვლენილი დარღვევების ფარდობითი სიხშირეები*



*წყარო: სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახური*

შემოწმების პროცესში გამოვლენილი დარღვევების შესაბამისად გაცემული 1766 მითითება შემდეგნაირად ნაწილდება:

პირველი მუხლის დარღვევის საფუძველზე 38 შემთხვევაში გაიცა მითითება; მე-2 მუხლით გასაზღვრული შრომითი ურთიერთობის დარღვევის საფუძველზე 37 შემთხვევაში გაიცა მითითება; მე-3 მუხლით განსაზღვრული შრომითი ურთიერთობის სუბიექტების დარღვევის საფუძველზე 5 შემთხვევაში გაიცა მითითება; მე-4 მუხლით განსაზღვრული შრომითი დისკრიმინაციის დარღვევის საფუძველზე 7 შემთხვევაში გაიცა მითითება; მე-9 მუხლით განსაზღვრული გონივრული მისადაგების დარღვევის საფუძველზე 5 შემთხვევაში გაიცა მითითება; მე-11 მუხლით განსაზღვრული წინასახელშეკრულებო ურთიერთობისა და ინფორმაციის გაცვლა ხელშეკრულების დადებამდე დარღვევის საფუძველზე 53 შემთხვევაში გაიცა მითითება; მე-12 მუხლით განსაზღვრული ხელშეკრულების ფორმის დარღვევის საფუძველზე 77 შემთხვევაში გაიცა მითითება; მე-13 მუხლით განსაზღვრული შრომითი ხელშეკრულების ენასთან დაკავშირებული დებულებების დარღვევის საფუძველზე 1 შემთხვევაში გაიცა მითითება; მე-14 მუხლით განსაზღვრული შრომითი ხელშეკრულების შინაარსთან: ხელშეკრულების ვადასა და არსებით პირობებთან დაკავშირებული დარღვევების საფუძველზე 511 შემთხვევაში გაიცა მითითება; მე-16 მუხლით განსაზღვრული არასრულ სამუშაო განაკვეთთან დაკავშირებული დებულებების დარღვევის საფუძველზე 59 შემთხვევაში გაიცა მითითება; მე-17 მუხლით განსაზღვრული გამოსაცდელი ვადის დარღვევის საფუძველზე 14 შემთხვევაში გაიცა მითითება; მე-18 მუხლით განსაზღვრული სტაჟირების დარღვევის საფუძველზე 2 შემთხვევაში გაიცა მითითება; მე-20 მუხლით განსაზღვრული შრომითი ხელშეკრულების პირობების შეცვლის დარღვევის საფუძველზე 96 შემთხვევაში გაიცა მითითება; 22-ე მუხლით განსაზღვრული პროფესიული განვითარების ხელშეწყობის დარღვევის საფუძველზე 12 შემთხვევაში გაიცა მითითება; 23-ე მუხლით განსაზღვრული შრომის შინაგანაწესის დარღვევის საფუძველზე 80 შემთხვევაში გაიცა მითითება; 24-ე მუხლით განსაზღვრული სამუშაო დროის ხანგრძლივობის დარღვევის საფუძველზე 199 შემთხვევაში გაიცა მითითება; 25-ე მუხლით ცვლაში მუშაობისათვის განსაზღვრული სამუშაო დროის დარღვევის საფუძველზე 59 შემთხვევაში გაიცა მითითება; 27-ე მუხლით განსაზღვრული ზეგანაკვეთური სამუშაოს დარღვევის საფუძველზე 117 შემთხვევაში გაიცა მითითება; 28-ე მუხლით განსაზღვრული ღამის სამუშაოზე დასაქმების შეზღუდვის დარღვევის საფუძველზე 1 შემთხვევაში გაიცა მითითება; 30-ე მუხლით განსაზღვრული უქმე დღეების დარღვევის საფუძველზე 10 შემთხვევაში გაიცა მითითება; 31-ე მუხლით განსაზღვრული შვებულების ხანგრძლივობის დარღვევის საფუძველზე 51 შემთხვევაში გაიცა მითითება; 32-ე მუხლით განსაზღვრული შვებულების მიცემის წესის დარღვევის საფუძველზე 6 შემთხვევაში გაიცა მითითება; 33-ე მუხლით განსაზღვრული ანაზღაურების გარეშე შვებულების აღებისას დამსაქმებლის წინასწარ გაფრთხილების ვალდებულების დარღვევის საფუძველზე 2 შემთხვევაში გაიცა მითითება; 34-ე მუხლით განსაზღვრული შვებულების მოთხოვნის უფლების წარმოშობის დარღვევის საფუძველზე 2 შემთხვევაში გაიცა მითითება; 36-ე მუხლით განსაზღვრული დასაქმებულის საშვებულებო ანაზღაურების დარღვევის საფუძველზე 24 შემთხვევაში გაიცა მითითება; 39-ე მუხლით განსაზღვრული ორსულობისა და მშობიარობის გამო შვებულების, ბავშვის მოვლის გამო შვებულებისა და ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულების ანაზღაურების დარღვევის საფუძველზე 1 შემთხვევაში გაიცა მითითება; 41-ე მუხლით განსაზღვრული შრომის ანაზღაურების გაცემის ფორმის, ოდენობისა და გაცემის დროის დარღვევის საფუძველზე 155 შემთხვევაში გაიცა მითითება; 43-ე

მუხლით განსაზღვრული შრომის ანაზღაურებიდან დაქვითვის დარღვევის საფუძველზე 28 შემთხვევაში გაიცა მითითება; 44-ე მუხლით განსაზღვრულ შრომითი ურთიერთობის შეწყვეტისას საბოლოო ანგარიშსწორების დარღვევის საფუძველზე 9 შემთხვევაში გაიცა მითითება; 46-ე მუხლით განსაზღვრული შრომითი ურთიერთობის შეჩერების დარღვევის საფუძველზე 30 შემთხვევაში გაიცა მითითება; 51-ე მუხლით განსაზღვრული მუშაობის გაგრძელება დამსაქმებლის მითითებით დარღვევის საფუძველზე 4 შემთხვევაში გაიცა მითითება; 59-ე მუხლით განსაზღვრული წერილობითი ხელშეკრულება პასუხისმგებლობის შესახებ დარღვევის საფუძველზე 13 შემთხვევაში გაიცა მითითება; მე-60 მუხლით განსაზღვრული შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული შეზღუდვების დარღვევის საფუძველზე 28 შემთხვევაში გაიცა მითითება; 35-ე მუხლით განსაზღვრული ანაზღაურებადი შვებულების გადატანის გამონაკლისი შემთხვევების დარღვევის საფუძველზე 9 შემთხვევაში გაიცა მითითება; 47-ე მუხლით განსაზღვრული შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლების დარღვევით 1 შემთხვევაში გაიცა მითითება;

როგორც დასაწყისში აღინიშნა დამატებითი ანაზღაურების/დანამატის და მისგან გამომდინარე შრომითი ურთიერთობის კანონიერების შესწავლის მიზნით შემოწმდა110 კლინიკა, რომელზედაც სამსახურის მიერ შედგენილ იქნა 86 ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი. წარმოდგენილი კლინიკებიდან 20 ობიექტზე არ გამოვლინდა დარღვევა დამატებითი ანაზღაურების/დანამატის და მისგან გამომდინარე შრომითი ურთიერთობების კუთხით. გარდა ამისა, 4 მათგანზე საქმისწარმოება შეწყდა იმ საფუძველით, რომ ისინი აღარ ფუნქციონირებენ კოვიდ კლინიკის სტატუსით.

რაც შეეხება, ანაზღაურების/დანამატის და მისგან გამომდინარე შრომითი ურთიერთობის კანონიერების შესწავლის მიზნით ინსპექტირების პროცესში გამოვლენილი დარღვევების საერთო ანალიზს, რომელიც საფუძვლად დაედო თითოეული კლინიკის მიმართ შედგენილ სამართალდარღვევის ოქმებსა და მითითებებს, წარმოადგენს შემდეგს:

დარღვეულ იქნა საქართველოს ორგანული კანონის ,,შრომის კოდექსის'' ცალკეული მუხლები, პუნქტები და ქვეპუნქტები. უფრო კონკრეტულად ადგილი ჰქონდა, როგორც დანამატის გაუცემლობას, ასევე დანაკლისით გაცემას; დანამატების სხვა პირებზე გაცემას; დანამატის გაცემის ხარჯზე ხელფასის შემცირებას ან საერთოდ გაუცემლობას; დისკრიმინაციას, როგორც შრომის ანაზღაურებასთან დაკავშირებით არათანაბარ მოპყრობას (ექთნების მიმართ); შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობების შეუსაბამობას შრომის კოდექსთან მიმართებით; მხარეთა შეთანხმების გარეშე ხელშეკრულების არსებითი პირობების ცვლილებას, როგორც სამუშაო აღწერილობის, ასევე მასთან მიმართებით სამუშაო დროსთან, დამატებით ფუნქცია-მოვალეობებთან და შრომის ანაზღაურების ოდენობასთან დაკავშირებით. ასევე შეინიშნებოდა შრომითი ხელშეკრულებების მომსახურების ხელშეკრულებით გაფორმების ტენდენცია. ამასთან, გამოვლენილ იქნა სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმის არარსებობა ან მისი შეუსაბამობა მინისტრის ბრძანებით დამტკიცებულ სამუშაო დროის აღრიცხვის წესის მოთხოვნებთან; ანაზღაურების გარეშე ზეგანაკვეთურად მუშაობას, დასაქმებულთა კუთვნილი შვებულებებისა და დასვენების დროის გაუცემლობა; კვირის ჭრილში 12/24 საათიანი დასვენების არარსებობა; ცვლიანობის გრაფიკის დაუცველობა;

სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახურში გასაჩივრებულ იქნა საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს შრომის კოდექსი''-ს დარღვევის შესაბამისად შედგენილი - 19 ადმინისტრაციულ

სამართალდარღვევათა ოქმი. აქვე აღსანიშნავია, რომ 3 ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი გასაჩივრებულ იქნა საქართველოს საერთო სასამართლოებში.

გარდა ინსპექტირებებისა, ასევე, უნდა აღინიშნოს, მოქალაქეთა წერილობითი კონსულტირების მიმართულებაც შრომითი უფლებების გამოყენებასთან დაკავშირებით. საანგარიშო პერიოდში გაცემულია 180 წერილობითი კონსულტაცია. თემატიკის დიდი ნაწილი უკავშირდება შრომის კოდექსის ახალ რედაქციაში ასახულ ცვლილებებს. თემატური ჩაშლა ფარდობითი სიხშირით ასახულია №20 დიაგრამაზე.

*დიაგრამა №20*

*საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსი"-ს შესაბამისად გაცემული წერილობითი კონსულტაციების თემატური ჩაშლა ფარდობითი სიხშირეებით*




*წყარო: სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახური*

### 5.2.1 შრომის კოდექსზე ზედამხედველობის მიგნებები/შედეგები

- **სამუშაო ადგილებზე კოლექტიური პასუხისმგებლობის დაკისრების აკრძალვა**

სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ განხორციელებულ საქმიანობაში განსაკუთრებით აღსანიშნავია კანონის აღსრულების მხრივ ისეთ მნიშვნელოვანი პრეცედენტის შექმნა, რომელიც ეხებოდა ბრალის გარეშე **კოლექტიური პასუხისმგებლობის აკრძალვას დასაქმებულებთან მიმართებით.**

სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ ეკონომიკურ სფეროს სხვადასხვა სექტორში გამოვლენილი იქნა კოლექტიური პასუხისმგებლობის არსებობის ისეთი პრაქტიკა, რომელიც გულისხმობდა მატერიალური/ფინანსური დანაკლისის შემთხვევაში ბრალეული პირის იდენტიფიკაციის გარეშე პასუხისმგებლობის ყველა დასაქმებულზე განაწილებას. ყველა დასაქმებული დამსაქმებლისათვის მიყენებულ ზიანზე კოლექტიურ პასუხისმგებლობას იღებდა. დასაქმებული ვალდებული იყო აენაზღაურებინა დანაკლისი იმ შემთხვევაში, როდესაც ვერ დგინდებოდა პროდუქციის თუ თანხის დანაკლისის მიზეზი. ასევე, დამსაქმებელი უფლებამოსილი იყო ერთ-ერთი დასაქმებულის მხრიდან არაჯეროვნად შესრულებული სამუშაოს გამო პასუხისმგებლობა გაევრცელებინა სხვა დასაქმებულებზეც. სხვადასხვა შემთხვევაში, დასაქმებულს კაბალური პირობების დაკმაყოფილება და პასუხისმგებლობის კერძო საკუთრებით უზრუნველყოფაც უხდებოდა. დასაქმებულისათვის პასუხისმგებლობის დაკისრება ხდებოდა ისე, რომ არ იყო გათვალისწინებული ქმედების შედეგად მიყენებული ზიანი, დამრღვევის მართლსაწინააღმდეგო ქმედება, მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის, სამართალდამრღვევის ბრალი.

სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურის მხრიდან გაკეთდა ცალსახა და მკაფიო შეფასება, რომ იმ შემთხვევაში, თუ კომპანიის მიერ არ არის გამოვლენილი ზიანის მიმყენებელი კონკრეტული დასაქმებულის ვინაობა და შესაბამისად, არ დგინდება პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის სავალდებულო წინაპირობები, ასეთი ზიანის სოლიდარულად გადანაწილება სცდება კანონმდებლობით დადგენილ დასაქმებულთა პასუხისმგებლობის ფარგლებს, შესაბამისად, კომპანიაში მოქმედი ბრალის გარეშე - „კოლექტიური მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ“ დათქმები ეწინააღმდეგება საქართველოს შრომის კანონმდებლობას და მკვეთრად აუარესებს დასაქმებულთა მდგომარეობას.

ხაზგასმით აღსანიშნავია რომ საბოლოოდ, სამსახურის მიერ, კოლექტიური პასუხისმგებლობის დაკისრება აიკრძალა - დამსაქმებელი დასაქმებულს, მისი უშუალო ბრალეულობის დადგენის გარეშე, სასაქონლო-მატერიალური მარაგების დანაკლისით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებას ვეღარ მოსთხოვს.

- **სამუშაო ადგილებზე დისკრიმინაციული ფაქტების გამოვლენა**

ძალიან მნიშვნელოვანი და პრეცედენტული იყო **დისკრიმინიაციის სავარაუდო ფაქტების მოკვლევა** წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში.

სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურმა 2021 წლიდან მინიჭებული მანდატის ფარგლებში, რომელიც მოიცავს დისკრიმინაციის ამკრძალავი პრინციპების დაცვას, (წინასახელშეკრულებო, ასევე შრომითი ურთიერთობის, დასაქმებისა და პროფესიული საქმიანობის ნებისმიერ ეტაპზე) 2021 წლის საანგარიშო პერიოდში საჯარო წესით გამოქვეყნებული 100 ვაკანსიის შესახებ განცხადებების მოთხოვნების შრომის

კანონმდებლობასთან შესაბამისობის კუთხით განახორციელა ზედამხედველობა (როგორც მომართული საჩივრის, ასევე, საკუთარი ინიციატივის საფუძველზე).

ინსპექტირების ფარგლებში დადგინდა, რომ დამსაქმებლების მხრიდან ადგილი ჰქონდა სხვადასხვა ნიშნით დისკრიმინაციას დასაქმების მსურველ პირებთან მიმართებით. განსაკუთრებით გამოიკვეთა, ასაკის, სქესის და გარეგნობის ნიშნით დისკრიმინაციის ფაქტები. გარკვეულ სამუშაოსთან მიმართებით სქესის ნიშნით სეგრეგაციის განმაპირობებლად იკვეთებოდა საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპული მიდგომები ქალისა და მამაკაცის შესაძლებლობების, საზოგადოებრივი როლისა და აქედან გამომდინარე ამა თუ იმ სამუშაოსთან თავსებადობის კუთხით. ხშირად იკვეთებოდა გარეგნობის ნიშნით დისკრიმინაციის ისეთი მოცემულობები, როგორიცაა ,,სასიამოვნო გარეგნობის მდედრობითი სქესის".

შრომის ინსპექციის სამსახურმა ასეთ ფაქტებთან დაკავშირებით გააკეთა შეფასება, რომ დასაქმებული ან სამუშაოს მაძიებელი უნდა შეფასდეს მის მიერ შესრულებული საქმის ხარისხით და მხოლოდ ობიექტური კრიტერიუმებით. შეფასების კომპონენტი თავისუფალი უნდა იყოს ყოველგვარი სტერეოტიპული და ცრუ შეხედულებისგან. შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ ცალსახად განიმარტა, რომ დამსაქმებელს არ აქვს უფლება სამუშაოს მაძიებლის ან მის მიერ დასაქმებული პირის მიმართ გამოიჩინოს განსხვავებული (პოზიტიური ან ნეგატიური) დამოკიდებულება. მსგავსი ქმედება შეფასებულია როგორც დისკრიმინაცია.

ზემოხსენებული მონიტორინგის ფარგლებში, 15-მდე ორგანიზაციას მიეცა გაფრთხილება გამოცხადებული ვაკანსიის განცხადებების დაუყოვნებლივ დაკორექტირებასთან დაკავშირებით.

შემაჯამებლად უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს შრომის კოდექსი''-ს მე-2 მუხლის მე-3 პუნქტისა და 23-ე მუხლის მე-4 პუნქტის (დისკრიმინაცია) დარღვევა აღმოჩენილ იქნა 22 ობიექტზე და არ დადგინდა 4 ობიექტზე. 11 ობიექტზე ინსპექტირება დაიწყო გეგმიური მონიტორინგის ფარგლებში, ყოველგვარი საჩივრის გარეშე, რომლის შედეგად დისკრიმინაციის ფაქტი დადგენილ იქნა თერთმეტივე შემთხვევაში. აღნიშნულ ობიექტებზე განხორციელდა განმეორებითი ინსპექტირება, რომლის შედეგადაც, გამოიკვეთა დისკრიმინაციული მოპყრობის განმეორებითი ფაქტი, რის საფუძველზეც, შრომის ინსპექციის სამსახურმა კომპანია დაჯარიმდა.

### *5.3 საქართველოს მთავრობის №112 დადგენილების შესაბამისად განხორციელებული ინსპექტირებები*

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 7 მარტის „იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის პრევენციისა და მათზე რეაგირების მიზნით, საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცდა სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელების წესი" №112 დადგენილების შესაბამისად სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახური გეგმურ ზედამხედველობას ახორციელებს მინისტრის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით დამტკიცებული ყოველწლიური გეგმის მიხედვით, ხოლო არაგეგმურ ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, გონივრული ეჭვის არსებობისას, რაც დასტურდება იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის შესახებ განცხადებით, საჩივრით ან ცხელ ხაზზე დატოვებული შეტყობინებით.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობის 2016 წლის N112 დადგენილების შესაბამისად, განხორციელდა 139 ინსპექტირება **139 ობიექტზე**, რომელთაგან 137 იყო გეგმური, ხოლო, 2 არაგეგმური. აღსანიშნავია, რომ შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ 2 არაგეგმური ინსპექტირება განხორციელდა საჩივრის საფუძველზე, რომლის შედეგადაც ერთი შემთხვევა გადაეგზავნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი რეაგირებისთვის.

გარდა ამისა, შრომის უსაფრთხოების ნორმებზე განხორციელებული ზედამხედველობის ფარგლებში სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ გამოვლინდა საქართველოს ორგანული კანონის ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ“ მეხუთე მუხლის მეექვსე პუნქტის დარღვევის ფაქტი, რომელიც მოიცავს დამსაქმებლის ვალდებულებას არ დაასაქმოს 18 წლამდე პირი (არასრულწლოვანი) ისეთ სამუშაოზე, რომელმაც სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე შესაძლოა ზიანი მიაყენოს პირის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. გარდა ამისა, ,,18 წლამდე ასაკის პირისთვის მძიმე, მავნე და საშიშპირობებიანი სამუშაოების ჩამონათვალის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 30 ნოემბერის №01-126/ნ ბრძანებით განსაზღვრულია იმ მძიმე, მავნე და საშიშპირობებიანი სამუშაოების ჩამონათვალი, რომელთა შესრულება აკრძალულია 18 წლამდე ასაკის პირისთვის. კანონის მიხედვით, არასრულწლოვნის მიერ შესასრულებელი ყველა სახის სამუშაო უნდა შეფასდეს კანონით დადგენილი წესით. ასევე, უნდა განხორციელდეს ჯანმრთელობის მდგომარეობის, სამუშაო გარემოსა და სამუშაო პროცესის რეგულარული მონიტორინგი. ზემოხსენებულის საფუძველზე, სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურს ჰქონდა მყისიერი რეაგირება. შრომის ინპექტორებმა, კომპანიის წარმომადგენლებს ადგილზევე მისცეს განმარტება დარღვეული რეგულაციების შესახებ და არასრულწლოვანი პირი გაიყვანეს ობიექტიდან, ვინაიდან, სამშენებლო საქმიანობა წარმოადგენს განსაკუთრებით მაღალი რისკის შემცველ მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან საქმიანობას. გარდა ამისა, კანონმდებლობით განსაზღვრული ზომები გატარდა კომპანიის მიმართ და მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სამუშაო პროცესის შეჩერების შესახებ. აღნიშნულის შესახებ, ასევე ეცნობა სსიპ-სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს.

საქართველოს მთავრობის №112 დადგენილების შესაბამისად განხორციელებული გეგმური შემოწმებები სექტორულ და რეგიონულ ჭრილში წარმოდგენილია №21 დიაგრამაზე.

*დიაგრამა №21*

*საქართველოს მთავრობის №112 დადგენილების შესაბამისად შემოწმებული 139 კომპანია სექტორულ და რეგიონულ ჭრილში, საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის სეკ-2016 შესაბამისად*




| | I<br>განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები | C<br>დამამუშავებელი მრეწველობა | B<br>სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერის დამუშავება | A<br>სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა |
|---|---|---|---|---|
| თბილისი | 27 | 21 | 0 | 0 |
| იმერეთი | 2 | 0 | 0 | 0 |
| აჭარა | 10 | 11 | 2 | 7 |
| კახეთი | 6 | 1 | 0 | 0 |
| გურია | 2 | 0 | 0 | 0 |
| ქვემო ქართლი | 13 | 4 | 2 | 9 |
| შიდა ქართლი | 7 | 0 | 0 | 0 |
| სამცხე-ჯავახეთი | 9 | 2 | 0 | 4 |

*წყარო: სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახური*

## *5.4 სამუშაო ადგილებზე COVID-19-ის გავრცელების პრევენციის მიზნით განხორციელებული აქტივობები*

მსოფლიოსა და საქართველოში მიმდინარე პანდემია 2020 წლის მარტიდან გახდა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოწვევა სამუშაო ადგილებზე შრომის პირობების დაცვის მიმართულებით. შრომის ინსპექცია „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის N322 დადგენილების მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, ზედამხედველობას ახორციელებს ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი ობიექტის ან მეწარმე სუბიექტის (გარდა სამედიცინო დაწესებულებებისა) მიერ სამუშაო ადგილებზე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებული რეკომენდაციების შესრულებაზე, ასევე საქართველოს მთავრობის N322 დადგენილებით განსაზღვრული აკრძალული ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებაზე.

2020-2021 წლებში შრომის ინსპექციის უშუალო ჩართულობით **შემუშავდა 42 რეკომენდაცია, მათ შორის 1 ზოგადი და 41 სექტორული რეკომენდაცია,** რომელიც ასახულია „სამუშაო ადგილებზე ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით რეკომენდაციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 29 მაისის N01-227/ო ბრძანებაში. (დამტკიცებული რეკომენდაციების ნუსხა იხილეთ დანართში (ცხრილი N10) ასევე, რეკომენდაციების შესაბამისად მომზადდა **1 ზოგადი და 26 სექტორული** ინსპექტირების კითხვარი. აღსანიშნავია, რომ რეკომენდაციების მუდმივი რევიზია და განახლება შრომის ინსპექციის უშუალო ჩართულობით მიმდინარეობს.

2020-2021 წლებში ჯამში შრომის ინსპექციის სამსახურის უშუალო ჩართულობით მომზადდა რეკომენდაციებსა და შესაბამისად ინსპექტირების კითხვარებში განსახორციელებელი ცვლილებების **41 ნორმატიული აქტის პროექტი.**

აქვე აღსანიშნავია, რომ ეკონომიკური საქმიანობის სრულყოფილად აღდგენის მიზნით შეიქმნა ორი ელექტრონული პლატფორმა:

- orginspect.moh.gov.ge - პორტალზე სხვადასხვა ეკონომიკური სამიანობის განმახორციელებელი სუბიექტებს აქვთ შესაძლებლობა გაიარონ რეგისტრაცია საქმიანობის განხორციელების ნებართვის მოპოვების მიზნით. („იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის N322 დადგენილება);
- labour.moh.gov.ge პორტალზე რეგისტრირდებიან ეკონომიკურ საქმიანობათა იმ სექტორის წარმომადგენლები, რომლებსაც რუტინული ტესტირების ვალდებულება აქვთ. (სკოლები, ბაღები, სავაჭრო ცენტრები, ბაზრები და ბაზრობები, საცალო-საბითუმო ვაჭრობის ობიექტები, საცურაო აუზები, სპორტულ/სავარჯიშო დარბაზები, მუზეუმები, ბიბლიოთეკები, თეატრები, პროფესიული ანსამბლი, აზარტული დაწესებულებები) („ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციაზე (COVID-19) სავალდებულო ტესტირებას დაქვემდებარებულ პრიორიტეტულ პირთა ნუსხისა და ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 15 ივნისის N975 განკარგულებისა და

„იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის N322 დადგენილება).

გარდა ამისა, საანგარიშო პერიოდში სამუშაო ადგილებზე COVID-19-ის გარცელების პრევენეციის მიზნით, სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურისა და სსიპ-ინფორმაციული ტექნოლოგიების სააგენტოს თანამშრომლობით, შემუშავდა და მომზადდა „მწვანე ზონები“-ს მართვის კონცეფცია, რომელიც ინტეგრირებულია არსებულ ელექტრონულ პორტალთან labour.moh.gov.ge. პლატფორმა საშუალებას მისცემს ბიზნესოპერატორებსა თუ ნებისმიერ დაინტერესებულ პირს ონლაინ რეჟიმში გადაამოწმონ სხვადასხვა ობიექტის მწვანე ზონის სტატუსი, რომელიც მოიაზრებს ორგანიზაციაში ვაქცინირებული პერსონალის პროცენტულობის გამოთვლას დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ბაზების გამოყენების მეშვეობით. სტატუსის მოპოვების ეტაპების განვითარების იდეა შემდეგნაირად ჩამოყალიბდა:



რაც შეეხება უშუალოდ 2021 წელს ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით შემუშავებულ აქტივობებს, სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურის, სსიპ-შემოსავლების სამსახურის, სსიპ-სურსათის ეროვნული სააგენტოს, მუნიციპალური საზედამხედველო სამსახურებისა და საპარტულო პოლიციის, ასევე კრიმინალური პოლიციის შესაბამისი დეპარტამენტების ჩართულობით განხორციელდა **57 290** აქტივობა **12 778 ობიექტზე**. აქტივობათა უმეტესობა მოიცავდა კონტროლისა და ზედამხედველობის სხვადასხვა სახის გამოყენებას. კერძოდ;

- ✓ საქმიანობის აღდგენის საფუძვლით განხორციელებული ინსპექტირების შედეგად მოთხოვნები დააკმაყოფილა - **616-მა ობიექტმა,** ხოლო 151 განაცხადი დახარვეზდა;
- ✓ ცნობიერების ამაღლების მიმართულებით განხორციელდა 44361 სარეკომენდაციო ხასიათის ინსპექტირება;
- ✓ ბიზნეს სექტორის ინფორმირებისას აკრძალული საქმიანობა შეუჩერდათ - **201 ობიექტს;**
- ✓ რეკომენდაციების აღსრულებაზე შემოწმდა **911 ობიექტი;**
- ✓ საქართველოს მთავრობის N322 დადგენილებით აკრძალული საქმიანობის განხორციელებისა და რეკომენდაციების დარღვევის საფუძვლით დაჯარიმდა **196 ობიექტი** (107 იურიდიული და 89 ფიზიკური პირი);
- ✓ საქართველოს მთავრობის N322 დადგენილებით განსაზღვრული პროტოკოლის დარღვევისთვის შრომის ინსპექციის მიერ დაილუქა **35 ობიექტი** (23 იურიდიული და 12 ფიზიკური პირი);
- ✓ ბიზნეს სექტორისთვის ცნობიერების ამაღლების შემდგომ, გადამოწმებისას დადგინდა, რომ შემოწმებული ობიექტებიდან **10793 ობიექტი** პროტოკოლის დაცვით ახორციელებდა საქმიანობას. რეკომენდაციების განმეორებით დარღვევის საფუძველით კი **26 ობიექტი** გადაეცა კრიმინალურ პოლიციას შესაბამისი რეაგირებისთვის;

გარდა ამისა, ჯანდაცვის სამინისტროს, განათლების სამინისტროსა და სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურს შორის 2021 წლის 7 ივლისს გაფორმებული სამმხრივი თანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე, საქართველოში მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მოხალისე სტუდენტები გადამზადდნენ და შესაბამისი ცოდნა მიიღეს COVID-19-ის პრევენციულ ღონისძიებებზე. დასაქმებულთა და დამსაქმებელთათვის უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფის საკითხებზე ცნობიერების ამაღლების მიზნით შრომის უსაფრთხოების დესპანებმა **1 212 ობიექტზე, 9200-მდე** დასაქმებულს, მიაწოდეს ამომწურავი ინფორმაცია COVID-19-ის გავრცელების გზებისა და მისგან დაცვის საშუალებების შესახებ.

N8 ცხრილში ასახულია რაოდენობრივი ინფორმაცია ობიექტებისა და მასში დასაქმებულ პირთა შესახებ, რომელთაც შრომის ინსპექციის დესპანებმა მიაწოდეს ინფორმაცია COVID-19-ის პრევენციული ღონისძიებების შესახებ.

*ცხრილი №8*

| შრომის უსაფრთხოების დესპანთა მიერ 2021 წლის საანგარიშო პერიოდში განხორციელებული აქტივობების შედეგად იმ ობიექტებისა და მასში დასაქმებულ პირთა რაოდენობრივი ინფორმაცია ეკონომიკური საქმიანობის ჭრილში | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | აჭარა | | თბილისი | | იმერეთი | |
| | დასაქმებულ პირთა რაოდენობა | ობიექტების რაოდენობა | დასაქმებულ პირთა რაოდენობა | ობიექტების რაოდენობა | დასაქმებულ პირთა რაოდენობა | ობიექტების რაოდენობა |
| **საზოგადოებრივი კვების ობიექტი** | 210 | 20 | 1994 | 150 | 594 | 84 |
| **საცალო და საბითუმო სავაჭრო ობიექტი** | 2031 | 198 | 1969 | 389 | 503 | 136 |
| **სასტუმრო და სხვა განთავსების საშუალებები** | 909 | 12 | 21 | 2 | 73 | 12 |
| **სილამაზის სალონი** | 138 | 27 | 437 | 117 | 187 | 58 |
| **სპორტულ-გამაჯანსაღებელი (ფიტნეს) დაწესებულება** | | | | | 12 | 2 |
| **სხვა საოფისე და მომსახურების საქმიანობები** | 5 | 1 | | | 53 | 4 |
| **სულ** | 3293 | 258 | 4421 | 658 | 1422 | 296 |

*წყარო: სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახური*

2021 წელს სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის №322 დადგენილებით აკრძალული ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისა და „სამუშაო ადგილებზე ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით რეკომენდაციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 29 მაისის N01-227/ო ბრძანებით განსაზღვრული რეკომენდაციების დარღვევის საფუძველზე დაჯარიმებული 197 სუბიექტის განაწილებას რეგიონულ და ეკონომიკური საქმიანობის ჭრილში, აღნიშნული ასახულია N22 დიაგრამაზე.

*დიაგრამა №22*

2021 წელს საქართველოს მთავრობის N322-ე დადგენილებით აკრძალული საქმიანობის განხორციელებისა და რეკომენდაციების დარღვევის საფუძვლით დაჯარიმებული სუბიექტები N01-227/ო ბრძანებით განსაზღვრული საქმიანობის სფეროს მიხედვით რეგიონულ ჭრილში.




| | აჭარა | თბილისი | იმერეთი | კახეთი | მცხეთა-მთიანეთი | სამეგრელო-ზემო სვანეთი | სამცხე-ჯავახეთი | ქვემო ქართლი | შიდა ქართლი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სამთო-მოპოვებითი მრეწველობა | | | 1 | | | | | 1 | |
| პროფესიული სპორტის სახეობა | | 1 | | | | | | | |
| სავაჭრო ცენტრი (მოლი) | | | 1 | | | | | | |
| ტრენინგ-ცენტრი | | 1 | | | | | | | |
| ელექტრონული მუსიკის მოსასმენი სივრცეები და ღამის კლუბები | | 27 | | | | 2 | | | |
| სასტუმრო და სხვა განთავსების საშუალებები | | 3 | | 2 | 1 | | | | |
| საცალო და საბითუმო სავაჭრო ობიექტი | | 10 | | | | | | | |
| საზოგადოებრივი კვების ობიექტი | 20 | 86 | 14 | 2 | 7 | 5 | 2 | 8 | 2 |

წყარო: სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახური

სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახური „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის N322 დადგენილების მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, ზედამხედველობას ახორციელებს ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი ობიექტის ან მეწარმე სუბიექტის მიერ სამუშაო ადგილებზე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს რეკომენდაციების შესრულებაზე, ასევე, საქართველოს მთავრობის N322 დადგენილებით განსაზღვრული აკრძალული ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებაზე და ზედამხედველობის პროცესში გამოვლენილი დარღვევების შემთხვევაში იყენებს საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 42[10] მუხლით განსაზღვრულ სანქციებს, რომელიც იურიდიული პირის შემთხვევაში 10 000 ლარს, ხოლო ფიზიკური პირის შემთხვევაში 2000 ლარს შეადგენს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, N8 ცხრილში წარმოდგენილია 2020 - 2021 წლების განმავლობაში საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42[10] მუხლის საფუძვლით დაჯარიმებული სუბიექტების რაოდენობას თვეების ჭრილში.

*ცხრილი №9*

| 2020-2021 წლებში საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 42 მე-10 პრიმა მუხლის საფუძველზე დაჯარიმებული სუბიექტები თვეების მიხედვით | | |
|---|---|---|
| **თვე** | **2020 წელი** | **2021 წელი** |
| იანვარი | 0 | 12 |
| თებერვალი | 0 | 24 |
| მარტი | 0 | 17 |
| აპრილი | 0 | 39 |
| მაისი | 0 | 13 |
| ივნისი | 24 | 7 |
| ივლისი | 35 | 3 |
| აგვისტო | 1 | 44 |
| სექტემბერი | 17 | 8 |
| ოქტომბერი | 33 | 1 |
| ნოემბერი | 8 | 10 |
| დეკემბერი | 33 | 18 |
| სუბიექტების ჯამი | 151 | 196 |

რაც შეეხება დალუქულ ობიექტებს, სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახური ახორციელებს „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის N322 დადგენილებით აკრძალული სოციალური და მასობრივი გასართობი ღონისძიების გამართვაზე კონტროლის/ზედამხედველობის პროცესში თუ კი გამოვლინდა ამგვარი ღონისძიება, რომელსაც თან ახლავს „სამუშაო ადგილებზე ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით რეკომენდაციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 29 მაისის N01-227/ო ბრძანების მოთხოვნების კრიტიკული შეუსაბამობა, ან ტარდება ამ ტიპის ღონისძიება, შრომის ინსპექციის სამსახური, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან კოორდინაციით, უფლებამოსილია დროებით შეზღუდოს ობიექტზე არსებული სივრცის ან/და ნივთის (მათ შორის ობიექტის ან მასზე არსებული კონკრეტული ადგილის, აპარატურის ან/და სხვა ნივთის გამოყენება, რომლებიც უშუალო კავშირშია ვირუსის გავრცელების პრევენციული ღონისძიების განხორციელებასთან) გამოყენება, ღონისძიების გამართვისას განმეორებით კრიტიკული შეუსაბამობის გამოვლენის შემთხვევაში, შეზღუდოს ობიექტზე არსებული სივრცის/ ნივთის გამოყენება და გადასცეს საქმე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს,

სისხლის სამართლის საქმისწარმოების დაწყების მიზნით. სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ სულ დაილუქა **35 ობიექტი**.

№23 დიაგრამაზე წარმოდგენილია „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის N322 დადგენილებთ აკრძალული სოციალური და მასობრივი გასართობი ღონისძიების გამართვისა და მასთან ერთად „სამუშაო ადგილებზე ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით რეკომენდაციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 29 მაისის N01-227/ო ბრძანების მოთხოვნების კრიტიკული შეუსაბამობის გამოვლენის გამო სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ დალუქული 35 ობიექტის განაწილება რეგიონულ და სუბიექტის სამართლებრივი ფორმის ჭრილში.

*დიაგრამა №23*

*საქართველოს მთავრობის N322 დადგენილებთ აკრძალული სოციალური და მასობრივი გასართობი ღონისძიების გამართვისა და მასთან ერთად რეკომენდაციებთან კრიტიკული შეუსაბამობის გამოვლენის გამო სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ დალუქული ობიექტების რაოდენობა რეგიონულ და სუბიექტის სამართლებრივი ფორმის ჭრილში*




წყარო: სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახური

ეკონომიკური საქმიანობის  აღდგენის მიზნით, საქართველოს მასშტაბით „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის №322 დადგენილებით განისაზღვრა რიგი საქმიანობები, რომლებმაც სამსახურის მიერ გაცემული დადებითი დასკვნის საფუძველზე მოიპოვებს საქმიანობის განხორციელების ნებართვა.

№24 დიაგრამაზე წარმოდგენილია საქმიანობის აღდგენის საფუძვლით განხორციელებული ინსპექტირების შედეგად ნებადართული **616 ობიექტის განაწილება რეგიონულ და ეკონომიკური საქმიანობის ჭრილში.**

*დიაგრამა №24*

*2021 წელს „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის №322 დადგენილებით განსაზღვრული ნებადართული ეკონომიკური საქმიანობებისთვის სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურის დადებითი დასკვნის საფუძველზე 616 ობიექტის განაწილება საქმიანობის სფეროსა და რეგიონულ ჭრილში*




| | აჭარა | გურია | თბილისი | იმერეთი | კახეთი | მცხეთა-მთიანეთი | რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი | სამეგრელო-ზემო სვანეთი | სამცხე-ჯავახეთი | ქვემო ქართლი | შიდა ქართლი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება | 45 | | 1 | 3 | | | | | 4 | 3 | |
| საბავშვო ბაგა-ბაღები (სკოლანდელი სასწავლო დაწესებულებები) | 57 | 6 | 11 | 32 | 8 | 2 | 2 | 16 | 6 | 3 | 2 |
| სპორტულ-გამაჯანსაღებელი (ფიტნეს) ცენტრები | 9 | 9 | 1 | | | | | | | 3 | 1 |
| ტირ-პარკები | | 2 | | | | | | | | | |
| უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობები | 5 | | 2 | 2 | | | | 1 | | 1 | 2 |
| ღია/დახურული ტიპის აუზების, საუნების და აბანოების საქმიანობები | 6 | | 14 | 1 | 2 | 3 | | | | | 1 |
| ყველა ტიპის სასტუმროს საქმიანობა ადგილზე მომსახურებით | 50 | 14 | 166 | 35 | 21 | 21 | 4 | 10 | 20 | 6 | 3 |

*წყარო: სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახური*

აღსანიშნავია, რომ სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახურში გასაჩივრებულ იქნა სამუშაო ადგილებზე ახალი კორონავირუსის გავრცელების მიზნით შემუშავებული პროტოკოლის დარღვევის შესაბამისად შედგენილი - 97 ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი (საიდანაც 58 შემთხვევაში სამართალდარღვევა ჩადენილი იქნა 2021 წლის 23 ივნისამდე, შესაბამისად ,,ადმინისტრაციული სახდელისგან გათავისუფლების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად 58 სამართალდამრღვევი გათავისუფლდა ადმინისტრაციული სახდელისგან - ჯარიმისგან). საქართველოს საერთო სასამართლოებში 2021 წლის საანგარიშო პერიოდში გასაჩივრდა სამუშაო ადგილებზე ახალი კორონავირუსის გავრცელების მიზნით შემუშავებული პროტოკოლის დარღვევის საფუძვლით 16 ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი (რომელთაგანაც 10 ოქმი შედგენილია 2021 წლის 23 ივნისამდე ჩადენილ სამართალდარღვევაზე, ,,ადმინისტრაციული სახდელისგან გათავისუფლების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად გათავისუფლდა/გათავისუფლდება ადმინისტრაციული სახდელისგან - ჯარიმისგან).

## 6. შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აკრედიტებული პროგრამის განვითარება

აღსანიშნავია, რომ შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აკრედიტებული პროგრამის მოცულობა, განხორციელების წესი და პირობები, რომელიც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №01-25/ნ ბრძანებით 2018 წლის 31 ოქტომბერს დამტკიცდა, წარმოადგენს შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ შედგენილ უმნიშვნელოვანეს დოკუმენტს, რომელიც „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად ამოქმედდა. კანონის ძალაში შესვლამ საქართველოში ახალ, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პროფესიას ჩაუყარა საფუძველი. პროგრამის მოცულობამ და პირობებმა, შრომის ბაზარზე არსებული საჭიროებებიდან და ხარისხის გაუმჯობესებიდან გამომდინარე მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა.

დღეისათვის პროგრამა ევროკავშირის დაძმობილების პროექტის ექსპერტული მხარდაჭერით გაუთანაბრდა ევროპულ დონეს, სადაც დეტალურად და განახლებული სახით გაიწერა სწავლების სტანდარტები, მისი განხორციელების პროცედურები, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის სწავლების განმახორციელებელი ორგანიზაციისთვის დადგენილი სავალდებულო წესები და სწავლების განმახორციელებელ პირთა საკვალიფიკაციო გამოცდის, ასევე პროგრამის მსმენელთა სასერტიფიკატო გამოცდის ჩატარების მიზნით შერჩეული საგამოცდო ცენტრის (შემდგომში – საგამოცდო ცენტრი) საქმიანობის პროცედურები.

აღსანიშნავია, რომ განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით, პროგრამით შესაძლებელი გახდება მაღალკვალიფიციური შრომის უსაფრთხოების სპეციალისტების მომზადება, რომლებიც ორგანიზაციაში შექმნიან დასაქმებულთა შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის გარანტიებს.

აღნიშნული პროგრამა შრომის ინსპექციის საქმიანობის უმნიშვნელოვანეს პრაქტიულ იარაღს წარმოადგენს სამუშაო ადგილებზე უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებების პრევენციის კუთხით.

აღსანიშნავია, რომ განახლებული პროგრამა ძალაში შევიდა 2021 წლის 10 ოქტომბრიდან, ( საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 13 სექტემბრის ბრძანება №01-81/ნ-) რომლის პარალელურად, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მხარდაჭერით, მიმდინარეობდა მუშაობა სასერტიფიკატო/ საკვალიფიკაციო გამოცდის კითხვების (ტესტების) შემუშავებაზე.

შრომის ინსპექციის სამსახურში შეიქმნა შრომის უსაფრთხოების აკრედიტებულ პროგრამაზე ზედამხედველობის ცენტრი, რომლის ძირითადი ფუნქციაა პროგრამის ადმინისტრირება და ზედამხედველობა. ცენტრი დაკომპლექტდა სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირებით.

სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურსა და სსიპ-შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე 2021 წლის 7-8 ოქტომბერს ჩატარდა შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთა და სხვა დაინტერესებულ პირთა სასერტიფიკატო/საკვალიფიკაციო გამოცდისთვის შემუშავებული ტესტების აპრობაცია.

გარდა ამისა, პროგრამის ეფექტურად აღსრულების მიზნით სსიპ - ინფორმაციული ტექნოლოგიების სააგენტოსთან ერთად შემუშავდა ელექტრონული პროგრამა - სწავლების განმახორციელებელი პირებისთვის და საგამოცდო ცენტრისთვის. ელექტრონული პროგრამის (OSHTesting), დახმარებით ბიზნესპროცესის სრული მართვა მანუალური რეჟიმიდან გადავა ელექტრონულზე, მათ შორის, გამოსაცდელ პირთა ტექსტირების მიმართულება. აღნიშნული სიახლეები პროგრამის ხარისხსა და სანდოობაზე მოახდენს დადებით ზეგავლენას. შრომის უსაფრთხოების აკრედიტებულ პროგრამაზე ზედამხედველობის ცენტრისა და სსიპ - ინფორმაციული ტექნოლოგიების სააგენტოსთან ერთად გაიტესტა ელექტრონული პროგრამა დამუშავდა 3000-მდე შეკითხვა (ტესტი) და ასახულ იქნა პროგრამაში.




2021 წელს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აკრედიტებული პროგრამის ფარგლებში, შეირჩა საგამოცდო ცენტრი, რომელიც სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურთან არსებული აკრედიტაციის კომისიის პირველი სხდომის შედეგად განისაზღვრა. კომისია დაკომპლექტა შემდეგი შემადგენლობით: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე (კომისიის თავმჯდომარე); სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახურის მთავარი შრომის ინსპექტორი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე); საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე (კომისიის წევრი); საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე (კომისიის წევრი); საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე (კომისიის წევრი); საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, პოლიტიკის დეპარტამენტის, შრომისა და დასაქმების პოლიტიკისა და კოლექტიური შრომითი დავების სამმართველოს უფროსი (კომისიის წევრი); სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახურის ადმინისტრაციის უფროსი; სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახურის იურიდიული დეპარტამენტის უფროსი; სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახურის, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აკრედიტებულ პროგრამაზე ზედამხედველობის ცენტრის უფროსი; საქართველოს პროფესიული გაერთიანების თავმჯდომარის მოადგილე (კომისიის წევრი); საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი (კომისიის წევრი).

აღსანიშნავია, რომ აკრედიტაციის კომისია გადაწყვეტილებების იღებს:

1. ორგანიზაციისთვის სასწავლო კომპონენტის აკრედიტაციის მინიჭების საკითხზე;
2. ორგანიზაციისთვის აკრედიტაციის შეჩერების/შეწყვეტის საკითხზე;
3. საგამოცდო ცენტრის შერჩევის საკითხზე.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 1 ნოემბერს N01-432/ო ბრძანებით საგამოცდო ცენტრის შესარჩევად გამოცხადდა ღია კონკურსი, სწავლების განმახორციელებელ პირთა საკვალიფიკაციო გამოცდისა და პროგრამის მსმენელთა სასერტიფიკატო გამოცდის ჩაბარების მიზნით. 2021 წლის 18 ნოემბერს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში გაიმართა სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახურთან არსებული აკრედიტაციის კომისიის პირველი სხდომა. კომისიის გადაწყვეტილებით, საგამოცდო ცენტრის სტატუსი 3 წლის ვადით მიენიჭა შპს ,,ტრენინგ სფეისს“, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აკრედიტებული პროგრამის ფარგლებში 2021 წლის 30 დეკემბერს შრომის ინსპექციის სამსახურსა და საგამოცდო ცენტრს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად, წარმატებით ჩატარდა პირველი საკვალიფიკაციო გამოცდა.

2022 წელი დაეთმობა სწავლების განმახორციელებელი პირების საკვალიფიკაციო, მსმენელთა სასერტიფიკატო და სწავლების განმახორციელებელი ორგანიზაციების აკრედიტაციის საკითხებს. ცენტრის მიერ მოხდება სასწავლო და საგამოცდო პროცესის გეგმური/არაგეგმური მონიტორინგი, ასევე ცენტრის ფუნქციებიდან გამომდინარე, სხვა აქტივობები.

## 7. შრომის ინსპექციის უშუალო ჩართულობით შემუშავებული სახელმძღვანელო დოკუმენტები

**შრომის უსაფრთხოება სამშენებლო სექტორში**

- ➔ სახელმძღვანელო შედგენილია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა,შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურის ხელმძღვანელობით, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) რეგიონული პროგრამის „კერძო სექტორის განვითარება და პროფესიული განათლება სამხრეთ კავკასიაში“ (PSD TVET) მხარდაჭერით, გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს(BMZ) სახელით.
- ➔ სახელმძღვანელოს პრეზენტაცია დაგეგმილია 2022 წლის დასაწყისში.

**ვაკანსიის გამოცხადებისას დისკრიმინაციის პრევენციის სახელმძღვანელო პრინციპები**

- ➔ სახელმძღვანელო პრინციპები შემუშავდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა,შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურისა და საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ჩართულობით. ასევე, მომზადდა "კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში" (PROLoG) პროგრამის ფარგლებში, რომელსაც, აშშ-ს საერთაშრისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით, აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი (EWMI) ახორციელებს.
- ➔ სახელმძღვანელოს პრეზენტაცია დაგეგმილია 2022 წლის პირველ კვარტალში.

**სახელმძღვანელო შრომის ინსპექტორებისთვის იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის საკითხებზე**

- ➔ პუბლიკაცია შექმნილია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი უწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს დაკვეთითა და სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურის ჩართულობით.
- ➔ სახელმძღვანელოს პრეზენტაცია დაგეგმილია 2022 წლის დასაწყისში.

## 8. სამსახურის მიერ ან/და უშუალო ჩართულობით შემუშავებული ნორმატიული აქტის პროექტები

**უშუალოდ ინსპექტირების სამართლებრივი მექანიზმის გაძლიერების მიმართულებით 2021 წლის საანგარიშო პერიოდში მიღებულ იქნა 4 ნორმატიული აქტი:**

1. ,,ღამის სამუშაოზე წლიური სამუშაო დროის პროპორციული განაკვეთის განსაზღვრის და ღამის სამუშაოზე დასაქმებული პირისთვის წინასწარი (დასაქმებამდე) და შემდგომი პერიოდული სამედიცინო შემოწმების ჩატარების პერიოდულობისა და ფარგლების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 7 სექტემბრის №01-79/ნ ბრძანება;

2. ,,სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სამსახურების ჩამონათვალის/ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 7 სექტემბრის №01-78/ნ ბრძანება;

3. ,,სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმისა და მისი წარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 12 თებერვლის №01-15/ნ ბრძანება;

4. ,,საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემედებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ გამოსაყენებელი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსებისა და წარდგენის წესის, საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილების ფორმისა და სააღსრულებო ფურცლის ფორმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 20 აპრილის №01-36/ნ ბრძანება;

სამუშაო ადგილზე შრომის უსაფრთხოების ეროვნული სტანდარტების შექმნის მიზნით, „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად განსაზღვრული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების ნუსხა და მდგომარეობა იხილეთ დანართში (ცხრილი №11)

**გარდა ამისა, შრომის ინსპექტირების სამართლებრივი ჩარჩოს გაძლიერების მიმართულებით მიღებულ ნორმატიულ აქტებში განხორციელდა ცვლილება, რომელიც შემუშავებულია 4 ბრძანების საფუძველზე. აქვე აღსანიშავია, რომ ინდივიდუალურად სამსახურის ეფექტურად ფუნქციონირების მიზნით შემუშავდა 12 ბრძანების პროექტი.**

სამუშაო ადგილზე შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებით ევროკავშირის სამართლებრივ ინსტრუმენტებთან საქართველოს კანონმდებლობის დაახლოების ხელშეწყობის მიზნით, ევროკავშირის დაძმობილების პროექტისა და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მხარდაჭერით შრომის ინსპექციის უშუალო ჩართულობით შემუშავდა:

1. მონიტორიან დანადგარებთან მუშაობის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი;

2. სამუშაო ადგილებზე მომხდარი უბედური შემთხვევის დაზღვევის წესისა და პროცედურების დამტკიცების შესახებ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანების პროექტი;

3. სამუშაო სივრცეში უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მინიმალური მოთხოვნების შესახებ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანების პროექტი.

4. სამუშაო ადგილზე ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენებისას უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მინიმალური მოთხოვნების შესახებ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანების პროექტი;

5. სამუშაო ადგილზე უსაფრთხოების ან/და ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული ნიშნების განთავსების მიზნით დასადგენი მინიმალური მოთხოვნების შესახებ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანების პროექტი.

სამუშაო ადგილზე შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებით საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულების XXX დანართით განსაზღვრული დირექტივების ნუსხა მიღების ვადებისა და არსებული მდგომარეობის შეფასებით იხილეთ დანართში (ცხრილი №12)

## 9. თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან

**12 საერთაშორისო დონორ ორგანიზაციასთან/პროექტთან მიმდინარეობს მჭიდრო თანამშრომლობა ტექნიკური მხარდაჭერის მიმართულებით.**

**აღსანიშნავია, რომ სამსახურის მიერ განხორციელებული სამუშაოების შედეგად, 2020 წლის 15 სექტემბერს საქართველო შრომის ინსპექციის საერთაშორისო ასოციაციის (IALI) წევრი გახდა, რომელსაც წარმოადგენს სსიპ შრომის ინსპექციის სამსახური.**

შრომის ინსპექციის სამსახურმა საერთაშორისო ვებინარში მიიღო მონაწილეობა როგორც მომხსენებელმა, ისეთი ქვეყნების გვერდით, როგორიც არის დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, ესპანეთი, პორტუგალია, სინგაპური, შვეიცარია და გერმანია;

2015 წლიდან **შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO)** აქტიურად თანამშრომლობს შრომის ინსპექციის სამსახურთან. 2019 წლიდან შრომის საერთაშორისო ორგანიზაციასთან მიმდინარეობს თანამშრომლობა შემდეგ პროექტებზე:

- შრომის ინსპექტირების მართვის ელექტრონული სისტემის (LIMS) კონცეფციის შექმნა და ტექნიკური/პროგრამული მხარის განვითარება, რაც ხელს უწყობს შრომის ინსპექტორთა საქმიანობის მოქნილობასა და პროაქტიულობას და უშუალოდ ინსპექტირების პროცესს მანუალური რეჟიმიდან გადაიყვანს ელექტრონულზე;
- ინსპექტორებისა და მენეჯმენტის პროფესიული გადამზადება/მომზადება;
- შრომის ინსპექტირების სტანდარტული ოპერაციული პროცედურების შემუშავება:
- მანდატის ფარგლებში, ექსპერტული მხარდაჭერა ნორმატიული აქტების პროექტების შემუშავების მიმართულებთ;

- მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერა, შრომის ინსპექტირების მექანიზმის გაძლიერებისა და ხელშეწყობისთვის.
- ცნობიერების ამაღლების კომპონენტში მხარდაჭერა, სამუშაო ადგილზე COVID-19-ის გავრცელების პრევენციის მიზნით შემუშავებული რეკომენდაციების თარგმნის, ბეჭდური მასალებითა (ბუკლეტები, პოსტერები) და უშუალოდ რეგიონულ დონეზე ბიზნესთან შეხვედრების მიმართულებით. პროექტის ფარგლებში შემუშავებულ იქნა 11 ბუკლეტი სექტორულ დონეზე, რომელიც ინსპექტირებისა თუ ბიზნესთან უშუალო შეხვედრებისას იქნა გაზიარებული;
- სექტორული და სპეციფიკური საფრთხის შესაბამისად შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვის მიზნით 8 სასწავლო ვიდეორგოლის მომზადება;

სამედიცინო სექტორში

ქიმიკატებთან მუშაობისას

დახურულ სივრცეში

ელექტროტექნიკური სამუშაობის შესრულებისას

სამთომოპოვებით სექტორში

მომსახურების სექტორში

აზბესტთან მუშაობისას

ტექსტილში

- ტექნიკური მხარდაჭერა ბრენდინგის კონცეფციის შემუშავებაში; საქმიანობის ანგარიშების თარგმნასა და ბეჭდვაში მხარდაჭერა;

 სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახური, როგორც ევროკავშირის საჯარო სამსახურების დაძმობილების პროექტის „საქართველოში შრომის პირობების/შრომითი ურთიერთობების, აგრეთვე სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სტანდარტების გაუმჯობესება“ (ტვინინგის ნომერი: GE 17 ENI OT 02 19) მთავარი ბენეფიციარი აქტიურად არის ჩართული 2019 წლიდან პროექტით დაგეგმილი აქტივობების განხორციელების პროცესში. შრომის სფეროში, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაში დახმარების მიზნით, შეიქმნა ტექნიკური სამუშაო ჯგუფი, რომელიც შრომის უსაფრთხოების სფეროში არსებული ვალდებულებებისა და დირექტივების იმპლემენტაციას უზრუნველყოფს.

(„ევროკავშირის საჯარო სამსახურების დაძმობილების პროექტის „საქართველოში შრომის პირობების/შრომითი ურთიერთობების, აგრეთვე სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის

უსაფრთხოების სტანდარტების გაუმჯობესების ფარგლებში სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 01 აპრილის № 01-104/ო ბრძანება)

პროექტის ფარგლებში, ასევე, მიმდინარეობს ახლად დასაქმებულ/მოქმედ ინსპექტორთა პროფესიული მომზადება-გადამზადება, სპეციალურად შემუშავებული პროგრამის „სწავლების გეგმა შრომის ინსპექტორებისთვის“ მიხედვით და მანდატის ფარგლებში ხდება ექსპერტული მხარდაჭერა ნორმატიული აქტების პროექტების შემუშავების მიმართულებთ. ამავე პროქტის ფარგლებში, ტრენინგის საჭიროებებიდან გამომდინარე განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება. სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურის გადაეცა სატრენინგო სივრცის მოწყობისთვის საჭირო რესურსები. გარდა, ასევე, შედგა სასწავლო ვიზიტი (დეტალურად იქილეთ მე-14 თავი) ესტონეთის რესპუბლიკის დედაქალაქ ტალინში, რომლის შედეგადაც, შრომის ინსპექციის წარმომადგენლებს შორის მოხდა ცოდნის, გამოცდილების გაზიარება, ახალი იდეებისა და სამომავლო ხედვების დასახვა. ასევე, ესტონეთის შრომის ინსპექციის ოფისთან კონტაქტების გაღრმავება და გრძელვადიანი ურთიერთობის გეგმის დასახვა.

პროექტის ფარგლებში სამუშაო ადგილებზე შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებით საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულების XXX დანართით განსაზღვრული 2019-2022 წლებისთვის მისაღები დირექტივები იხილეთ დანართში (ცხრილი N12).

2019 წლიდან **გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ)** პროექტი-(PSD TVET SC), პროექტის ფარგლებში განხორციელდა:

-სამშენებლო მიმართულებით ინსპექტორთა მომზადება, გადამზადება;

-მობილური აპლიკაციის - „მშენებლობის უსაფრთხოება“ შემუშავებაში მხარდაჭერა;

- სამშენებლო სექტორში სასწავლო ვიდეორგოლების მომზადება (8 ანიმაციური ვიდეორგოლი);

- სამშენებლო სექტორში შრომის უსაფრთხოების თემაზე წიგნის მომზადება ბეჭდვა;



**მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM)** მხარდაჭერით, იძულებითი შრომის, შრომითი მიგრაციისა და ეთიკური დასაქმების ხელშეწყობის მიმართულებით სფეროსთან დაკავშირებული სპეციალისტების პროფესიული მომზადება-გადამზადება განხორციელდა. გარდა ამისა, იუსტიციის სამინისტროსა და ევროკავშირის ჩართულობით შემუშავებულ იქნა „შრომის ინსპექტორთათვის იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის საკითხებზე სახელმძღვანელო“, რომელზე დაყრდნობითაც სამომავლოდ დაგეგმილია შრომის ინსპექტორთა პროფესიული გადამზადება

.

**„სოლიდარობის ცენტრი“-ს** მხარდაჭერით შემუშავებულ იქნა შრომის უსაფრთხოების შესახებ საქართველოს კანონის შესახებ 2 ტიპის ბუკლეტი და გრაფიკული ვიდეორგოლი უსაფრთხოების კანონზე. გარდა ამისა, შრომის კანონდებლობაში განხორციელებულ ცვლილებებზე ცნობიერების ამაღლების მიმართულებით ხაზგასასმელია შრომის ინსპექციისა და „სოლიდარობის ცენტრი“-ს თანამშრომლობა. კერძო მეწარმეობის საერთაშორისო ცენტრმა (CIPE) დააორგანიზა ღონისძინება, ცნობიერების ამაღლების კამპანიის - „უსაფრთხო ბიზნესი თქვენი არჩევანია“ ფარგლებში. - შრომის ინსპექციის წარმომადგენლების უშუალო ჩართულობით შედგა 3 ტრენინგი და 1 კონფერენცია, რომლის ფარგლებშიც კერძო სექტორის

1000-მდე წარმომადგენელს მიეწოდა ინფორმაცია მიმდინარე საკანონმდებლო ცვლილებებზე პრეზენტაციისა და კითხვა-პასუხის რეჟიმში. გარდა ამისა, ცენტრის, USAID-ის, ფრიდრიხ ებერტის ფონდისა და ნორვეგიის საელჩოს მხარდაჭერით, საქართველოს პროგრესულ ფორუმთან თანამშრომლობით, განხორციელდა ცნობიერების ამაღლების კამპანია „შრომის ლექსიკონი“, რომლის ფარგლებში შეიქმნა 10 ვიდეო რგოლი და პოსტერები შემდეგი თემატიკის ირგვლივ: არადისკრიმინაციული გარემო სამუშაო ადგილზე, სექსუალური შევიწროებისგან დაცვა, გონივრული მისადაგების პრინციპი, შრომითი ხელშეკრულება, სტაჟირება, სამუშაო დრო, ზეგანაკვეთური სამუშაო, დეკრეტული შვებულება, თანამშრომლობა დამსაქმებლებსა და დასაქმებულებს შორის და შრომის ინსპექციის მანდატის შესახებ.

**USAID, „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG)** მხარდაჭერით:

- შემუშავებულ იქნა საქართველოს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის 2019-2023 წლების ეროვნული სტრატეგიის შესაბამისი 2022-2023 წლების სამოქმედო გეგმის დანართი უშუალოდ შრომის ინსპექციის საქმიანობასთან დაკავშირებით;
- გარდა ამისა, განხორციელდა შრომითი უფლებების მიმართულებით პროფესიული გადამზადება გენდერულ თანასწორობასა და დისკრიმინაციის საკითხებზე, სამსახურის 30-მდე თანამშრომლისთვის;
- გონივრული მისადაგების პრინციპების დაცვის ხელშეწყობისა და დამსაქმებელთა ცნობიერების ამაღლების მიზნით, PROLoG- ის ექსპერტული მხარდაჭერით და შრომის ინსპექციის სამსახურისა და სახალხო დამცველის ოფისის ჩართულობით, შემუშავებულ იქნა “ვაკანსიის გამოცხადებისას დისკრიმინაციის პრევენციის სახელმძღვანელო პრინციპები”.

**USAID-ის, ფრიდრიხ ებერტის ფონდის, სოლიდარობის ცენტრისა და ნორვეგიის საელჩოს მხარდაჭერით,** საქართველოს პროგრესული ფორუმისა და სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურის ჩართულობით, 2021 წლიდან დაიწყო საინფორმაციო კამპანია „შრომის ლექსიკონი“, რომლის მიზანს განახლებული შრომის კოდექსის შესახებ ინფორმაციის გავრცელება და შრომის კოდექსში შეტანილი ცვლილებების შესახებ მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება წარმოადგენს. კამპანიის ფარგლებში მომზადდა 10 ვიდეო რგოლი და პოსტერები შემდეგი თემატიკის ირგვლივ: არადისკრიმინაციული გარემო სამუშაო ადგილზე, სექსუალური შევიწროებისგან დაცვა, გონივრული მისადაგების პრინციპი, შრომითი ხელშეკრულება, სტაჟირება, სამუშაო დრო, ზეგანაკვეთური სამუშაო, დეკრეტული შვებულება და თანამშრომლობა დამსაქმებლებსა და დასაქმებულებს შორის. კამპანიის ფარგლებში შემუშავებული ვიდეოკლიპები გავრცელდა და ფართო საზოგადოება მოიცვა ქვეყანაში ოპერირებად ტელევიზიების, მასმედიის საშუალებებისა და სოციალური მედიის საშუალებით.

2021 წლიდან **გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP)** ფინანსური მხარდაჭერითა და საქართველოს პროგრესული ფორუმის ჩართულობით, მიმდინარეობს შრომის ინსპექციის კონტაქტ-ცენტრის დაფუძნება, რომლის ფარგლებშიც განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური, თუ ექსპერტული მხარდაჭერა.

აქტიურად მიმდინარეობს თანამშრომლობა **გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან,** რომლის მხარდაჭერით განხორციელდა ისეთი მნიშვნელოვანი ნორმატიული აქტის პროექტის შემუშავება, როგორიცაა „ორსული, ახალნამშობიარები და მეძუძური ქალების ჯანმრთელობისთვის მავნე ან/და განსაკუთრებული რისკის შემცველი სამუშაოები“-ს ნუსხა, რომლის შედეგად საანგარიშო პერიოდში შრომის უსაფრთხოებაზე ზედამხედველობის მიმართულებით მოქმედი შრომის ინსპექტორები გადამზადდნენ.

## 10. თანამშრომლობა ადგილობრივ უწყებებთან

შრომის პირობებზე საზედამხედველო მექანიზმის შექმნისა და ეტაპობრივად გაძლიერების პარალელურად, ყოველთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი ეჭირა თემატურად დაკავშირებულ უწყებებთან მჭიდრო თანამშრომლობის პლატფორმის შექმნასა და განმტკიცებას. აღნიშნული კუთხით სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახური არსებული მანდატის შესაბამისად, განსაზღვრული მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე კვლავ განაგრძობს სახელმწიფო ინსტიტუტებთან ურთიერთანამშრომლობის პლატფორმების შექმას, გაძლიერებას/გამყარებას.

აღნიშნულზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ თანამშრომლობისა და სამსახურის საქმიანობაში ხელშეწყობისათვის სხვადასხვა სერვისების მიღების მიზნით ჯამში გაფორმდა 8 ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმები/ხელშეკრულებები, მათ შორის,
სსიპ „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტთან“, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასთან, სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციასთან, სსიპ „112“-თან, სსიპ "საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსთან „სსიპ "შემოსავლების სამსახურთან„ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან.
გაფორმებული მემორანდუმებისა და მიზნების შესახებ ინფორმაცია დანართში (ცხრილი N13).

## 11. პროექტი „შრომის უსაფრთხოების დესპანი“

საქართველოში, ისევე როგორც მთელს მსოფლიოში, ახალი კორონავირუსის (COVID-19) პანდემია 2020 წლის მარტიდან გახდა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოწვევა სამუშაო ადგილებზე შრომის პირობების დაცვის მიმართულებით. 2021 წლის მდგომარეობით საქართველოში არსებული ეპიდვითარების, ეკონომიკური საქმიანობების მიმართულებით არსებული შეზღუდვების მექანიზმის მასშტაბური შემსუბუქების, ამავდროულად  სამუშაო ადგილებზე ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით განსაზღვრული სექტორული რეკომენდაციების უგულვებელყოფისა და მთავრობის მხრიდან განსაზღვრული სხვა პროტოკოლის, მათ შორის, პირბადის ტარების წესისა და განსაკუთრებით სოციალური ღონისძიებების განხორციელების შეზღუდვის ხშირი დარღვევით, მაღალი რისკის წინაშე დგებოდა საქართველოში ეკონომიკური საქმიანობების მდგრადი აღდგენა და ეპიდემიოლოგიური ვითარების ეფექტურ მართვა.

აღნიშნულ გამოწვევებთან გამკლავების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს იარაღს საზოგადოების ცნობიერების ამაღლება წარმოადგენს. ამ მიზნით, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით დაიგეგმა ყველა იმ ადამიანური რესურსის ჩართვა, რომლებიც მოხალისეობრივ საწყისებზე დაფუძნებით ხელს შეუწყობენ ქვეყანაში COVID რეკომენდაციების აღსრულებას. სწორედ, რომ  გათვითცნობიერებული საზოგადოება და მაღალი სოციალური პასუხისმგებლობა იქნება ის გასაღები, რომლითაც შესაძლებელი გახდება ინფექციის გავრცელების მნიშვნელოვნად შემცირება და ეფექტურად მართვა სხვა დაგეგმილ  ღონისძიებებთან ერთად.

ამ მიზნით პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით, პროცესში ჩაერთო ყველაზე აქტიური და მოტივირებული ნაწილი - სტუდენტები, ხოლო, განხორციელება დაევალა სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურს. პროექტის „შრომის უსაფრთხოების დესპანი“ განხორციელების მიზნით, შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ 2021 წლის 7 ივლისს გაფორმდა მემორანდუმი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან. პროექტის ფარგლებში, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ მიაწოდა ინფორმაცია საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს - უნივერსიტეტებს პროექტისა და შესაბამისი აქტივობების შესახებ. შრომის ინსპექციის სამსახურმა უზრუნველყო სტუდენტების გადამზადება.

პროექტის განხორციელებაში უმნიშვნელოვანესი წვლილი შეიტანა ევროკავშირის დაძმობილების პროექტმა - „საქართველოში შრომის პირობების/შრომითი ურთიერთობების, აგრეთვე, სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სტანდარტების გაუმჯობესება“, რომელმაც უზრუნველყო სტუდენტები საჭირო ინვენტარით

პროექტის განხორცილებაში ჩაერთნენ შემდეგი უმაღლესი საგანმანანთლებლო დაწესებულებები: კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი, საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველოს ტექნიკური

უნივერსიტეტი, ევროპის უნივერსიტეტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ჯამში შეირჩა 50 სტუდენტი, რომლებსაც შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ მომზადებული პროგრამების მიხედვით ჩაუტარდათ ერთკვირიანი ტრენინგი. თეორიულ ცოდნასთან ერთად, პრაქტიკული უნარ-ჩვევების ათვისების მიზით, სტუდენტები ერთი კვირის განმავლობაში შრომის ინსპექციის სამსახურის ინსპექტორებთან ერთად ესწრებოდნენ სხვადასხვა ობიექტზე ინსპექტირების პროცესს.

პროექტში მონაწილე სტუდენტთა გადამზადების თეორიული და პრაქტიკული ნაწილის დასრულების შემდგომ, დაიწყო პროექტის ძირითადი ნაწილის განხორციელება. პროექტში მონაწილე სტუდენტები მათი სურვილისამებრ გადანაწილდნენ სამ დიდ ქალაქში თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში, სადაც ისინი სხვადასხვა ბიზნეს-ოპერატორთან, კერძოდ საზოგადოებრივი კვების ობიექტების, სასტუმროებისა და საცალო-საბითუმო სავაჭრო ობიექტების წარმომადგენლებს და დასაქმებულ პირებს აცნობდნენ სექტორული მიმართულებით კორონავირუსის პრევენციის მიზნით დადგენილი რეკომენდაციებსა და მისი დაცვის მნიშვნელობას. პროექტში მონაწილე სტუდენტები ბიზნეს-ოპერატორის წარმომადგენლებს უტოვებდნენ რეკომენდაციებს და საინფორმაციო ბროშურებს, ასევე ავსებდნენ კითხვარს.

პროექტის მიმდინარეობისას, 2021 წლის 20 ივლისიდან 4 ოქტომბრის პერიოდში, სამუშაო ადგილებზე ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით, შრომის უსაფრთხოების დესპანთა მიერ სულ **1212** ობიექტზე განხორციელდა დამსაქმებელთა და დასაქმებულთა ცნობიერების ამაღლების აქტივობები.

**საერთო ჯამში ცნობიერების ამაღლების აქტივობები 9200-მდე დასაქმებულ პირს შეეხო.**

პროექტის ფარგლებში სტუდენტებს მიეცათ შესაძლებლობა აემაღლებინათ ცოდნა და უნარ-ჩვევები სამუშაო ადგილზე (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიმართულებით. ეს ყოველივე დადებითად აისახა მათ პიროვნულ და პროფესიულ განვითარებაზე.

## 12. შრომის ინსპექციის მიერ განხორციელებული ტრენინგები

საანგარიშო პერიოდში შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ ან/და უშუალო ჩართულობით განხორციელდა 25-მდე ტრენინგი 1200-მდე პირისთვის. ტრენინგის თემატიკა მოიცავდა შემდეგ საკითხებს:

- შრომის კოდექსში შესული ცვლილებები, მათ შორის, სამუშაო დროის აღრიცხვის, ნორმებზე ზედამხედველობის შესახებ;
- შრომის უსაფრთხოების ეროვნული ნორმები სექტორულ ჭრილში;
- შრომის ინსპექციის მანდატი;
- ახალი კორონავირუსით გამოწვეულ ინფექციასთან COVD-19 დაკავშირებული რეკომენდაციები და მათი აღსრულება სექტორულ ჭრილში;
- იძულებითი შრომის, შრომითი ექსპლუატაციის მიმართულებით შრომის ინსპექციის მანდატი და რეფერალური მექანიზმები;





## 13. შრომის ინსპექტორთა პროფესიული გადამზადება

შრომის ინსპექტორთა პროფესიული მომზადება-გადამზადება, შრომის ინსპექციის შექმნის დღიდანვე ერთ-ერთ პრიორიტეტულ საკითხს წარმოადგენს. გამომდინარე იქედან, რომ უშუალოდ სფერო საკმაოდ მრავლისმომცველია და მანდატის გაფართოების პარალელურად უმნიშვნელოვანესია კადრების კვალიფიკაციის ამაღლებისა და მუდმივი მონიტორინგის საკითხი. ამ მიმართულებით შრომის ინსპექცია მჭიდროდ თანამშრომლობს თემატურად დაკავშირებულ საერთაშორისო თუ ადგილობრივ ორგანიზაციებთან. მათ შორის, განსაკუთრებით აღსანიშნავია შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO), გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროექტის „კერძო სექტორის განვითარება და პროფესიული განათლება სამხრეთ კავკასიაში“ (PSD TVET SC), ევროკავშირის დაძმობილების პროექტის **(EU TWINNING Project)** „საქართველოში შრომის პირობების/შრომითი ურთიერთობების, აგრეთვე, სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სტანდარტების გაუმჯობესება”, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს პროგრამის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (USAID/PROLoG), სახალხო დამცველის, იუსტიციის სამინისტროს, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციისა და გაეროს ქალთა ორგანიზაციის როლი.

საანგარიშო პერიოდში **6 სხვადასხვა ფუნდამენტურ/ტექნიკურ თემატიკაზე** შრომის ინსპექტორთა პროფესიული მომზადება/გადამზადება, მოკლევადიანი ინტენსიური ტრენინგებისა თუ გრძელვადიანი ტრენინგ პროგრამების მეშვეობით, რომელიც ჯამში განხორციელდა, **120 დღის მანძილზე.**

## 14. სასწავლო ვიზიტი ესტონეთის რესპუბლიკაში

სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახური, როგორც ევროკავშირის საჯარო სამსახურების დაძმობილების პროექტის „საქართველოში შრომის პირობების/შრომითი ურთიერთობების, აგრეთვე, სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სტანდარტების გაუმჯობესება“ (ტვინინგის ნომერი: GE 17 ENI OT 02 19) მთავარი ბენეფიციარი, 2019 წლიდან აქტიურად არის ჩართული პროექტით დაგეგმილი აქტივობების განხორციელების პროცესში. პროექტის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს შრომის ინსპექტორთა პროფესიული გადამზადება და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება ამ მიმართულებით. აღნიშნული პროექტის განხორციელებას უზრუნველყოფს ქვეყანათა კონსორციუმი, რომელიც წარმოდგენილია სლოვაკეთის რესპუბლიკის, ესპანეთი სამეფოსა და ესტონეთის რესპუბლიკის სახით. პროექტის პარტნიორები არიან სლოვაკეთის შრომის, სოციალური საკითხების და ოჯახის სამინისტროს რეგიონალური განვითარების სააგენტო, ესპანეთის შრომის, მიგრაციისა და სოციალური უსაფრთხოების სამინისტრო (MITRAMISS), ესპანეთის სახელწიფო სააგენტოს შრომისა და უსაფრთხოების ინსპექცია, ასევე, ესტონეთის რესპუბლიკის სოციალურ საკითხთა სამინისტრო, რომლებიც ბენეფიციართან ერთად პროექტის მიზნების განხორციელებას უზრუნველყოფენ ტვინინგის ადგილობრივი მრჩევლის, პროექტის ლიდერების, კომპონენტის ლიდერებისა და მოკლევადიანი ექსპერტების დახმარებით. ზემოხსენებული პროექტის ფარგლებში, ესტონეთის რესპუბლიკის სოციალურ საკითხთა სამინისტროს ოფიციალური მოწვევით, 2021 წლის 22-26 ნოემბრის პერიოდში შრომის ინსპექციის სამსახურის თანამშრომლებისათვის დაიგეგმა სასწვალო ვიზიტი ესტონეთის რესპუბლიკის დედაქალაქ ტალინში. ვიზიტის ფარგლებში გაიმართა შეხვედრები ესტონეთის რესპუბლიკის შრომის ინსპექციის სამსახურსა და სოციალურ საკითხთა სამინისტროს წარმომადგენლებთან. შეხვედრების დროს განხილულ იქნა

სამსახურების საქმიანობის, მათი სტრუქტურის, მიზნების, კანონმდებლობის და გამოწვევების შესახებ საკითხები. ვიზიტის მეორე ნაწილი ეთმობოდა ესტონეთის რესპუბლიკის შრომის ინსპექციის სამსახურის პრაქტიკოსი თანამშრომლების მიერ სხვადასხვა ეკონომიკური საქმიანობის სექტორებში შრომის უსაფრთხოების მიმართულებით ზედამხედველობასთან დაკავშირებული საკითხების განხილვას. ასევე, შედგა პრაქტიკული ხასიათის ვიზიტი ქ. ტალინში მდებარე სამ სამშენებლო ობიექტებზე, სადაც ესტონელმა შრომის ინსპექტორებმა გაუზიარეს გამოცდილება შრომის უსაფრთხოების მიმართულებით ინსპექტირების პროცესის შესახებ. პრაქტიკული ხასიათის ინსპექტირება, ასევე, განხორციელდა ქ. ტალინში მდებარე ერთ-ერთი ხის გადამამუშავებელ საწარმოში, სადაც შრომის ინსპექციის ადგილობრივ თანამშრომლებთან ერთად ვიზიტის მონაწილეები დაესწრნენ ზედამხედველობის პროცესს სრულად, როგორც შრომის უსაფრთხოების, ასევე შრომითი უფლებების მიმართულებით. ასევე, გაეცნენ შრომის უსაფრთხოებისა და შრომის უფლებების მიმართულებით სრული ზედამხედველობის სპეციფიკას. ვიზიტის ფარგლებში, ქართული მხარე გაეცნო ადგილობრივი შრომის ინსპექციის ელექტრონული საქმისწარმოების პლატფორმის მუშაობის სპეციფიკას, სადაც მხარეებს შორის სიღრმისეული დისკუსია გაიმართა სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურის საჭიროებებიდან გამომდინარე. გარდა ამისა, ესტონეთის მხარის მიერ გაზიარებულ იქნა სამუშაო ადგილზე უბედური შემთხვევების მოკლევისა და აღრიცხვის პროცედურები, ასევე, აღნიშნული პროცესის ელექტრონულ პლატფორმაზე ასახვის საკითხები.

ვიზიტის ფარგლებში, განხორციელებული შეხვედრები და ესტონეთის რესპუბლიკის შრომის ინსპექციისგან მიღებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა დაეხმარა სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურს, როგორც აღნიშნულ ქვეყანასთან სამომავლო ურთიერთობის გაღრავებაში, ასევე, საკუთარი საქმიანობის ეფექტურ წარმართვაში.

## 15. ცნობიერების ამაღლების მიმართულებით განხორციელებული აქტივობები

მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა მრავალმხრივი კონსულტაციებისა და დიალოგის პლატფორმის გამოყენებით შრომის ინსპექციის მანდატის სხვადასხვა მიმართულებებზე. მათ შორის, სამუშაო ადგილებზე ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით შემუშავებულ პროტოკოლზე, შრომით უფლებებზე, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აკრედიტებული პროგრამის განახლების საკითხებზე, შრომის უსაფრთხოების ნორმების აღსრულებისა თუ ინსპექტირების შედეგების მიმართულებით.

საანგარიშო პერიოდში შრომის ინსპექციის მიერ ან/და უშუალო ჩართულობით, საერთაშორისო თუ ადგილობრივი უწყებების მხარდაჭერით განხორციელდა მრავალი აქტივობა ცნობიერების ამაღლებისა თუ სამუშაო მიმართულებით. მთელი ქვეყნის მასშტაბით საინფორმაციო/სამუშაო შეხვედრების ფორმატში განხორციელდა **180-მდე შეხვედრა 9000-მდე** წარმომადგენელთან. აღნიშნულ შეხვედრებისას განხილულ იქნა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა:

- სამუშაო სივრცეში ახალი კორონავისურით გამოწვეული ინფექციის გავრცელების პრევენციის მიზნით განსაზღვრული პროტოკოლი სექტორულ დონეზე;

- ეკონომიკური საქმიანობების აღდგენის მიმართულებით განსახორციელებელი აქტივობები, მათ შორის, მწვანე პასპორტების რეგულირების მიმართულებით;

- შრომის ისნპექციის როლი COVID-19-ის მართვაში და ერთობლივი მკაცრი მონიტორინგი განსაზღვრულ ნორმებზე;
- მიმდინარე საკანონმდებლო ცვლილებები და შრომის ინსპექციის მანდატის გაზრდის მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები;
- დაძმობილების პროექტის ფარგლებში შესული ასოცირების ხელშეკრულების XXX დანართით განსაზღვრული ევროდირექტივების შესაბამისად ეროვნული ტექნიკური რეგლამენტის პროექტის შემუშავება;
- შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აკრედიტებული პროგრამის განახლების საკითხები და შესაბამისი კომისიის სხდომა;
- მთავარ შრომის ინსპექტორთან არსებული მრჩეველთა საბჭოს სამუშაო შეხვედრები;
- შრომის ინსპექციის სამოქმედო გეგმის შემუშავების საკითხები;

განსაკუთრებით აღსანიშნავია შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მხარდაჭერით 2020 წლიდან სამუშაო ადგილებზე ახალი კორონავირუსის პრევენციის მიზნით შემუშავებულ რეკომენდაციებზე მომზადებული ბეჭდური მასალები, რომელიც სექტორულ დონეზე გავრცელდა საინფორმაციო შეხვედრებისას.

შრომის კოდექსში შესული ცვლილებების შესახებ დამსაქმებელთა და დასაქმებულთა ცნობიერების ამაღლების მიზნით, საანგარიშო პერიოდში განხორციელდა საინფორმაციო კამპანია „შრომის ლექსიკონი“, "USAID"-ის, ფრიდრიხ ებერტის ფონდის, სოლიდარობის ცენტრის, ნორვეგიის საელჩოს მხარდაჭერით.

კამპანია საქართველოს პროგრესული ფორუმისა და სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურის ჩართულობით მიმდინარეობდა. პროექტის ფარგლებში მომზადდა 10 ვიდეო რგოლი და პოსტერები შემდეგი თემატიკით: არადისკრიმინაციული გარემო სამუშაო ადგილზე, სექსუალური შევიწროებისგან დაცვა, გონივრული მისადაგების პრინციპი, შრომითი ხელშეკრულება, სტაჟირება, სამუშაო დრო, ზეგანაკვეთური სამუშაო, დეკრეტული შვებულება, ასევე თანამშრომლობა დამსაქმებლებსა და დასაქმებულებს შორის.

კამპანიის ფარგლებში შემუშავებული ვიდეორგოლები გავრცელდა და ფართო საზოგადოება მოიცვა ქვეყანაში ოპერირებადი ტელევიზიების, მასმედიისა და სოციალური მედიის საშუალებით. შედეგების პრეზენტაცია 2021 წლის 15 დეკემბერს გაიმართა, თუმცა, კამპანიის ფარგლებში მომზადებული ვიდეო მასალები, პოსტერები ინტენსიურად იქნება გამოყენებული სამსახურის მიერ. ცნობიერების ამაღლების

მიმართულებით, ასევე, ხაზგასასმელია სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურისა და საქართველოს პროგრესული ფორუმის თანამშრომლობა გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით, რომლის ფარგლებში დაიწყო პროექტის "საკონსულტაციო ცენტრი"-ს განხორციელება. პროექტი გულისხმობს შრომის ინსპექციის კონტაქტ-ცენტრის დაფუძნებას, რომლის ფარგლებშიც განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური, თუ ექსპერტული მხარდაჭერა, ასევე, შრომის ინსპექციისა და შრომის ლექსიკონის ვებგვერდების შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს მოქალაქეთა ინფორმირებას შრომის ინსპექციის მანდატის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობისა თუ შრომის კანონმდებლობის შესახებ.

შრომის კანონდებლობაში განხორციელებულ ცვლილებებზე ცნობიერების ამაღლების მიმართულებით ხაზგასასმელია შრომის ინსპექციისა და „სოლიდარობის ცენტრი“-ს თანამშრომლობა კერძო მეწარმეობის საერთაშორისო ცენტრის (CIPE) მიერ ორგანიზებული ცნობიერების ამაღლების კამპანიის „უსაფრთხო ბიზნესი თქვენი არჩევანია“[1] მიმართულებით, რომლის დროსაც შრომის ინსპექციის წარმომადგენლების უშუალო ჩართულობით განხორციელდა 3 ტრენინგი და 1 კონფერენცია. აღნიშნულის ფარგლებში 1000-მდე კერძო სექტორის წარმომადგენელს მიეწოდა ინფორმაცია მიმდინარე საკანონმდებლო ცვლილებებზე პრეზენტაციისა და კითხვა-პასუხის რეჟიმში.

გარდა ამისა, **შრომის ინსპექციის საქმიანობასთან და მანდატთან დაკავშირებით ჯამში შეიქმნა 30 ვიდეორგოლი.** მათ შორის:

- შრომის უსაფრთხოების თემატურ საკითხებზე 2019-2021 წლებში შემუშავებულ იქნა 20 ვიდეორგოლი, რომელთა ძირითადი ნაწილი გავრცელდა სოციალური ქსელების საშუალებით.
- შრომითი უფლებებისა და შრომის ინსპექციის საქმიანობის შესახებ კი კამპანიის **„შრომის ლექსიკონი“-ს ფარგლებში** საზოგადოებას მიეწოდება განახლებული შრომის კოდექსის შესახებ ინფორმაცია. შემუშავებულ იქნა 10 ვიდეოკლიპი, რომელთა გავრცელებისა და ფართო საზოგადოების მოცვის მიზნით სამსახურმა მიმართა ქვეყანაში ოპერირებად ტელევიზიებსა და მასმედიის საშუალებებს, რომლის შედეგადაც შემუშავებული მასალები, გარდა სოციალური მედიისა გავრცელდა სატელევიზიო სივრცეშიც.

აღსანიშნავია, რომ შემუშავებული მასალები ეტაპობრივად გავრცელდება ცნობიერების ამაღლების ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების პარალელურად.

---

[1] ცნობიერების ამაღლების კამპანიის „უსაფრთხო ბიზნესი თქვენი არჩევანია“ ოფიციალური გვერდი სოციალურ ქსელში: https://www.facebook.com/groups/safebusinessisyourchoice

## 16. სამომავლო გეგმები

შრომის ინსპექციის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია, შექმნას საზოგადოებისთვის გამჭვირვალე, მაღალი რეპუტაციის მქონე, სანდო საზედამხედველო ინსტიტუტი. ამის მისაღწევად, არსებული გამოწვევების ფონზე დაგეგმილია:

- სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურის სრულად დაკომპლექტება და რეგიონული წარმომადგენლობის ზრდა შრომის ინსპექციის სამსახურის დებულებისა და „სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად;
- ადამიანური რესურსების განვითარების გეგმის შემუშავება;
- სამსახურისთვის წლიური სამოქმედო გეგმის შემუშავება, რომელიც მუდმივი რევიზიის ფარგლებში შესაბამისობაში მოვა ევროდირექტივებთან და სხვა მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხებთან;
- შრომისა და დასაქმების პოლიტიკის სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმის განახლებაში ჩართვა;
- ეროვნულ დონეზე ცნობიერების ამაღლება შრომითი ნორმების შესახებ და შრომის ინსპექციის ფუნქცია-მოვალეობების შესახებ;
- სამუშაო ადგილზე შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებით საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულების XXX დანართით განსაზღვრული დირექტივების იმპლემენტაციის ხელშეწყობა;
- ელექტრონული საქმისწარმოების პროცესზე გადასვლა (LIMS-შრომის ინსპექციის მართვის სისტემა);
- შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აკრედიტებული პროგრამის მართვის ელექტრონული რესურსების დახვეწა და ეფექტურად გამოყენება;
- ვებ-გვერდის, Youtube - არხის შექმნა და სოციალური ქსელის განვითარება;
- სამსახურის მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობით უზრუნველყოფა;
- სამსახურის სტრატეგიული კომუნიკაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის პოლიტიკის შემუშავება;
- უწყვეტი კომუნიკაციის ხელშეწყობა მასობრივი ინფორმაციის გავრცელების პლატფორმებთან;
- საზოგადოების ჩართულობის ხელშეწყობას, შრომის ინსპექციის საქმიანობაში;

# დანართი

*ცხრილი №10*

**სამუშაო ადგილებზე ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით რეკომენდაციების დამტკიცების თაობაზე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №01-227/ო ბრძანებით განსაზღვრული რეკომენდაციების ნუსხა**

| | |
|---|---|
| დანართი N1 | ზოგადი რეკომენდაციები |
| დანართი N2 | რეკომენდაციები სამშენებლო სექტორისთვის |
| დანართი N3 | რეკომენდაციები მომსახურების/საოფისე საქმიანობებისთვის |
| დანართი N4 | რეკომენდაციები სამთო-მოპოვებითი სექტორისთვის, წარმოებისა და დამამუშავებელი მრეწველობისთვის |
| დანართი N5 | რეკომენდაციები საგამომცემლო საქმიანობებისათვის |
| დანართი N6 | რეკომენდაციები ელექტროენერგიის მიწოდების, წყლის დაგროვება/დამუშავება/განაწილებისა და ნარჩენების მართვის მიმართულებით |
| დანართი N7 | რეკომენდაციები სოფლის მეურნეობისათვის |
| დანართი N8 | რეკომენდაციები მიტანის მომსახურების (ე.წ. „დელივერი სერვისი"/„საკურიერო სერვისი") საქმიანობებისთვის |
| დანართი N9 | რეკომენდაციები სილამზის სალონებისა და ესთეთიკური მედიცინის ცენტრებისთვის |
| დანართი N10 | რეკომენდაციები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ლაბორატორიებისა და საგამოცდო ცენტრებისთვის |
| დანართი N11 | რეკომენდაციები  საცალო და საბითუმო ვაჭრობის საქმიანობებისთვის |
| დანართი N12 | რეკომენდაციები  ავტომომსახურების საქმიანობებისთვის |
| დანართი N13 | რეკომენდაციები პროფესიული სპორტის სხვადასხვა სახეობისთვის და სპორტული ღონისძიებებისთვის |
| დანართი N14 | რეკომენდაციები პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებებისთვის |
| დანართი N15 | რეკომენდაციები ტურ-ოპერატორების და გიდებისთვის |
| დანართი N16 | რეკომენდაციები სასტუმროებისთვის |
| დანართი N17 | რეკომენდაციები საზოგადოებრივი კვების ობიექტებისთვის) |
| დანართი N18 | რეკომენდაციები სავაჭრო ცენტრებისთვის (მოლებისთვის) |
| დანართი N19 | რეკომენდაციები ბაზრობებისთვის |
| დანართი N20 | რეკომენდაციები მუნიციპალური და საქალაქთაშორისო (ავტობუსი, მიკროავტობუსი) ტრანსპორტისთვის |
| დანართი N21 | რეკომენდაციები აეროპორტებისა და საჰაერო ტრანსპორტისთვის |
| დანართი N22 | რეკომენდაციები შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული გამოცდებისთვის |
| დანართი N23 | რეკომენდაციები მეზღვაურთა საწვრთნელ დაწესებულებებში მსმენელთა მიღებისა და კურსების ჩატარებასთან დაკავშირებით |
| დანართი N24 | რეკომენდაციები სატრანსპორტო სარკინიგზო ტრანსპორტისთვის |
| დანართი N25 | რეკომენდაციები სამუზეუმო, შემოქმედებითი საქმიანობისა და კულტურული ღონისძიებებისთვის |
| დანართი N26 | რეკომენდაციები „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში" რეგისტრირებული ზოგიერთი ქვეპროგრამის მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულებებისთვის" |
| დანართი N27 | რეკომენდაციები ზღვის სანაპირო ზოლისთვის |
| დანართი N28 | რეკომენდაციები ტრენინგების, კონფერენციების, სემინარებისა და მსგავსი ღონისძიებების მიმართ |
| დანართი N29 | რეკომენდაციები ღია სივრცეში არსებული გასართობი ატრაქციონებისთვის |
| დანართი N30 | ზოგადი რეკომენდაციები კინოწარმოებისა და კინოჩვენებისთვის |
| დანართი N31 | რეკომენდაციები სპორტულ-გამაჯანსაღებელი (ფიტნეს) დაწესებულებებისათვის) |
| დანართი N32 | რეკომენდაციები გემების, იახტების,  სასეირნო კატარღებისა და სხვა მცურავი სატრანსპორტო საშუალებების მიმართ |
| დანართი N33 | რეკომენდაციები ღია/დახურული ტიპის აუზების, საუნებისა და აბანოებისთვის |
| დანართი N34 | რეკომენდაციები ღია და დახურულ სივრცეში სოციალური ღონისძიებებისთვის (მაგ: ქორწილი, ნებისმიერი იუბილე, ქელეხი და ა.შ.) |
| დანართი N35 | რეკომენდაციები ტარ-პარკებისთვის და იმ ბენზინგასამართი სადგურების მიმართ, რომელთა ტერიტორიაზეც ხდება საერთაშორისო სატვირთო გადაზიდვების განმახორციელებელი მძღოლების გაჩერება |
| დანართი N36 | რეკომენდაციები ბიბლიოთეკებისთვის |
| დანართი N37 | რეკომენდაციები ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის |
| დანართი N38 | რეკომენდაციები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის |
| დანართი N39 | რეკომენდაციები ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებისთვის |
| დანართი N40 | რეკომენდაციები კაზინოებისა და სხვა სათამაშო ბიზნესოპერატორებისთვის |
| დანართი N41 | რეკომენდაციები ბავშვთა და სხვა გასართობი ღონისძიებებისთვის/ცენტრებისთვის |
| დანართი N42 | რეკომენდაციები ელექტრონული მუსიკის მოსასმენი სივრცეებისა და ღამის კლუბებისთვის |

*ცხრილი №11*

| „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად 2021 წლის ჩათვლით განსაზღვრული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები | | | | |
|---|---|---|---|---|
| | **კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის დასახელება** | **ვადა** | **მიღების პერიოდი** | **სტატუსი** |
| **1** | მომეტებული საფრთხის შემცველი, მძიმე, მავნე და საშიშპირობებიანი სამუშაოების ჩამონათვალის დამტკიცების თაობაზე | | 2018 წლის 27 ივლისი | **საქართველოს მთავრობის დადგენილება №381** |
| **2** | მომეტებული საფრთხის შემცველ, მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან სამუშაოებზე შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვის შემოწმებისას შერჩევითი კონტროლის წესისა და პირობების განსაზღვრის თაობაზე | | 2018 წლის 27 ივლისი | **საქართველოს მთავრობის<br><br>დადგენილება №382** |
| **3** | სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებების აღრიცხვის წესის და ფორმის, მოკვლევის პროცედურებისა და ანგარიშგების წესის დამტკიცების თაობაზე | | 2018 წლის 12 სექტემბერი | **საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის<br><br>ბრძანება №01-11/ნ** |
| **4** | შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აკრედიტებული პროგრამის მოცულობის, განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ | | 2018 წლის 31 ოქტომბერი | **საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის<br><br>ბრძანება №01-25/ნ** |
| **5** | ეკონომიკური საქმიანობის პრიორიტეტული დარგების განსაზღვრის მეთოდებისა და რისკის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ | | 2020 წლის 6 თებერვალი | **საქართველოს მთავრობის დადგენილება №80** |
| **6** | სამუშაო სივრცეში რისკის შეფასების წესის დამტკიცების თაობაზე | **2019 წლის 1 სექტემბრამდე** | 2020 წლის 30 იანვარი | **საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის<br>ბრძანება №01-15/ნ** |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 7 | ინსპექტირებას დაქვემდებარებულ ობიექტებზე შესვლისა და შემოწმების (ინსპექტირების) წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ | **2019 წლის 1 სექტემბრამდე** | 2020 წლის 10 თებერვალი | **საქართველოს მთავრობის დადგენილება №99** |
| 8 | ორსული, ახალნამშობიარები და მეძუძური ქალების ჯანმრთელობისთვის მავნე ან/და განსაკუთრებული რისკის შემცველი სამუშაოების დამტკიცების თაობაზე | **2019 წლის 1 სექტემბრამდე** | 2020 წლის 14 თებერვალი | **საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №01-20/ნ** |
| 9 | 18 წლამდე ასაკის პირისთვის მძიმე, მავნე და საშიშპირობებიანი სამუშაოების ჩამონათვალის დამტკიცების თაობაზე | **2019 წლის 1 სექტემბრამდე** | 2020 წლის 30 ნოემბერი | **საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №01-126/ნ** |
| 10 | უბედური შემთხვევის დაზღვევის წესები და პროცედურები | **2019 წლის 1 სექტემბრამდე** | | **2019 წელს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მხარდაჭერით შემუშავდა ბრძანების პროექტი** |
| 11 | მონიტორიან დანადგარებთან მუშაობისას უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მინიმალური მოთხოვნების შესახებ | **2019 წლის 1 სექტემბრამდე** | | **შემუშავებულია ტექნიკური რეგლამენტის პროექტი მონიტორიან დანადგარებთან მუშაობის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის მინიმალური მოთხოვნების შესახებ და მზად არის დასამტკიცებლად (დამატებით რამდენიმე მუხლი ასახულ იქნა სამუშაო ადგილის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის მინიმალური მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის პროექტში).** |
| 12 | სამუშაო ადგილზე ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენებისას უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მინიმალური მოთხოვნების შესახებ | **2020 წლის 1 სექტემბრამდე** | | **ტექნიკური რეგლამენტის პროექტი 2021 წელს განახლებულ იქნა დაძმობილების პროექტის ფარგლებში, რომლის შესაბამისადაც მომზადებულ იქნა შესაბამისობის ცხრილი. პროექტის განხილვა დაგეგმილია 2022 წლის მარტში, რომელზეც მუშაობის დასრულება იგეგმება 2022 წლის მარტში TWG-ის ფარგლებში** |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 13 | სამუშაო ადგილზე უსაფრთხოების ან/და ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული ნიშნების განთავსების მიზნით დასადგენი მინიმალური მოთხოვნების შესახებ | 2020 წლის 1 სექტემბრამდე | | შემუშავებულია ტექნიკური რეგლამენტის პროექტი. აღნიშნული პროექტი 2021 წელს განახლებულ იქნა დაძმობილების პროექტის ფარგლებში, რომლის შესაბამისადაც მომზადებულ იქნა შესაბამისობის ცხრილი. პროექტზე მუშაობის დასრულება იგეგმება 2022 წლის მარტში TWG-ის ფარგლებში |
| 14 | სამუშაო ადგილზე სამუშაო მოწყობილობების გამოყენებისას უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მინიმალური მოთხოვნების შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღება | 2021 წლის 1 სექტემბრამდე | | შემუშავებულია ტექნიკური რეგლამენტის პროექტი, მომზადებულია შესაბამისობის ცხრილი. პროექტის განიხილება TWG-ს ფარგლებში და დასრულდება დაგეგმილილია 2022 წლის ივნისამდე |
| 15 | დროებით ან მოძრავ სამშენებლო უბნებზე უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მინიმალური მოთხოვნების შესახებ | 2021 წლის 1 სექტემბრამდე | | ნაწილობრივ ასახულია საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის №477-ე დადგენილებაში.<br>გარდა ამისა, დადგენილების შესაბამისად დაძმობილების პროექტის ფარგლებში მომზადდა შესაბამისობის ცხრილი, რომლის შესაბამისად ცვლილებების პროექტის განხილვა დაგეგმილია TWG-ს ფარგლებში 2022 წლის აპრილი-მაისის პერიოდში და მასზე მუშაობის დასრულდება დაგეგმილილია 2022 წლის ივლისამდე |
| 16 | ფიზიკური აგენტით (ვიბრაციით) გამოწვეული პოტენციური რისკის წინაშე დასაქმებულების დაყენებასთან დაკავშირებით უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მინიმალური მოთხოვნების შესახებ | 2021 წლის 1 სექტემბრამდე | | ტექნიკური რეგლამენტის პროექტი მომზადებულია. მიმდინარეობს მუშაობა შესაბამისობის ცხრილზე, რომლიც განხილული იქნება TWG-ს ფარგლებში 2022 წლის აივნისი ივლისის პერიოდში და მასზე მუშაობის დასრულდება დაგეგმილილია 2022 წლის აგვისტომდე |

*ცხრილი №12*

| სამუშაო ადგილზე შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებით საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულების XXX დანართით განსაზღვრული დირექტივები | | | | |
|---|---|---|---|---|
| | **ევროდირექტივები** | **ტრანსპოზიციის პერიოდი** | **ჩართული მხარეები** | **შენიშვნები** |
| **1** | 1989 წლის 12 ივნისის 89/391/EEC დირექტივა სამუშაო ადგილზე მუშაკთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით ზომების შემოღების შესახებ [2] | სექტემბერი,2019 | ILO, ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტი ( EUVEGE), ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტი (GE 17 ENI OT 02 19) | დირექტივა სრულად ტრანსპოზიცირდა „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში |
| **2** | 1989 წლის 30 ნოემბრის საბჭოს 89/654/EEC დირექტივა სამუშაო ადგილზე უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის მინიმალური მოთხოვნების თაობაზე (პირველი ინდივიდუალური დირექტივა 89/391/EEC დირექტივის მე-16(1) მუხლის კონტექსტში) [3] | სექტემბერი, **2019 წელს ახალი სამუშაო ადგილებისთვის; სექტემბერი, 2021 წელს არსებული სამუშაო ადგილებისთვის** | ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტი ( EUVEGE); 2019 წლის სექტემბრიდან ჩართულია ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტში (GE 17 ENI OT 02) | შემუშავებულია სამუშაო ადგილზე უსაფრთხოებისა და ჯან0მრთელობის მინიმალური მოთხოვნები;<br><br>შემაჯამებელი პროცედურები მიმდინრეობს ტექნიკური სამუშაო ჯგუფის (TWG) ფარგლებში, რომლის დასრულება დაგეგმილია 2022 წლის თებერვალი-მარტის პერიოდში |

[2] დირექტივის ოფიციალური თარგმანი ხელმისაზწვდომია ბმულზე: https://matsne.gov.ge/document/view/4483160?publication=0
[3] დირექტივის ოფიციალური თარგმანი ხელმისაზწვდომია ბმულზე: *https://matsne.gov.ge/document/view/3623043?publication=0*

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **3** | 2009 წლის 16 სექტემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009/104/EC დირექტივა სამუშაო ადგილზე მუშაკთა მიერ სამუშაო მოწყობილობების გამოყენებისათვის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის მინიმალური მოთხოვნების თაობაზე (მეორე ინდივიდუალური დირექტივა 89/391/EEC დირექტივის მე16(1) მუხლის კონტექსტში - 89/655/EEC დირექტივის კოდიფიკაცია, რომელიც შესწორდა 95/63/EC და 2001/45/EC დირექტივებით) | სექტემბერი, **2019 წელს ახალი სამუშაო ადგილებისთვის; სექტემბერი, 2021 წელს არსებული სამუშაო ადგილებისთვის** | ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტი ( EUVEGE); 2019 წლის სექტემბრიდან ჩართულია ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტში (GE 17 ENI OT 02 19) | შემუშავებულია ტექნიკური რეგლამენტის პროექტი, რომლის შესაბამისადაც მომზადებულია შესაბამისობის ცხრილი. დოკუმენტაცია განხილული იქნება TWG-ს ფარგლებში |
| **4** | 1990 წლის 29 მაისის საბჭოს დირექტივა 90/270/EEC მონიტორიან დანადგარებთან მუშაობისთვის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის მინიმალური მოთხოვნების შესახებ (მეხუთე ინდივიდუალური დირექტივა 89/391/EEC დირექტივის მე-16(1) მუხლის კონტექსტში) | სექტემბერი, 2019 | ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტი ( EUVEGE) ; 2019 წლის სექტემბრიდან ჩართულია ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტში (GE 17 ENI OT 02) | შემუშავებულია ტექნიკური რეგლამენტის პროექტი და მზად არის დასამტკიცებლად (დამატებით რამდენიმე მუხლი ასახულ იქნა სამუშაო ადგილის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის მინიმალური მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის პროექტში). |
| **5** | 1989 წლის 30 ნოემბრის საბჭოს დირექტივა 89/656/EEC სამუშაო ადგილზე მუშაკთა მიერ პერსონალური დამცავი აღჭურვილობის გამოყენებისთვის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის მინიმალური მოთხოვნების შესახებ (მესამე ინდივიდუალური დირექტივა 89/391/EEC დირექტივის მე16(1) მუხლის კონტექსტში) | სექტემბერი, **2020** | ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტი ( EUVEGE); 2019 წლის სექტემბრიდან ჩართულია ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტში (GE 17 ENI OT 02) | შემუშავებულია ტექნიკური რეგლამენტის პროექტი. აღნიშნული პროექტი 2021 წელს განახლებულ იქნა დაძმობილების პროექტის ფარგლებში, რომლის შესაბამისადაც მომზადებულ იქნა შესაბამისობის ცხრილი. პროექტის განხილვა იგეგმება 2022 წლის მარტში ხოლო დასრულება 2022 წლის აპრილშია დაგეგმილი TWG-ის ფარგლებში |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **6** | 1992 წლის 24 ივნისის საბჭოს 92/58/EEC დირექტივა სამუშაოზე უსაფრთხოებასა და/ან ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ნიშნების განთავსების მიზნით მინიმალური მოთხოვნების შესახებ (მეცხრე ინდივიდუალური დირექტივა 89/391/EEC დირექტივის მე16(1) მუხლის კონტექსტში) | სექტემბერი, **2020** | ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტი ( EUVEGE); 2019 წლის სექტემბრიდან ჩართულია ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტში (GE 17 ENI OT 02) | შემუშავებულია ტექნიკური რეგლამენტის პროექტი. აღნიშნული პროექტი 2021 წელს განახლებულ იქნა დაძმობილების პროექტის ფარგლებში, რომლის შესაბამისადაც მომზადებულ იქნა შესაბამისობის ცხრილი. პროექტზე მუშაობის დასრულება იგეგმება 2022 წლის მარტში TWG-ის ფარგლებში |
| **7** | 1992 წლის 24 ივნისის საბჭოს 92/57/EEC დირექტივა დროებით ან მოძრავ სამშენებლო უბნებზე უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის მინიმალური მოთხოვნების იმპლემენტაციის შესახებ (მერვე ინდივიდუალური დირექტივა 89/391/EEC დირექტივის მე16(1) მუხლის კონტექსტში) | სექტემბერი, 2021 | ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტი ( EUVEGE); 2019 წლის სექტემბრიდან ჩართულია ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტში (GE 17 ENI OT 02) | ნაწილობრივ ასახულია საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის №477-ე დადგენილებაში.<br>გარდა ამისა, დადგენილების შესაბამისად დაზმობილების პროექტის ფარგლებში მომზადდა შესაბამისობის ცხრილი, რომლის შესაბამისად ცვლილებების პროექტის განხილვა დაგეგმილია TWG-ს ფარგლებში 2022 წლის აპრილი-მაისის პერიოდში და მასზე მუშაობის დასრულდება დაგეგმილილია 2022 წლის ივლისამდე |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **8** | 2002 წლის 25 ივნისის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2002/44/EC დირექტივა მუშაკთა ფიზიკური აგენტებისგან (ვიბრაცია) გამოწვეული პოტენციური რისკის წინაშე დაყენებასთან დაკავშირებით უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის მინიმალური მოთხოვნების შესახებ მეთექვსმეტე ინდივიდუალური დირექტივა 89/391/EEC დირექტივის მე16(1) მუხლის კონტექსტში)[4] | სექტემბერი, 2021 | 2019 წლის სექტემბრიდან ჩართულია ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტში (GE 17 ENI OT 02) | დირექტივა თარგმნილია. ტექნიკური რეგლამენტის  პროექტი მომზადებულია. მიმდინარეობს მუშაობა შესაბამისობის ცხრილზე, რომელიც განხილული იქნება TWG-ს ფარგლებში 2022 წლის ივნისი-ივლისის პერიოდში და მასზე მუშაობის დასრულდება დაგეგმილილია  2022 წლის აგვისტომდე |
| **9** | 2009 წლის 30 ნოემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს დირექტივა 2009/148/EC სამუშაოზე აზბესტის ზემოქმედებასთან დაკავშირებული რისკებისგან მუშაკთა დაცვის თაობაზე | სექტემბერი, 2022 | 2019 წლის სექტემბრიდან ჩართულია ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტში (GE 17 ENI OT 02) | დირექტივა თარგმნილია, ტექნიკური რეგლამენტის პროექტი მომზადებულია; წარდგენა TWG-ში განსახილველად დაგეგმილია ივლისში, რომელზეც მუშაობა დასრულდება 2022 წლის სექტემბრამდე |
| **10** | 1992 წლის 3 ნოემბრის საბჭოს დირექტივა 92/91/EEC ბურღვის მეშვეობით მინერალების მოპოვების ინდუსტრიებში მუშაკთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის სრულყოფისთვის მინიმალური მოთხოვნების თაობაზე (მეთერთმეტე ინდივიდუალური დირექტივა 89/391/EEC დირექტივის მე16(1) მუხლის კონტექსტში) | სექტემბერი, **2020 წელს ახალი სამუშაო ადგილებისთვის; სექტემბერი, 2022 წელს არსებული სამუშაო ადგილებისთვის** | 2019 წლის სექტემბრიდან ჩართულია ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტში (GE 17 ENI OT 02) | დირექტივა თარგმნილია, ტექნიკური რეგლამენტის პროექტი და შესაბამისობის ცხრილი მომზადებულია; რეგულაციის პროექტი აერთიანებს 2 დირექტივას; წარდგენა TWG-ში განსახილველად დაგეგმილია მაისი/ივნისში, რომელზეც მუშაობა დასრულდება 2022 წლის სექტემბრამდე |

[4] დირექტივის ოფიციალური თარგმანი ხელმისაწვდომია ბმულზე: https://matsne.gov.ge/document/view/3623256?publication=0

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **11** | 1992 წლის 3 დეკემბრის საბჭოს დირექტივა 92/104/EEC ზედაპირზე და მიწის ქვეშ მინერალების მოპოვების ინდუსტრიებში მუშაკთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის სრულყოფისთვის მინიმალური მოთხოვნების თაობაზე (მეთორმეტე ინდივიდუალური დირექტივა 89/391/EEC დირექტივის მე-16(1) მუხლის კონტექსტში) | სექტემბერი, **2020 წელს ახალი სამუშაო ადგილებისთვის; სექტემბერი, 2023 წელს არსებული სამუშაო ადგილებისთვის** | 2019 წლის სექტემბრიდან ჩართულია ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტში (GE 17 ENI OT 02) | დირექტივა თარგმნილია, ტექნიკური რეგლამენტის პროექტი და შესაბამისობის ცხრილი მომზადებულია; რეგულაციის პროექტი აერთიანებს 2 დირექტივას; წარდგენა TWG-ში განსახილველად დაგეგმილია მაისი/ივნისში, რომელზეც მუშაობა დასრულდება 2022 წლის სექტემბრამდე |
| **12** | 1999 წლის 16 დეკემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს დირექტივა 1999/92/EC ფეთქებადი ატმოსფეროს გამო პოტენციური რისკის ქვეშ მყოფ მუშაკთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესების მიზნით მინიმალური მოთხოვენების შესახებ (მეთხუთმეტე ინდივიდუალური დირექტივა 89/391/EEC დირექტივის მე-16(1) მუხლის კონტექსტში) | სექტემბერი, 2022 | 2019 წლის სექტემბრიდან ჩართულია ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტში (GE 17 ENI OT 02) | დირექტივა თარგმნილია, ტექნიკური რეგლამენტის პროექტი მომზადებულია; წარდგენა TWG-ში განსახილველად დაგეგმილია სექტემბერში, რომელზეც მუშაობა დასრულდება 2022 წლის ოქტომბერში |
| **13** | 2006 წლის 5 აპრილის ევროპარლამენტისა და საბჭოს დირექტივა 2006/25/EC მუშაკთა ფიზიკური აგენტებით (ხელოვნური ოპტიკური რადიაცია) გამოწვეული პოტენციური რისკის წინაშე დაყენებასთან დაკავშირებით უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის მინიმალური მოთხოვნების შესახებ (მეცხრამეტე ინდივიდუალური დირექტივა 89/391/EEC დირექტივის მე16(1) მუხლის კონტექსტში) | სექტემბერი, 2022 | 2019 წლის სექტემბრიდან ჩართულია ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტში (GE 17 ENI OT 02) | დირექტივა თარგმნილია, მიმდინარეობს მუშაობა ტექნიკური რეგლამენტის პროექტზე; წარდგენა TWG-ში განსახილველად დაგეგმილია 2022 წლის ოქტომბერში |
| **14** | 1990 წლის 29 მაისის საბჭოს 90/269/EEC დირექტივა ტვირთის ხელით აწევის დროს, მუშაკთა მიერ განსაკუთრებით ზურგის დაზიანების საფრთხის არსებობის პირობებში, ჯანმრთელობისა და | სექტემბერი, 2022 | 2019 წლის სექტემბრიდან ჩართულია ევროკავშირის ტექნიკური | დირექტივა თარგმნილია, მიმდინარეობს მუშაობა ტექნიკური რეგლამენტის პროექტზე; წარდგენა TWG-ში განსახილველად დაგეგმილია 2022 წლის აგვისტოში, |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | უსაფრთხოების მინიმალური მოთხოვნების შესახებ (მე-4 ინდივიდუალური დირექტივა 89/391/EEC დირექტივის მუხლის 16(1) კონტექსტში) | | დახმარების პროექტში (GE 17 ENI OT 02) | რომელზეც მუშაობა დასრულდება 2022 წლის ოქტომბერში |
| **15** | 2006 წლის 7 თებერვლის ევროკომისიის დირექტივა 2006/15/EC, რომლითაც ფორმირდება დასაქმების სახეობის მიხედვით მავნე ზეგავლენის ზღვრული ინდიკატიური მაჩვენებლების  მეორე სია, საბჭოს 98/24/EC დირექტივის იმპლემენტაციის მიზნით | სექტემბერი, 2023 | | საჭიროებს თარგმნასა და ტექნიკურ ექსპერტიზას |
| **16** | 2009 წლის 17 დეკემბრის ევროკომისიის დირექტივა 2009/161/EU, რომლითაც ფორმირდება დასაქმების სახეობის მიხედვით მავნე ზეგავლენის  ზღვრული ინდიკატიური მაჩვენებლების  მესამე სია, საბჭოს 98/24/EC დირექტივის იმპლემენტაციის მიზნით | სექტემბერი, 2023 | | საჭიროებს თარგმნასა და ტექნიკურ ექსპერტიზას |
| **17** | 2003 წლის 6 თებერვლის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2003/10/EC დირექტივა მუშაკთა ფიზიკური აგენტებით (ხმაური) გამოწვეული პოტენციური რისკის წინაშე დაყენებასთან დაკავშირებით უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის მინიმალური მოთხოვნების შესახებ (მეჩვიდმეტე ინდივიდუალური დირექტივა 89/391/EEC დირექტივის მე16(1) მუხლის კონტექსტში) | სექტემბერი, 2023 | | საჭიროებს თარგმნასა და ტექნიკურ ექსპერტიზას |
| **18** | 1991 წლის 29 მაისის ევროკომისიის 91/322/EEC დირექტივა სამუშაო ადგილზე ქიმიური, ფიზიკური და ბიოლოგიური აგენტების ზემოქმედებით გამოწვეული რისკებისგან მუშაკთა დაცვის შესახებ | სექტემბერი, 2023 | | საჭიროებს თარგმნასა და ტექნიკურ ექსპერტიზას |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | საბჭოს 80/1107/EEC დირექტივის იმპლემენტაციის მეშვეობით ზღვრული ინდიკატიური მაჩვენებლების განსაზღვრის თაობაზე. | | | |
| **19** | 2004 წლის 29 აპრილის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2004/40/EC დირექტივა მუშაკთა ფიზიკური აგენტებით (ელექტრომაგნიტური ველი) გამოწვეული პოტენციური რისკის წინაშე დაყენებასთან დაკავშირებით უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის მინიმალური მოთხოვნების შესახებ (მეთვრამეტე ინდივიდუალური დირექტივა 89/391/EEC დირექტივის მე16(1) მუხლის კონტექსტში) | სექტემბერი, 2023 | | საჭიროებს თარგმნასა და ტექნიკურ ექსპერტიზას |
| **20** | 1998 წლის 7 აპრილის საბჭოს დირექტივა 98/24/EC სამუშაოზე ქიმიურ აგენტებთან დაკავშირებული რისკებისგან მუშაკთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის შესახებ (მეთოთხმეტე ინდივიდუალური დირექტივა 89/391/EEC დირექტივის მე-16(1) მუხლის კონტექსტში) | სექტემბერი, 2023 | | საჭიროებს თარგმნასა და ტექნიკურ ექსპერტიზას |
| **21** | 2004 წლის 29 აპრილის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2004/37/EC დირექტივა სამუშაოზე კანცეროგენებისა და მუტაგენების ზემოქმედებასთან დაკავშირებული რისკებისგან მუშაკთა დაცვის თაობაზე (მეექვსე ინდივიდუალური დირექტივა 89/391/EEC დირექტივის მე-16(1) მუხლის კონტექსტში) | სექტემბერი, 2023 | | საჭიროებს თარგმნასა და ტექნიკურ ექსპერტიზას |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **22** | 2000 წლის 8 ივნისის ევროკომისიის 2000/39/EC დირექტივა, რომლითაც ფორმირდება დასაქმების სახეობის მიხედვით მავნე ზეგავლენის ზღვრული ინდიკატიური მაჩვენებლების პირველი სია, სამუშაოზე ქიმიურ ნივთიერებებთან დაკავშირებული რისკებისგან მუშაკთა ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის შესახებ საბჭოს 98/24/EC დირექტივის იმპლემენტაციის მიზნით | სექტემბერი, 2023 | | საჭიროებს თარგმნასა და ტექნიკურ ექსპერტიზას |
| **23** | 2010 წლის 10 მაისის საბჭოს დირექტივა 2010/32/EU, რომელიც უზრუნველყოფს ევროპის ჰოსპიტალურ და ჯანდაცვის სფეროს დამსაქმებელთა ასოციაციისა (HOSPEEM) და საჯარო სამსახურის კავშირების ევროპული ფედერაციის (EPSU) მიერ გაფორმებულ ჰოსპიტალურ და ჯანდაცვის სექტორში ბასრი სამედიცინო ინსტრუმენტების გამოყენებისას დაზიანებების თავიდან აცილების შესახებ ჩარჩო შეთანხმების იმპლემენტაციას | სექტემბერი, 2023 | | საჭიროებს თარგმნასა და ტექნიკურ ექსპერტიზას |
| **24** | 2000 წლის 18 სექტემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2000/54/EC დირექტივა სამუშაოზე ბიოლოგიური აგენტების ზემოქმედებასთან დაკავშირებული რისკებისგან მუშაკთა დაცვის თაობაზე (მეშვიდე ინდივიდუალური დირექტივა 89/391/EEC დირექტივის მე-16(1) მუხლის კონტექსტში | სექტემბერი, 2023 | | საჭიროებს თარგმნასა და ტექნიკურ ექსპერტიზას |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **25** | 1993 წლის 23 ნოემბრის საბჭოს დირექტივა 93/103/EC თევზჭერისთვის განკუთვნილი გემებზე  მუშაობისთვის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის მინიმალური მოთხოვნების შესახებ (მეცამეტე ინდივიდუალური დირექტივა 89/391/EEC დირექტივის მე-16(1) მუხლის კონტექსტში) | სექტემბერი, 2022 | 2019 წლის სექტემბრიდან ჩართულია ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტში (GE 17 ENI OT 02) | დირექტივა თარგმნილია, ტექნიკური რეგლამენტის პროექტი მომზადებულია; წარდგენა TWG-ში განსახილველად დაგეგმილია სექტემბერში, რომელზეც მუშაობა დასრულდება 2022 წლის ოქტომბერში |
| **26** | 1992 წლის 31 მარტის საბჭოს დირექტივა 92/29/EEC გემებზე  გაუმჯობესებული სამედიცინო მკურნალობის მიზნით უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის მინიმალური მოთხოვნების შესახებ | სექტემბერი, 2018 | დაორგანიზა საზღვაო ტრანსპორტის სააგენტომ | აღნიშნული დირექტივა სრულად იქნა ასახული საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის 2018 წლის 13 დეკემბრის №05 ბრძანებაში - ,,საქართველოს სახელმწიფო დროშის ქვეშ მცურავ გემებზე ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მინიმალური სტანდარტების“ დამტკიცების შესახებ, რომელიც მიღებულია საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის მიერ. |

*ცხრილი №13*

| 2015-2021 წლებში გაფორმებული ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმები/ხელშეკრულებები | | | |
|---|---|---|---|
| № | თარიღი | მხარეები | მიზანი |
| 1. | 2015 წელი, 13 აგვისტო | საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო | კომპეტენციის ფარგლებში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) პრევენციის ეფექტური ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება, ასევე მის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის ამაღლება და გამოვლენის ხელშეწყობა |
| 2. | 2017 წელი, 16 თებერვალი | საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო და საქართველოს ეკონომოკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი<br>საჯარო სამართლის იურიდიული პირი სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტო | სამინისტროს მიერ სამუშაო ადგილზე შემოწმების განხორციელებისას აღმოჩენილ დარღვევებზე სახელწიფო საწარმოების მიმართ შესაბამისი რეკომენდაციების გაცემა და სამუშაო ადგილზე შრომის უსაფრთხოების დარღვევებსა და მის აღმოფხვრასთან დაკავშირებით საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება |
| 3. | 2017 წელი, 11 მაისი | საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო და საქართველოს ეკონომოკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო | შექმნილი ერთობლივი მონიტორინგის ჯგუფი უზრუნველყოფს ინსპექტირებას მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან, ასევე მომეტებული საფრთხის შემცველ სამუშაო ადგილებზე, რომლებიც შიეცავს მომეტებულ რისკს ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის |
| 4. | 2017 წელი, 15 თებერვალი | საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო და საჯარო სამართლის იურიდიული პირი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი | ერთობლივი ეფექტური ღონისძიებების დაგეგმისა და განხორციელების შესახებ, რომლის ფარგლებშიც შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტი უზრუნველყოფს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტების სტაჟირებას, ხოლო დეპარტამენტის თანამშრომლები განახორციელებენ სასწავლო ვიზიტებს უნივერსიტეტის კუთვნილ სასწავლო შახტა-ლაბორატორიებში |

| | | | |
|---|---|---|---|
| **5.** | 2019 წელი, 15 ივნისი | საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო და „სამშენებლო ინდუსტრიაში უბედური შემთხვევის დაზღვევასა და პრევენციაზე უფლებამოსილი სადაზღვევო ინსტიტუტი“ | მემორანდუმის მხარეები მიზნად ისახავენ ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში საქართველოს სამშენებლო სექტორში შრომის უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობის მიმართულებით ერთობლივი ეფექტური ღონისძიებების დაგეგმვას და განხორციელებას. მხარეები ერთმანეთს ხელს შეუწყობენ გააუმჯობესონ ევროპული შუჯ სტანდარტების შესახებ ინფომაციის ხელმისაწვდომობა, სამშენებლო სექტორში როგორც ინდივიდუალურად დასაქმებულებისთვის და მენეჯმენტის წარმომადგენლებისთვის, ასევე პროფესიული კოლეჯებისა და სხვა საგანმანათლებლო ინსტიტუტების პროფესორ/მასწავლებლებისთვის. |
| **6.** | 2019 წელი, 21 ივნისი | საჯარო სამართლის იურიდიული პირი „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი“ და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო | მხარეები მიზნად ისახავენ ურთიერთანამშრომლობის ფარგლებში ერთობლივი ეფექტური ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებას, კერძოდ სტუდენტთა/მაგისტრთა/დოქტორნატთათვის აუცილებელი პრაქტიკული უნარ-ჩვევების ათვისებასა დააკადემიური განვითარების ამოცანების განხორციელებაში ხელშესაწყობად დეპარტამენტის მიერ შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვის შემოწმების პროცესთან დაკავშირებულ საკითხებშ ჩართვას, შესაძლებლობის ფარგლებში; |
| **7.** | 2019 წელი, 18 ივლისი | საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია | სამშენებლო ობიექტებზე ინტეგრირებული მონიტორინგის ერთობლივი ღონისძიებების შემუშავება და გატარება, იმ შრომის ან/და ტექნიკური/სამშენებლო უსაფრთხოების ნორმების დარღვევაზე მონიტორინგის, რეაგირების და შემდგომი პრევენციის მიზნით, რომლებიც შეიცავს ადამიანის სიცოცხლის ხელყოფის ან/და ჯანმრთელობის დაზიანების მყისიერ და მომეტებულ რისკს. |
| **8.** | 2019 წელი, 18 ნოემბერი | საჯარო სამართლის იურიდიული პირი საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო | მხარეთა საერთო ინტერესების სფეროში შემავალ აქტუალურ საკითხებზე თანამშრომლობა, ერთობლივი ღონიძლიებების, პროექტებისა და ინიციატივების განხორციელების გზით. |
| **9.** | 2019 წელი, 22 ნოემბერი | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - „112“ და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო | შრომის უსაფრთხოების ნორმების დარღვევის საფუძვლით პიროვნების დაზიანების/გარდაცვალების შესახებ მონაცემების მიწოდება შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტისთვის |

| | | | |
|---|---|---|---|
| **10.** | 2021 წელი, 19 მარტი | საჯარო სამართლის იურიდიული პირი "საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო„ და საჯარო სამართლის იურიდიული პირი "შრომის ინსპექციის სამსახური" | სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ერთიანი მონაცემთა ბაზიდან ეკონომიკური საქმიანობის, მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების და საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის - საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის რეესტრში დაცული ინფორმაციის (ვებ-სერვისების) შრომის ინსპექტირების მართვის სისტემისათვის (LIMS) მიწოდების შესახებ. |
| **11.** | 2021 წელი, 22 მარტი | საჯარო სამართლის იურიდიული პირი "საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო„ და საჯარო სამართლის იურიდიული პირი "შრომის ინსპექციის სამსახური" | სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ სამსახურს ფაილის გადაცემის პროტოკოლის ქსელის (File transfer protocol (FTP)-ის) მეშვეობით ყოველთვიურად, მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა და ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრებში (REA) დაცული ინფორმაციის შრომის ინსპექტირების მართვის სისტემისათვის (LIMS) მიწოდების შესახებ. |
| **12.** | 2021 წელი, 04 აპრილი | საჯარო სამართლის იურიდიული პირი "შემოსავლების სამსახური„ და საჯარო სამართლის იურიდიული პირი "შრომის ინსპექციის სამსახური" | სსიპ შემოსავლების სამსახურის მიერ აქტიური სტატუსის მქონე გადამხდელების შესახებ ელექტრონულ ბაზაში დაცული ინფორმაციის შრომის ინსპექტირების მართვის სისტემისათვის (LIMS) მიწოდების შესახებ. |
| **13.** | 2021 წლის 7 ივლისს | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო და იურიდიული პირი "შრომის ინსპექციის სამსახური" | ქვეყანაში სამუშაო ადგილებზე COVID-ის გავრცელების პრევენციის მიზნით შემუშავებული რეკომენდაციების აღსრულების ხელშეწყობის საფუძვლით დამსაქმებელთა და დასაქმებულთა ცნობიერების ამაღლება |